ლიტერატურული ალბერი

მამულს გული, უპირველეს ყოვლისა!

გაზეთ „მამულის“ ერთდროული ლიტერატურული დამატება ქართველი ემიგრანტებისათვის

რედაქტორისაგან:

იგი აღესრულა! ჩვენს მეხსიერებას კი ასე შემორჩა:

- პირველი პაპი, რომელიც ეწვია სინაგოგას, პროტესტანტულ ეკლესიას და მეჩეთს;

- პაპი, რომელიც კურთხევის შემდეგაც არ თაკილობდა ფეხბურთის თამაშს და ტურისტულ ლაშქრობებში მონაწილეობდა;

- ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ოფიციალურად გაამართლა კოპერნიკი და მოინანია ჯვაროსნული ლაშქრობების დროს დაშვებული შეცდომები;

- გააკრიტიკა სტალინს, რუზველტსა და ჩერჩილს შორის იალტაში მიღწეული შეთანხმებები;

- პირადად ეახლა საპყრობილეში და ცოდვები მიუტევა ადამიანს, რომელმაც მისი მოკვლა სცადა;

- მოიარა თითქმის მთელი მსოფლიო, ეწვია 171 სახელმწიფოს და 1022 ქალაქს, ამ მოგზაურობების დროს განვლო გზა, რომელიც სამჯერ აღემატება მანძილს დედამიწიდან მთვარემდე;

- პირველი პაპი, რომლის გარდაცვალების კადრები და ცხედარი პირდაპირ ეთერში იხილა ტელემაყურებელმა მაუწყებლობის არსებობის ისტორიაში;

- ადამიანი, რომლის დაკრძალვის დღეც გახდა საბაბი მსოფლიო ლიდერთა და სხვადასხვა კონფესიათა მეთაურთა უპრეცედენტო შეხვედრისა.

მერე რა, რომ იოანე პავლე მეორე რომანული კათოლიკური ეკლესიის მეთაური იყო?!

მერე რა, რომ იგი ქრისტიანი აღმსარებელი იყო?!

ჭირმა და მწუხარებამ მაინც თავისი ქნა: -

ერთად შეყარა ამერიკის სამი პრეზიდენტი, - ახლანდელი და ყოფილები, სირიის პრეზიდენტი ბაშათ ალ-ასადი, ირანის მუსულმანური სახელმწიფოს პრეზიდენტი მუჰამედ ხათამი, ავღანეთის პრეზიდენტი ხამიდ კარზაი, იორდანიის მეფე აბდულა და დედოფალი რალია, ბელგიის მეფე ალბერტო და დედოფალი პაოლა, ისრაელის პრეზიდენტი მოშე კაცავი, დიდი ბრიტანეთის პრინცი ჩარლი, რომელიც საკუთარ ქორწილში ამ გასვენებიდან წავიდა, გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი, ზამბიის პრეზიდენტი რობერტ მუგაბი, მსოფლიოს მართლმადიდებლების პატრიარქი ბართლომეოს პირველი, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი დედოფალ სოფიასთან ერთად, საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, გერმანიის კანცლერი გერჰარდ შროიდერი, უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლეერი...

ეს ჩამონათვალი არასრულია იმ 200 სახელმწიფოს მეთაურთაგან, დაკრძალვის ცერემონიალს რომ დაესწრენ, მე მხოლოდ ისინი ჩამოვთვალე, ვინც საეთერო ჩვენებისას შევიცვნე.

ვერსად დავინახე ჩვენი პატრიარქი, მისი უწმინდესობა... თუმცა დაკრძალვას დაესწრო პატრიარქის წარგზავნილი სამკაციანი დელეგაცია...

რომის პაპის დაკრძალვა თბილისის დროით დილის 9 საათზე დაიწყო. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ვივარაუდოთ, პრეზიდენტი სააკაშვილი ამ დროს, როგორც ყოველთვის, ან ლაგუნა ვერაზე ჭყუმპალაობდა, ან კიდევ თბილისის ზღვაზე გარბენებს აკეთებდა.

ალბათ, მართლაც ასეა, მიცვალებულის დაფასებასა და მსოფლიო არენაზე მოსახვეჭ სახელზე მეტად ჩვენს ქვეყანას ჯანმრთელი პრეზიდენტი სჭირდება!..

მინდა ვცდებოდე!

ნიკა, ქამ ჯიარ!

შინაარსით!

მანუჩარ კაჭახიძე:
ახლა კი, აღარც დამყრობელი ხარ და აღარც დაპყრობილი ვარ. ამიტომ, ცოტა ტონი უნდა შეარჩიოს დღევანდელმა პოლიტიკოსებმა და კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტად წოდებულმა შოვინისტებმა ჩემთან ლაპარაკში.

მე პატარა ვარ, შენ დაპატარავებული

ლია წერილი გაზეთის "Русский базар" რედაქტორს

ხომ შეიძლება გაზეთი შეიძინო და სახლში მისვლამდე დრო არ გქონდეს მის წასაკითხად?! და იმავდროულად ინტერესი გკლავდეს, თუ რისი წაკითხვა გელოდება?

- „მამული“ წყნარად წასაკითხი გაზეთია! მას „გაქცეულად“ ვერ წაიკითხავ მეტროში, ან კიდევ საჭეს მართვისას.

არადა, როცა იცი, მონატრებული ქართული სული გელოდება გაზეთის კაბადონებიდან, ძნელია მოთმენა!

გახსოვთ, მასწავლებელი, საზეპიროს ნაცვლად შინაარსით რომ დაგავალებდათ გაკვეთილის მომზადებას? როგორ გიხაროდათ, არა?!

- „ამ დროს ავანტიურისტ ქალმა მადამ დე პანპადურმა გააბრიყვა მეფე ლუდოვიკ მეთოთხმეტე...“ - ამის დაზუთხვას ნამდვილად სჯობდა ის დალოცვილი სიტყვა „შინაარსით“.

ხოდა, ვეცდებით ამ ადგილას გაზეთის 24 გგვერდი შინაარსით მოგახსენოთ, თუ დაგაინტერესებთ, დაუბრუნდით, თუ არადა, ნება თქვენია, სათოფეზე არ გაეკაროთ!

ექსკლუზიური ინტერვიუ

ოთახში, სადაც გარდაცვლილები ოთხვ, ანაბეჭდები ასია



დღემდე მისი ოჯახის წევრებს ამ თემისათვის ტაბუ ჰქონდათ დადებული. დღეს ზურაბ ჟვანიას ძმა, გიორგი ჟვანია პირველად საუბრობს იმ მასალებზე, რომლის მოპოვებაც ყოფილი პრემიერ-მინისტრიც ოჯახმა დამოუკიდებლად შეძლო. გთავაზობთ ინტერვიუს გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ძმასთან.

ჭაბუა ამირეჯიბი:
შენ სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ - შენი ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა და გარეთ - შენი ერის!



...რა დაგიშავე ისეთი, რომ უკანასკნელი იმედიც მომისპე. მიმეთრია ჩემი ბებერი ძვლები საგვარეულო სამარხამდე... ნეტავ ერთი მუჭა ამ ჩემი მიწისა მაინც მქონდეს, რომ გულზე დამაყარონ და თან ჩამაყოლონ... მე რაღა ვქნა, ვინ მოვა ჩემს საფლავთან, ვის გავახსენდები, ვის ვუნდივარ...



ქართული აზრი

ამონარიდები ქართული მწერლობიდან ჩანართში

- დაგიგდებთ ყურს მთელი დღე, მთელი ღამე, თვე, წელიწადი. ილაპარაკეთ, ოღონდ ილაპარაკეთ ქართულად (ტირის). **გალაკტიონი**

ეს ამოსვირინგებული სიტყვაა, ჯემალო, საშოგლო უფრო ღრმადაა. უფრო შიგნით...

აკაკიმ იცოდა არაბული!

აკაკი ელაპარაკებოდა ამათ არაბულათ, რომელიც ესწავლა ბარე ორმოცდათხუტმეტი წლის წინათ, აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე სტუდენტობისას და რომელიც არასოდეს მოეხმარა იმ სტუდენტობის შემდეგ. მათ კი ესმოდათ მისი და პასუხობდნენ უღონოდ, თუმცა, მაინც გაკვირვებით და ერთგვარი სიხარულითა...

ნიკა, ქაქ ჰიარ! რედაქტორის გაგვაში

- ჩემო მიწის დამყრელო, ჩემო დამსუდვრელო, ჩემო მოკეთევ, სულ ლექსით დამიტირე, შენ გენაცვალე, ცრემლში გატარებული სიტყვებით! - იხვეწებოდა თავმორეული, ყველასაგან გარიყული, უშტოვო ხესავით მარტო, ყინვა-სიცხეში ჩამომწვარი ფუფალა.

- სულ ცაში ადიოდეს შენი ტირილი. ხომ იცი, უპატრონო ვარ, ლიტაო. არავინა მყავს გულშემატკივარი! - კანკალებდა აძაგრული, საყელოცრემლიანი, ლოყაზე კურცხლმიწებებული, მინაცრებული ფუფალა.

მე იმ კეთილი გრძნეული ქალის საგანმგებლოდან ვარ. მისი ნებით ათრთოლებული ფოთლებიდან და ბალახებიდან მოვედი თქვენთან.

ბეკვაზ ინანიშვილი

ოთხმოცი წლის შემდეგ კი ანანურზე გამავალი სამხედრო გზის პირას ხშირად იდგა ხოლმე უსინათლო მოხუცი, რომელიც ყოველ ზემოთამვლელს ეკითხებოდა, დამძახებელი ხომ არა ხარ ქალაქიდანო. ვინც მოხუცს არ იცნობდა, ვერ ხვდებოდა, ვინ დამძახებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინც იცნობდა, ეტყოდა, - არა, დამძახებელი არა ვარ, მზევარის ბიჭოო, - და თავჩაღუნული, სევდამოწოლილი განაგრძობდა გზას.

როცა... ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე-ღმერთისთვის მოგირიდებია პირი. იესომ ბრძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო მწყურვალი ვიყავ და არ მასვითო; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო უფალო! სადა გნახეთ, რომ არ გიშველეთო მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არ გაკითხული, მე ვიყავიო! სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხონებისა, აი გასაღები სამოთხისა!..



მესამე დღეს, მდინარე კელასურის შესართავთან, ზღვამ ახალგაზრდა ბიჭის სხეული გამორიყა. უფრო სწორად, იგი სტარავერმა მებადურებმა გამოიტანეს და როდესაც სილაზე დაასვენეს, იქვე მობანავე ბიჭებს დაგვიძახეს გვამის ამოსაცნობად. ბიჭს სახე წაშლილი ჰქონდა. ვერავინ ვერ იცნო იგი. მხოლოდ მე ვიცანი, როდესაც თავზარდაცემულმა მის გაშლილ მკერდზე ლურჯად ამოსვირინგებული HELLADOS წავიკითხე.

უსახელო უფლისციხელი

მეჩვენება, რომ ღამეა და უფლისციხე გარშემოწყობილია. მეციხოვნეებს ცეცხლი უნთიათ. დიდ ქვაბებში ადუღებენ კუპრს. თხრილებიდან ქვა გროვდება დასაშენად. თხრილს იქით კი მტრები დგანან.

მხოლოდ უფსკრულის მხარეა ჩაბნელებული. აქ ყარაული არ არის საჭირო. აქ ამოსვლა შეუძლებელია ღამით. ცა იბურება და ჟინჟღლავს.



ინტერვიუ ჟვანიას ძმასთან

ოთახში, სადაც გარდაცვლილები იპოვეს, ანაბეჭდები არ არის!

- ალბათ, თქვენთვის ძნელია საუბარი თქვენი ძმის გარდაცვალების თაობაზე, თუმცა გავიდა ორი თვე და საზოგადოებას ჯერ კიდევ ბევრი კითხვა აქვს უპასუხოდ დარჩენილი. ცნობილია, რომ ოჯახი ატარებთ დამოუკიდებელ გამოძიებას. თუ ეთანხმებით იმ ვერსიას, რაც გამოძიების მიერ იქნა გაცხადებული?

- პროკურატურას ჯერ ოფიციალურად ვერსია არ გაუცხადებია, თუმცა თავიდან შს მინისტრმა განაცხადა, რომ ეს იყო უბედური შემთხვევა. ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით გვაქვს ძალიან ბევრი შეკითხვა, რომელიც საჭიროებს პასუხის გაცემას. ჩვენ თავს ვიკავებდით ყველანაირი კომენტარებისაგან იმიტომ, რომ ჯერჯერობით დაკავებულები ვიყავით ინფორმაციის შეგროვებით. გადავწყვიტეთ, რაღაც ვთქვათ მას შემდეგ, რაც ამერიკელების დასკვნა გამოქვეყნდა. ჩვენ თავს მივეცით უფლება, რომ მცირე კომენტარი გავაკეთოთ ამასთან დაკავშირებით. ამერიკელების დასკვნაში დაფიქსირდა, რომ რა სახის ექსპერიმენტიც ჩაატარეს, ამის მიხედვით შესაძლებელი იყო, იმ ოთახში მიეღოთ ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა. სულ სხვა გარემოებაა, ეს ექსპერიმენტი რამდენად შეესაბამება იმ რეალობას, რაც იმ ღამეს მოხდა და არსებობდა იმ ბინაში. საკითხავია, იყვნენ თუ არა საერთოდ იმ ბინაში გარდაცვლილები?!

- გამოდის, რომ თქვენც ეჭვქქვეშ აყენებთ ამ მომენტს. გარდაცვლილი რაულ უსუფოვის მამამ პირველივე დღეს განაცხადა, რომ იმ ბინაში არ იყო მისი შვილი გარდაცვლილი. რა გაძლევთ ამ ეჭვის საფუძველს?

- ეს ეჭვი ბუნებრივად მომდინარეობს იქიდან, რომ როცა მე და ჩემი რძალი, ნინო ვიყავით ეროვნული სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში, პირდაპირ განგვიცხადეს ექსპერტებმა, რომ ბინაში არ არის ნაპოვნი არც ერთი გარდაცვლილის ანაბეჭდი. საერთოდ, ყველა ანაბეჭდი, რაც ბინაში არის ნაპოვნი, არის ძველი. არა იმდღევანდელი, არამედ უფრო ადრინდელი. გარდა ამისა, ჩვენი მხარის წარმომადგენელმა ნახა ის სიგარეტის ნამწვები, რომელიც აქვს გამოძიებას. ზურას ჰქონდა ძალიან სპეციფიკური მანერა სიგარეტის მოწევის. არასოდეს არ ეწეოდა სიგარეტს ბოლომდე. ნახევრამდე ეწეოდა და რაღაც დამახასიათებლად გრეხდა ხოლმე. სიგარეტის ათეულობით ნამწვავია გამოძიებაში და მხოლოდ ერთი შეიძლება, დაახლოებით მივამსგავსოთ მის მიერ მოწეულს.

- მას შემდეგ, რაც პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ოთახში არ იყო საფერფლე, მხოლოდ შემდეგ გაჩნდა ეს საფერფლე საქმეში.... ხომ არ მოგიკითხავთ, სად იყო მანამდე ეს საფერფლე. ხომ არ დაინტერესებულხართ თქვენ, როგორც დაზარალებული მხარე, რატომ არ იყო პირველივე დღეს ტელეეკრანებზე ნაჩვენებ კადრებზე საფერფლე, თუ ის ოთახში არსებობდა. მე ვიცი, რომ სამ ათეულ ღერამდე სიგარეტი აღმოჩნდა მოგვიანებით გამოძიების მასალებში. შეიძლებოდა, ამდენი მოეწია დროის იმ ინტერვალში, რასაც გამოძიება მიიჩნევს ზურაბ ჟვანიას საბურთალოს ქუჩაზე ყოფნის პერიოდად?

- არა, შეუძლებელია, რომ ამდენი მოეწია. 31 ღერია დღეს დაფიქსირებული. ამ 31 ღერიდან მხოლოდ ერთი წააგავს ზურას მონაწევს. დანარჩენი არ არის ზურას მიერ მოწეული. მე ეს პირდაპირ შემიძლია, განვაცხადო. იყო ეს სიგარეტები იქ და საერთოდ, როგორ მოხვდა ამ ბინაში, ეს კიდევ ცალკე თემაა. ყველა ეს ნამწვები ამოღებულია არა საფერფლედან, არამედ ნაგვის ყუთიდან. ზემოდან კიდევ ძალიან ბევრი ნაგავი ეყარა. ასე რომ, აშკარად ძველი ჩაყრილია. საერთოდ, ჩანს, რომ იმ საღამოსთან აშკარად არავითარი კავშირი არა აქვს.

- როგორც იმ ჟურნალისტებმა თქვეს, ვინც იმ დღეს იყო პროკურატურაში და აჩვენეს ოთახის დათვალიერების კადრები, მათ თქვეს, რომ ნარდზე არ იყო კამათლები. საინტერესოა, როგორ თამაშობდნენ კამათლების გარეშე ნარდს. საერთოდ, თქვენს ძმას უყვარდა ნარდის თამაში?

- იმას ვერ ვიტყვი, რომ ზურას არ შეეძლო, ეთამაშა ნარდი. მაგას ვერ უარვყოფ. კამათლები, რა თქმა უნდა, უნდა ყოფილიყო. საერთოდ, ძალიან ბევრი შეკითხვაა და ამ შეკითხვებს ძალიან სერიოზული პასუხები სჭირდება. მე მგონია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ოთახში, სადაც ჩემი ძმა აღმოაჩინეს, არ არის დაფიქსირებული ანაბეჭდები და, ერთ ღერს თუ არ ჩავთვლით, არ არის სიგარეტი. არადა, როგორც ოფიციალური ვერსია გვეუბნება, საათნახევარი ზურა იმ ოთახში ცოცხალი იყო. ერთ ღერზე მეტს ზურა ამ პერიოდის განმავლობაში ნამდვილად მოწევდა. წვენი რომ დალიო, კონიაკი და ა. შ, ჭიქას ხელი ხომ მაინც უნდა მოკიდო?!

- ანუ თქვენ ამბობთ, რომ არც ჭიქაზე არის თითის ანაბეჭდები?

- დიახ, არსად არაფერი არ არის.

- ამბობენ, რომ ოჯახი აპირებდა ექსპერიმენტის ჩატარებას იმ ოთახში, სადაც ეს ტრაგედია ოფიციალური ვერსიით დატრიალდა. ხომ არ რჩება ეს განზრახვა ისევ ძალაში?

- დიახ, რაღაც საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას ისევ ვაპირებთ.

- გამოძიების წინაშე თუ დასვით ის შეკითხვები, რომელზეც ეხლა საუბრობთ?

- გამოძიების წინაშე ეს შეკითხვა არ დამისვამს. პირადად მე არც მაქვს გამოძიებასთან ურთიერთობა, რადგან ჩვენი კანონმდებლობით გამოძიება დაზარალებულად ოჯახიდან მარტო ერთ ადამიანს ცნობს. ეს არის ჩემი რძალი, ზურას მეუღლე.

- ჩვენთვის ცნობილია ასევე იმის შესახებ, რომ დაცვის როლი იყო თითქოს საეჭვო. ამბობენ, რომ დაცვის ის წევრი, რომელიც ბატონ ზურაბს ახლდა, ვერ იხსენებს, სად იყო დროის იმ ინტერვალში, როცა ეს მოხდა და ა. შ. გარდა ამისა, ითქვა, რომ 12-ის ნახევარზე ვიღაცამ დაურეკა პრემიერ-მინისტრს და სახლიდან გაიყვანა. ამას თუ ადასტურებთ?

- დიახ, დედაჩემთან იყო და როდესაც სახლიდან გადიოდა, ამ დროს დარეკა ტელეფონმა და ზურამ უპასუხა, ხო, მოვდივარო. ვისგან არის დარეკილი, ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ.

- ანუ ყველა ამ ეჭვის საფუძველზე ფიქრობთ, რომ თქვენი ძმა მოკლულია?

- სანამ მასალების შეგროვებას არ მოვრჩები, ჯერჯერობით არ მინდა ამ თემაზე საუბარი. მე ახლა რაც გითხარით, ამაზე გაცილებით მეტი ინფორმაცია მაქვს, მაგრამ ჯერ არ მიმაჩნია მიზანშეწონილად ამაზე საუბარი. მე ვთვლი, რომ ამან შეიძლება, გამოძიების პროცესს შეუშალოს ხელი.

- მაშინ მე კითხავთ, დადის ხმები იმის შესახებ, რომ თქვენს ძმას ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აღენიშნებოდა. თქვენ რა შეგიძლიათ, თქვათ ამის შესახებ?

- გაგებული მაქვს მეც ეს ჭორის დონეზე.

- თქვენ არ გინახავთ თქვენი ძმის სხეული, რომ ამაში დარწმუნებულიყავით?

- არა, მე ნამდვილად ვერ დავესწრებოდი დათვალიერებას. იყო იქ ჩვენი ნათესავი, რომელიც ესწრებოდა და არ შეუმჩნევია ასეთი არაფერი.

- ხომ არ დაუყენებია ქალბატონ ნინოს საკითხი, რომ მოხდეს გარდაცვლილის ცხედრის ექსგუმაცია და გაირკვეს, ეს ყველაფერი სიმართლეა თუ არა?

- ეს საკითხი ჩვენს ოჯახში არ დამდგარა. საკმაოდ ბევრი კითხვის ნიშანი არის ისედაც, რომ აქამდე საქმე არ მივიდეს. ამის აუცილებლობა არ იქნება.

- როდის აპირებთ, თქვათ სიმართლე თქვენი ძმის სიკვდილთან დაკავშირებით. როცა გამოძიება საბოლოო დასკვნას დადებს?

- რა თქმა უნდა, ჩვენ ველოდებით გამოძიებას, არ გვინდა, ხელი შევუშალოთ, მაგრამ თუ საქმე ძალიან გაჯანჯლდა, ვერ დაველოდებით და ვიტყვით ბევრ რამეს, რადგან ჩვენ საკმაოდ ბევრი რამ ვიცით.

- მე ბევრ ადამიანს ვკითხე ამის შესახებ და თქვენც მინდა, გკითხოთ, ხომ არ ჰქონია მას რაღაც ინფორმაცია ანდა წინათგრძნობა, რომ საფრთხე ელოდა?

- მე უფრო მქონდა ინფორმაცია, რომ მის წინააღმდეგ შესაძლებელია რაღაცა იგეგმებოდა. არ იყო საუბარი მაინცდამაინც ფიზიკურ ლიკვიდაციაზე. ზურას საკმაოდ ბევრი მტერი და არაკეთილისმოსურნე ჰყავდა. მომდიოდა ინფორმაციები ამ ადამიანებზე, რომ რაღაცას ამზადებდნენ. ზურასთან მივიტანე ეს ინფორმაცია, რომელიც, მე მგონი, ზურას სერიოზულად არ მიუღია.

- ანუ არანაირი წინათგრძნობა, რომ მას რაღაც საფრთხე ელოდებოდა, არ ჰქონია?

- რომ ჰქონოდა, უფრო მეტი სერიოზულობით მოეკიდებოდა თავის დაცვას. საკმაოდ არასერიოზულად ეკიდებოდა.

- ასევე საუბარია იმის შესახებაც, რომ მისი ძველი ნომრიდან დაურეკეს რაულ უსუფოვს დიდუბის რაიონის ტერიტორიიდან... ვის შეიძლებოდა, ჰქონოდა მისი ძველი ტელეფონის ნომერი?

- რაც შეეხება მის ძველ ნომერს, ნამდვილად ამ ნომრიდან არის გამოძახებული რაულ უსუფოვი. თუმცა ეს ზარი დიდუბის ტერიტორიიდან არ არის შესული. ჯერ არ მინდა საუბარი იმაზე, სად დაფიქსირდა ტელეფონების მიხედვით საეჭვო მომენტები. აქ გაცილებით სერიოზული კითხვის ნიშნებია და ამაზე ჯერ არ მინდა საუბარი.

ზურას ჰქონდა ერთი უცნაური თვისება. ვინც მასთან ხშირად არის ნამყოფი, ყველა დაგიდასტურებთ, რომ ფანჯარა ჰქონდა მუდმივად ღია კაბინეტში. სახლშიც რომ მოდიოდა, ძალიან ხშირად აღებდა ფანჯარას. არ ვიცი, წინათგრძნობაა ეს თუ სხვა რაღაცა, ხშირად ეტყოდა დედაჩემს, გაზის სუნიაო და შედიოდა სამზარეულოში გაზის შესამოწმებლად. სადაც იყო, ფანჯარას აღებდა ხოლმე და ძალიან უცნაურია, რომ საათობით შეიძლებოდა, მჯდარიყო ბინაში, ამდენი მოეწია და ფანჯარა არ გაეღო.

- გარდა ამისა, გაირკვა, რომ ის იყო დიეტაზე. არადა, მაგიდაზე სოსისები ელაგა... შეიძლებოდა, სოსისი ეჭამა?

- არა, არ არსებობს. დიეტაზე იყო. სახლში დედაჩემი რომ დაგვინახავს, პირველ რიგში დაგვდევს, შეჭამეთ რამეო. იმ დღეს საერთოდ არაფერი ჩაუდევს პირში, წვენიც კი არ დაულევია.

- საერთოდ, დადგინდა, რისი წვენი იყო მაგიდაზე?

- ფორთოხლის.

- ბინაზე თუ გაარკვიეთ რამე, ვის მიერ იყო ეს ბინა დაქირავებული?

- დაცვის ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ. რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, ზურას ჰქონდა კონფიდენციალური ბინები. პერიოდულად იცვლიდა ამ ბინებს. ხვდებოდა აქ ადამიანებს, ძირითადად პოლიტიკოსებს. გადაადგილება ძირითადად ასეთი სქემით ხდებოდა: ექსკორტი მიდიოდა, მერე ზურა გადაჯდებოდა სხვა მანქანაში და მიდიოდა ერთი კაცის თანხლებით კონფიდენციალურ ბინაში. როგორც მეუბნებიან, ორ თვეში ერთხელ ამ ბინებს ცვლიდნენ.

- ვასილ მაღლაფერიძესთან თუ გქონდათ საუბარი ამ ბინის შესახებ. მან განაცხადა, რომ იცნობდა ბინის პატრონს. თუ იყო ჩარეული ამ ბინის დაქირავების პროცესში?

- არა, არ ყოფილა. მე როგორც ვიცი, ბიუროს მეშვეობით მოხდა ამ ბინის გაქირავება.

- თქვენ ხომ არ გრძნობთ რაიმე საფრთხეს დღეს იმის გამო, რომ გამოძიებას აწარმოებთ?

- არა. არც მუქარა ყოფილა და არც კუდები შემინიშნავს.

- ამბობენ, რომ დაცვამ მხოლოდ მას შემდეგ შეამტვრია კარი, როცა ქალბატონმა ნინომ ატეხა განგაში...

- არა, მანამდეც იყვნენ შესულები ბინაში. ჩვენ ვნახეთ ტელეფონების ამონაბეჭდები. დაცვა უკვე შესული იყო, ამის შემდეგ უკვე რეკავს ნინო ზურას ტელეფონზე. მე მგონი, არც უთხრეს წესიერად ნინოს, რა მოხდა. ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, რადგან მაშინ მაგის გარკვევის ხასიათზე არ ვიყავი. ნინო ფეხით წამოვიდა წყნეთიდან. ეს ხდება დაახლოებით ხუთის ნახევარზე. ნინო რეკავს, ეუბნებიან, არ სცალიაო. როცა ნინო აღელდა და მიხვდა, რომ რაღაც ხდებოდა, ფეხით წამოვიდა, გზაზე რაღაც მანქანა გააჩერა და ჩამოვიდა იქ, იმ სახლში, სადაც ჩემი ძმა უკვე გარდაცვლილი დახვდა.

- თქვენი აზრით, თქვენი ძმის გარდაცვალება პოლიტიკური მკვლელობაა თუ შეიძლება, უფრო პრივატიზების საკითხთან იყო დაკავშირებული. ოჯახში რას ფიქრობთ ამის შესახებ?

- ზურას საკმაოდ ბევრი მტერი ჰყავდა. ასე რომ, ყველაფერი, პოლიტიკაც, ეკონომიკაც, საბოლოო ჯამში მიდის პირად კლანურ ინტერესებთან.

- სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებმა ყურადღება გამახვილეს, რომ პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებას წინ უძღოდა საქართველოში ტარიელ ონიანის გამოჩენა. ასევე ახსენეს ნილსენი, ასლან აბაშიძე, თემურ ალასანია... თქვენ თუ შეგიძლიათ, რაიმე კავშირებზე ისაუბროთ. ხომ არ იყო ვინმესთან პიროვნული დაპირისპირების მომენტი?

- მე არ შემიძლია, კონკრეტულად ვინმეზე ვისაუბრო იმიტომ, რომ არანაირი მასალები არ გამაჩნია ამის შესახებ. თუ ვინმემ რაღაცა თქვა და დაიწერა, ამ ვერსიებზე უნდა მუშაობდეს გამოძიება. არ ვიცი, მუშაობს თუ არა. გამოძიება რომ დადებს თავის დასკვნას, მერე ვიმსჯელოთ. ალბათ, იქ ბევრი ვერსია განიხილება, როგორც უბედური შემთხვევა, ასევე სხვა რამ. ალბათ, შესაბამის დასკვნებს დადებენ.

- თუ ეს მკვლელობა იყო, თქვენ უშვებთ იმას, რომ შეიძლება, მასში ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ გარეულნი?

- ხელისუფლების წარმომადგენლებში შეიძლება, ვიღაცეები გარეულები ყოფილიყვნენ, იმიტომ, რომ მე დღესაც მაქვს

22-ე გვერდზე >>>>

რედაქტორი
მანუჩარ კაჭახიძე

Editor-in-chief
Manuchar KATCHAKHIDZE

ეკა მაისურაძე, ნინო ხაბელაშვილი (რედაქტორი გერმანიაში), **ეკა ყარალაშვილი, გიორგი ბაქრაძე** (რედაქტორი კანადაში).

P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07109
Phone: 609-517-2278
mamuli@comcast.net

ტექნიკური სამსახური:
გიული ფერეთელი, ხათუნა თევზაძე

1960 წელი, გაეროს სხდომა, ნიკიტა ხრუშჩოვი ოფ-ლიან ფეხსაცმელებს იხდის და მაგიდაზე უბრახუნებს

ღია წერილი გაზეთის "Русский базар" რედაქტორს, ქალბატონ ნატალია შაპიროს

მე პატარა ვარ, შენ დაპატარავებული!

ძვირფასო კოლეგავ...

ნატალია პეტროვნავ,

კოლეგიალობა მაიძულებს მოგმართოთ პირადად თქვენ და არა თქვენი რედაქციის ავტორს, ჟურნალისტს რომ უწოდებთ და ჟურნალისტიკის მართლა არაფერი გაეგება.

მოგმართავთ ჩემი პატრიოტული გრძნობების შეურაცხყოფის გამო და იმიტომაც, რომ თქვენი გაზეთის ფურცლებზე თქვენსავე ავტორმა უზნეობა გამოავლინა და ფეხქვეშ გათელა ჟურნალისტის რეპუტაცია, გამოავლინა რა თავი როგორც არაპროფესიონალმა, მოსყიდულმა და თავი „ისახელა“ როგორც ქართველი ერის მოძულემ და შოვინისტმა.

ჩვენ (ქართველები) სიყვარულს არავის არ ვაიძულებთ, მაგრამ ცილისწამებასაც არავის ვაპატიებთ.

ეს ვაიჟურნალისტი რომ წინასწარგამიზნულად მოქმედებს და ანტიქართულ განწყობილებას ქმნის რესპოდენტთან საუბრისას, ამას წერა-კითხვის უციდინარიც იოლად მიხვდება, თუ ვინმე წაუკითხავს თქვენს გაზეთში დაბეჭდილ იმ ავადსახსენებელ ინტერვიუს (N52, 16-22 დეკემბერი, 2004, „მინდა ვიყო მეუღლე და დედა“). გათვლა ძალზე მდაბიო დონეზე გაკეთდა. თუ ასეთი ჟურნალისტები გყავთ შემოკრებილი, როგორიცაა ლეონიდ ზონშაინი, მაშინ წამხდარა თქვენი და თქვენი გაზეთის ავტორიტეტი მრავალათასიანი მკითხველის თვალში.

მართალია, მთელს თქვენს კოლექტივს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ერთ წვირიან ღორს მთელი კოლტის გასვრა რომ შეძლებია.

განაწყენებული მეტყვით, ჩვენი რა ბრალია, მხოლოდ რესპოდენტის საუბარი ჩავწერეთო. მე კიდევ დაბეჯითებით გიპასუხებთ - „როგორიც იყო ე.წ. ჟურნალისტი, ისეთივე მონახა რესპოდენტიც“. რაც უნდოდა და როგორც უნდოდა, ისე ათქმევინა იმ თავხედს, რომელსაც ეროვნება არ გააჩნია.

ერთი კია, რომ რუსებისაგან ქართველების ლანძღვა არახალია, ძველია. მაგ თქვენს ჟურნალისტად წოდებულ ავტორამდეც ადრე ვულანძღივართ ქართველები რუსებს და, რა თქმა უნდა, ზოგი მათგანი გაცილებით მაღალ დონეზე; იყო შემთხვევები, როდესაც რუსები ჩვენს განქიქებაში მართლებიც იყვნენ და სამართლიანებიც, ჩვენ კიდევ გული მოგვდიოდა და რატომ თუ იცით? იმიტომ, რომ თუ რამეში არ მოვწონდით რუს „ძმებს“ და თითს გვიქნევდნენ - თქვე ასეთებო და ისეთებოო, - ეს ჩვენი თანდაყოლილი ბუნება კი არა, შეძენილი თვისება იყო, ისევ და ისევ რუსებიდან ნასწავლი მთელი რიგი უზნეობანი. მაგალითად, ყბადაღებული „ლავროვი ლისტის“ ამბები. რუსი გვაიძულებდა ყველაფერ ამას, თვით გადარჩენის ინსტიქტი მოქმედებდა ჩვენში და მიტომ.

კი, ბატონო, მართალი იყო ვიქტორ ასტაფიევი, წრეგადასული ქეიფი იცით ქართველებმაო (ამაში მას თქვენი თანამშრომელი, მაშინდელი ჟურნალ „ოგონიოკის“ რედაქტორი ვიტალი კოროტიჩი ეთანხმებოდა) მაგრამ თვითონაც ხომ კარგა ლაზათიანად ქეიფობდა ჩვენთან ერთად. მე, მაგალითად, არ ვითამაშებ და არც ვთამაშობ ეროვნულ გრძნობებზე. ვითომ რუსი ერი იდეალურად სანიმუშოა?! თუ ვერ ვუპოვით მას საქილიქო და სასაცილო ჩვევებს, თანდაყოლილი რუსული ხასიათი რომ ჰქვია?! ერთს კი ვიტყვი -

რუსები ვერასოდეს უგებდნენ ქართველებს. ჩვენი ლანძღვა ადრეულ საუკუნეებში მხოლოდ პოლიტიკა იყო, ამჟამად უკვე მხოლოდ უნაირო, გამოყოლილი ახირებაა და მეტი არაფერი; ნათქვამიცაა, „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“. ჩვენ კიდევ თქვენი იმპერიებისთვის კარგის მეტი არაფერი გვიკეთებია. „მამინაცვალს ვიფიცებდით მამის საფლავდავიწყებულები“ ომის დროს, შამილის დამორჩილებაში, რევოლუციებში, იმპერიათა ცვლილებაში, „კავიანი რუსეთის ატომურ რუსეთად ქცევაში“ (ჩერჩილი), ჰიტლერთან ბრძოლაშიც და კომუნიზმის ნგრევაშიც. სამაგიეროდ, „უფროსმა ძმებმა“ არ დაგვიფასეს ეს ერთგულება. უფრო მეტიც, ერთმორწმუნეობის დროშით მოსულებმა ჩემი ეკლესიის ფრესკები გადაფხიკეთ და გადაათეთრეთ ჩემი სამლოცველოები, ავტოკეფალია წამართვით პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად - „ამას უკვე აღარავინ გთხოვდათ“.

ორიოდ სიტყვით შევჩერდები ერეკლე მეფის იმ ტრაქტატზე, ლერმონტოვმა რომ დაიკვეხნა-„такой-то царь в такой-то год вручил России свой народ“-ო

საუბარია, გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატზე, სადაც თვალნათლივ არის გამოხატული ქართლ-კახეთის მეფის პოლიტიკური კრედო, ის, რასაც დღეს მსოფლიო ინტეგრაციის პროცესი ჰქვია. ეს კი სულაც არ ნიშნავს საკუთარ სუვერენიტეტზე უარის თქმას. თუ კარგად წაიკითხავთ ხსენებული ტრაქტატის არტიკულებს, საუკეთესოდ დარწმუნდებით ზემოთქმულში. რუსეთს არათუ მე-18 საუკუნეში, დღესაც კი, 21-ე საუკუნის დასაწყისშიც უჭირს ასეთი მასშტაბის აზროვნება და ამდენად, გაამარტივა და გაამართლა თავისი იმპერიული ამბიციები. ამას თავი დავანებოთ, ერის უშვერ ლანძღვას მოჰყო ხელი დღიდან საქართველოს ანექსიისა. ეს პოლიტიკა იყო, დამპყრობლური პოლიტიკა დაპყრობილის მიმართ. ახლა კი, აღარც დამყრობელი ხარ და აღარც დაპყრობილი ვარ. ამიტომ, ცოტა ტონი უნდა შეარჩიოს დღევანდელმა პოლიტიკოსებმა და კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტად წოდებულმა შოვინისტებმა ჩემთან ლაპარაკში. პირველად თვითონ ლენინმა დაძრახა „ველიკორუსული დერჟიმორდული შოვინიზმი“. თქვენი ჟურნალისტი კი პირველყოფილი ბოლშევისტის დონეზეა დარჩენილი, თავისი ბოროტი გონითა და განზრახვით.

ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და ღმერთი გვფარავს ხრუშჩოვისნაირი პოლიტიკური ლეშებისაგან, ჯერ რომ დაგვხოცა და შემდეგ ჩვენი დეპორტაცია მოისურვა ჩვენივე ქვეყნიდან, თუმცა დირექტივა მოგვცა, კახეთში ვაზი აჩეხეთ და სიმინდი დათესეთო. ასეთი რეგვენი იმპერატორების ხელში ვიყავით მოქცეული, თორემ ღირსეული დამპყრობლის ხელში რაღაც ღირსეულს ვისწავლიდით (ამაშიც არ გაგვიმართლა ბედმა, ირგვლივ ბარბაროსების ხელში ვიყავით გარშემორტყმულნი და სანაქებო ვერაფერი ვისწავლეთ მათგან, გარდა ყალთაბანდობისა).

ჩვენც გვქონდა, მართალია, ჩვენი ლაფსუსები, მაგრამ ჩვენი ღირსებითა და ნაკლით თვალში არავის ვეჩრებოდით. ახლა კი საქვეყნოდ ვინდათ გამოგვაჭენოთ, აბსურდული და თითიდან გამოწოვილი ცრუბრალდებებით.

ერთი კია, რაც რუსეთთან დავიჭირე ურთიერთობა და საკუთარი ნებით ვანდე მას ემართა ჩემი ბედ-იღბალნი, იმ დღიდან მესმის ზონშაინისნაირი ჭორიკანა მებაზრეებიდან ჩემი აუგი. აკი, ამ ზონშაინისნაირმა, კოროტიჩისნაირმა გაიძვერა ტოტლებენებმა დამინგრიეს ქართველთა სულიერი ერთობის ძეგლადქმნილი დიდებული ბაგრატის ტაძარი?! ამის მერეა, რომ გალექსილან პუშკინები, ლერმონტოვები და ტოლსტოები ჩემს აუგსიტყვაობად, ამ დიდებულთა ფეხის ხმას აჰყოლიან კატკოვები, ასტაფიევები და ჟირინოვსკები...

გადაეცით ჩვენგან თქვენს ვაიჟურნალისტს, ჩვენს განქიქებაში ახალს ვერაფერს იტყვის, ვერც გაგვაოცებს თავისი ე.წ. საზრისიანობით. ამიტომ, მეგობრულ რჩევას მივცემთ, გაანებოს თავი ისეთ საკითხებზე წერას, რაც ხელთ არ ეწიფება, და არც გონება მიუწვდება. მიხედოს თავის ყოფით საკითხებს და ჩემს ეთნოგრაფიასა და ოჯახურ ყოფას შეეშვას.

მე ვიწვნიე რუსეთის სალდაფონური ჩექმა, რომელმაც გადამთელა 1921 წლის 25 თებერვალს, 1924 წლის აჯანყებისას, 1937 წლის რეპრესიებში, 1956 წლის 9 მარტს სტუდენტობისას, და სულ აგერ, თექვსმეტიოდე წლის წინათ, 1989 წლის 9 აპრილს. აი, ახლა დადგა დრო, რომ ეს ჩექმა წავიდეს ჩემგან. თუ, როგორც რუსულ აზროვნებაშია დამკვიდრებული, რუსეთის მოსვლა ჩემი ნება იყო, მისი წასვლაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ნებაა და ახლა გეუბნები სიმაყით მაღლა თავაწეული, „უშიში, ვითარცა უხორცო“ - საიდანაც მოსულხარ, იქეთვე წადი!

და ეს ჩემი ტონი ჩემი ბრალი არაა, ეს შენმა პასკევიჩებმა და პასკევილებმა ჰქნეს. ადრე თუ ვერა, ახლა ერთიანად მომივიდა გული და გავნაწყენდი შენზე, მით უფრო მაშინ, როდესაც ძალა და გონებაგამოლეული ხარ. მე პატარა ვარ, შენ დაპატარავებული.

როდესღაც ხომ უნდა მომსვლოდა გული სამართლიანად?! ახლა მომივიდა გული, როცა ვერაფერს დამაკლებ, გონი მიჭრის, თვითგადარჩენის ინსტიქტმა რომ წარმოშვა. მე შენზე ძლიერი მტრები მყოლია, და როგორც შენი ზღაპრის გმირი „კოკორი“ (Колобок) ამბობს: „Я от бабушки ушёл, Я от дедушки ушёл“...და მერე,

„...и от тебя уйду!“

ასეა ესეც. ფინალი კი, უცილობელი აპოკალიფსური ინტეგრაცია იქნება მსოფლიოში და არა შენგან ჩემი შეჭმა.

ვასრულებ წერას და არ მინდა სამი სიტყვით არ შევეხო იმ ინტერვიუს და პირადად ავტორს.

„ძაღლი ვინც მოკლა, იმან უნდა გადაათრიოსო“- ნათქვამია. ხოდა, აგოს მანაც პასუხი.

ლეონიდ...

„*საქართველოში ქმრები ცოლებს სცემენ*“- ათქმევინებთ თქვენს რესპოდენტს და შემდეგ გულწრფელად გიკვირთ. არადა, გასაკვირს და გასაოცებელს რუსის მხრიდან ვერაფერს ვხედავ ამაში, რადგან მგონია, რომ ეს უსათუოდ რუსული წყობის ოჯახებში აქვს ნანახი თქვენს რესპოდენტს, არყით გალეშილი ქმარი რომ მივარდება ცოლს და დალურჯებამდე გაიგდებს წიხლქვეშ. ამის უტყუარი დასტური თვით თქვენი პროლეტარული მწერლობის კორიფე მაქსიმ გორკია და ნობელის პრემიის ლაურეატი მიხეილ შოლოხოვი. მრავლადაა რუსულ ლიტერატურაში მსგავსი პასაჟები. იქამდე სალტიკოვ-შჩედრინთან გვხდებიან მამლაყინწა ქალები, რომლებიც თავიანთ ქმრებს ცემა-ტყეპაში ატარებინებენ საღამოებს, ღამით კი ლოგინი ათანაბრებს გრძნობებს სექსუალურ ვნებათაღელვაში.

გადამიშალეთ ნებისმიერი ქართველი მწერლის ნაწარმოები, სად შეხვდებით მსგავს პასაჟებს?!

„*ქართველი კაცები რუსეთში მიდიოდნენ ქალებისთვის, იმიტომ, რომ საქართველოში მათი ყოლა არ შეეძლოთო*“. ესეც დააცდევინა 21-ე საუკუნის ევას ამის მსურველმა ზონშაინმა. და იმას ვერ მიხვდა, რომ უნებლიედ თავის ერს და რუს ქალბატონებს მიაყენა შეურაცხყოფა ამის გამოაშკარავებით.

ჩემს ქვეყანაში ერეკლეს დროს იყო საროსკიპოები, ლაშა-გიორგის დროს, ვახტანგ გორგასალის დროსაც, რუსთაველმა საუკეთესოდ იცოდა სიძვისა და მრუშობის განსხვავება არა გრამატიკული მნიშვნელობით, არამედ ცხოვრებისეული ცნობიერებით პირველყოვლისა.

რაც შეეხება საბჭოურ პერიოდზე, ბევრს არაფერს ვიტყვი, მხოლოდ ერთს შეგახსენებთ:

- წყალტუბო, საბჭოთა კავშირის დაუკანონებელი ბორდელი იყო და ბოზებად სწორედ რუსი ქალები მსახურობდნენ.

ერთს კი სიმართლეს ამბობს ინტერვიუს ავტორიცა და რესპოდენტიც: „*პირველი ქალი ქართველი მამაკაცისათვის, როგორც წესი, რუსი იყო ხოლმეო*“...

თავად მიმიხვდებით ქალბატონო რედაქტორო რატომაც. ალბათ, იმიტომ, რომ ევროპისკენ გზა ჩაკეტილი იყო, ხოლო „აღმოსავლეთის გავლენისაგან გათავისუფლებულმა რუსმა ქალმა“ სრული უზნეობა გამოავლინა, მრუშობა და სიყვარულობანას თამაში დაიწყო, ხოლო ეს უზნეობა ევროპულის ყაიდაზე იყო მოჭრილი თუ ამერიკულზე, ამაზე სხვამ იმტვრიოს თავი.

ნატალია პეტროვნავ,

თქვენი გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი ეს პასკვილური ჟანრის ინტერვიუ სხვა არაფერია, თუ არა რუსულ-ქართული დახლართული ურთიერთობა. ჩვენ ორთავე მართლმადიდებლური ქრისტიანი ერი ვართ და უკეთესი იქნება ქრისტესმიერი გაგებით მივუდგეთ ერთმანეთის ნაკლსა თუ ღირსებას, რადგან ღმერთი ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში კი არა, ერთმანეთის სიყვარულში იბადება.

მანუჩარ კაჭახიძე,
გაზეთ „მამულის“ რედაქტორი

Открытое письмо редактору газеты "Русский базар" госпоже Наталье Шапиро

Я маленький, а ты уменьшённый!

Дорогая коллега...

Наталья Петровна!

Коллегиальность вынуждает меня обратиться лично к Вам, а не к автору Вашей редакции, который называется журналистом, но не имеет никакого представления о журналистской этике.

Обращаюсь к Вам из-за оскорбления моих патриотических чувств и ещё потому, что на страницах Вашей газеты Ваш же автор проявил безнравственность и своей непрофессиональностью растоптал репутацию журналиста и показал себя ненавистником грузинского народа и шовинистом.

Мы (грузины) никого не заставляем любить себя, но и не прощаем беспочвенного обвинения.

То, что этот горе-журналист действует целенаправленно и создает антигрузинскую настроенность в беседе с респонденткой, легко поймет и неграмотный, прочитав напечатанное в Вашей газете злополучное интервью (N52, 16-22 дек, 2004г. "Хочу быть женой и матерью"). Расчёт был сделан на очень низком уровне. Если Вас окружают такие журналисты как Леонид Зоншайн, то авторитет Вашей газеты и Ваш лично очень пострадает в глазах многотысячного читателя.

Моей целью не является оскорбление всего Вашего коллектива, но как говорится "капля дёгтя может испортить бочку меда".

Обидевшись, Вы скажете, что это не ваша вина, что была записана только беседа с респонденткой. Но я все таки утверждаю - "каков был т.н. журналист, такую и нашёл респондентку". Он заставил эту не имеющую национальности наглую женщину сказать что хотел и как хотел.

Хотя, оскорбление грузин со стороны русских совсем не ново. Русские бранили грузин и до Вашего т.н. журналиста тоже и, конечно, уровень многих из них был намного выше; бывали случаи, когда русские были и правы и справедливы в осуждении грузин, а мы обижались и знаете почему? Потому, что если мы чем-то не нравились русским "братьям" и они, грозя пальцем, называли нас "такими и сякими", это была не наша унаследованная натура, это были приобретённые качества, опять и опять перенятый от русских целый ряд безнравственностей. Возьмём к примеру нашумевший "лавровый лист". Русские вынуждали нас делать это, в нас действовал инстинкт самосохранения. Да, прав был Виктор Астафьев (и с ним соглашался Ваш сотрудник, тогдашний редактор журнала "Огонек", Виталий Коротич) говоря, что мы грузины безмерно пируем, но и ведь он сам недурно пировал с нами. Я, например, не буду играть и не играю на национальных чувствах. А что, русский народ такой уж идеально примерный?! Или невозможно найти у него унизительных и смешных привычек, которые можно считать унаследованным русским характером?!

Скажу лишь одно - русские никогда не понимали грузин. Когда нас бранили в прошлые века, это было только политикой, а сейчас это уже ни на что не похожая привычная брань, хотя, как говорят, "привычка вторая натура".

Мы же вашим императорам ничего кроме хорошего не сделали: "клялись отчимом, забыв могилу отца" во время войны, при покорении Шамилю, в революциях, в смене империй, в превращении "лапотной Росии в атомную Россию" (Черчиль), в борьбе с Гитлером и в разрушении коммунизма. Но "старшие братья" не оценили нашу верность. Более того, пришедшие под флагом единоверцев, соскребли фрески и побелили молельни, вместе с независимьстью отняли автокефалию. Этого Вас уже никто не просил.

Задержусь немножко на трактате царя Эрекле, о котором Лермонтов хвастнул "...такой-то царь, в такой-то год вручил России свой народ".

Речь идет о георгиевском трактате 1783г, где ясно выражено кредо царя Картли и Кахетии, которое сегодня можно назвать процессом мировой интеграции. Это совершенно не означает отказа от собственного суверенитета. Если внимательно прочитаете артикулы упомянутого трактата, прекрасно убедитесь в вышесказанном. Но Россия не только в 18 веке, даже сегодня затрудняется мыслить столь масштабно и, поэтому, упрощает и оправдывает свои имперские амбиции. Более того, со дня аннексии Грузии она беспрестанно бранила ее. Это была политика, политика поработителя по отношению к порабощённому. Но сейчас ты не поработитель, а я не порабощённый. Поэтому современные политики, а в данном случае называющие себя журналистами шовинисты, должны подобрать тон в разговоре со мной. Первоначально сам Ленин осудил "великорусский держимордный шовинизм", Ваш журналист же находится на уровне первобытного большевика со своим злым сознанием и намерением.

Наша страна благословенна и бог хранит нас от таких политических трупов как Хрущев, который сначала убивал нас, а потом желал депортировать с нашей же Родины; впоследствии дал директиву вырубить в Кахетии лозу и посеять кукурузу. Мы оказались в руках такого бездарного императора, не то, в руках более достойного поработителя, научились бы чему-нибудь достойному (даже в этом нам не повезло, мы были в окружении варваров и поэтому ничему похвальному мы не научились, кроме мошенничества). Правда, у нас тоже были свои ляпсусы, но мы никому лезем в глаза со своими достоинствами и недостатками. А сейчас Вы хотите на весь мир ославить нас своими абсурдными и высосанными из пальца лжеобвинениями.

Однако, с тех пор как я по собственной воле вступил в отношения с Россией, доверил ей управление своей судьбой, я слышу порицания подобных Зоншайну сплетников-базарников. Ведь подобные Зоншайну и Коротичу пройдохи Тотлебены разрушили памятник духовного единства Грузин - великолепный собор Баграта! И, после этого, как ни печально, даже такие корифеи как Пушкин, Лермонтов и Толстой порицали Грузию, а теперь им вторят всякие Астафьевы, Котковы и Жириновские.

Передайте от нас Вашему горе-журналисту, своей критикой он не сможет сказать ничего нового и не удивит нас находчивостью. Поэтому дружески посоветуем ему прекратить писать о вещах, которые ему не подручны. Пусть позаботится о своих бытовых проблемах и оставит в покое мою этнографию и вопросы семейного быта.

Я ощутил солдафонский сапог России, который растоптал меня 25 февраля 1921г, во время восстания 1924г, при репрессиях 1937г, 9 марта 1956 (убийство невинных студентов), и, совсем недавно, 9 апреля 1989г. И сейчас настало время, чтобы этот сапог ушёл от меня. Или, как утвердилось в русском сознании, если приход России был моей волей, то и её уход тоже только моя воля и сейчас я говорю гордо подняв голову, "бесстрашный как бесплотный" - откуда пришёл туда же и уйди.

И этот мой тон тоже не моя вина, это тоже сделали твои Паскевичи и пасквили. Если раньше я не мог, сейчас враз разгневался и обиделся на тебя, особенно теперь, когда ты обессиленный и умопомрачённый. Я маленький, а ты уменьшённый!

Должен же я был когда-то справедливо разозлиться?! Я разозлился сейчас, когда ты не можешь навредить мне и я способен мыслить благодаря проснувшемуся инстинкту самосохранения.

У меня были враги и посильнее тебя, и как говорит герой твоей сказки "Колобок": "я от бабушки ушёл, я от дедушки ушёл"... и потом, "и от тебя уйду!".

И это так. В финале же будет обязательная апокалиптическая интеграция в мире, а не сьедение меня тобой.

Кончаю писать и не могу парой слов не коснуться того интервью и лично автора.

У нас говорят: "кто убил собаку, тот и должен перетащить её". И пусть он и отвечает.

Леонид...

Помните, что на свете кроме бумаги есть ещё совесть. ИЛЬЯ

"В Грузии мужья бьют жён" - заставили Вы сказать Вашу респондентку и затем искренне удивляетесь. Хотя, удивительного и потрясающего для русского здесь ничего не вижу, поскольку думаю, что респондентка видела это в семьях русского уклада, где напившийся водки муж избивает жену до синяков. Подтверждением этому могут служить произведения корифея пролетарской литературы Максима Горького, а также лауреата нобелевской премии Михаила Шолохова. Аналогичными пассажами очень богата русская литература. До того, у Салтыкова-Щедрина встречаются петушащиеся женщины, которые избивали своих мужей, ночью же постель уравнивала чувства в сексуальных страстях.

Откройте любое произведение грузинского писателя, где вы встретите подобное?!

"Грузинские мужчины ездили в Россию из-за женщин, потому что в Грузии не могли иметь их". Это тоже удалось вытянуть с респондентки - Евы 21 века Зоншайну, но он упустил, что при этом невольно оскорбил свой народ и русских женщин.

В нашей стране были "дома терпимости" при царе Эрекле, и при царе Лаша-Георгии, и при Вахтанге Горгасали. Великий Руставели превосходно знал разницу между грехопадением и блудом, не только в грамматическом значении, но прежде всего жизненным восприятием.

Что касается советского периода, напомню, что курорт Цхалтубо был неузаконенным советским борделем, а проститутками работали именно русские женщины.

Одно действительно справедливо отмечают и автор и респондентка: "первой женщиной для грузинского мужчины, как правило, была русская...".

Сами поймете, госпожа редактор, почему. Наверное потому, что путь в Европу был закрыт, "освобожденная от влияния востока русская женщина" же проявила полную безнравственность, начала блудить и играть в любовь. Была ли эта безнравственность европейского или американского порядка, пусть ломают себе голову другие.

Наталья Петровна, напечатанное на страницах Вашей газеты это пасквильного жанра интервью, ничто иное, как русско-грузинские запутанные отношения. Мы оба - православные христианские народы и было бы лучше подойти к недостаткам и достоинствам друг друга с христианских позиций, поскольку бог рождается не в ненависти, а в любви.

Манучар КАЧАХИДЗЕ,
Редактор грузинской газеты "Мамули" в Америке

ნიკა, ქამ ჯიარ!

ამერიკაში მცხოვრებო ქართველო, ვინა ხარ შენ დღეს? რას წარმოადგენს და რას უნდა წარმოადგენდეს შენი ფუნქცია ამ ქვეყნისთვის, არ გექნება სრულად გაცნობიერებული!

მართალია, სხვადასხვა მიზეზებით აგიშლია კერა შინ და შეკედლებიხარ უცხო სამყაროს, მაგრამ ამერიკას არ უკვირს ემიგრანტები, რომლებიც შემდეგ ამერიკის ისტორიას ჰქმნიდნენ. ძირითადად ასეთ სახელებზეა დაფუძნებული შეერთებული შტატების მთელი წარსული და აწმყო, მომავალიც ასეთ ხალხზეა გათვლილი. ალბათ თავის დროზე კეთილდღეობის ძიებაში აღმოჩნდა ოკეანის გამოღმა ჩარლი ჩაპლინი, ურომლისოდაც დღეს ამერიკული კინოხელოვნების ისტორიას ფასი არ ექნებოდა. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა როგორც შემოქმედებაში, ასევე პირად საუბრებში თავის სემიტურ წარმომავლობას, ებრდა და პოულობდა საკუთარი ერის წიაღში მარადიულ ღირებულებას, რომელიც შემდეგ კინოხელოვნების, მუსიკის, პლასტიკის, მწერლობის ენით მშვენიერების საკურთხევლიდან აუწყებდა კაცობრიობას ამერიკის სახელით. არაფერს ვამბობ აბრაჰამ ლინკოლნზე, ან თუნდაც გიორგი ბალანჩივაძეზე, ამერიკული ბალეტის მამად წოდებულ ბალანჩინზე.

კარგი იქნება, თუ შენც ამ დიდი ადამიანების მსგავსად შექმნი ამერიკის ახალ ისტორიას არა საკუთრივ შენი ინდივიდუუმის თვითდათრგუნვით, არამედ მისი ეროვნული პოტენციალის წინ წამოწევით. ამისათვის, სანამ შეეთვისები ახალ სამყაროს, საკუთარი თვითმყოფადობა პირველყოვლისა თვითონ უნდა გაისიგრძეგანო,რათა იპოვო მასში ის საჭირო ნერგი, შენს სამშობლოსაც რომ ასახელებს და იმ ქვეყანასაც მოუტანს სარგებელს, რომელშიც დაემკვიდრე ან იბრძვი თვითდამკვიდრებისათვის. სხვა შემთხვევაში, თუ შენი ინდივიდუალობა, მეობა არ წარმოაჩინე მთელის სიცხადით, ნებისმიერი ქვეყნისთვის, თვით შენი სამშობლოსთვისაც მხოლოდ სტატისტიკური რაოდენობა და მოქალაქეობრიობის იურიდიული სტატუსით შემოფარგლული ასიმილირებული ჰაბიტუსი დარჩები.

რომ არ გახდე უსასრულობის მცირე მოლეკულა, ამისთვის საჭიროა დაცვა იმისა, თუ რა გენეტიკური კოდის მატარებელი ხარ. არათუ დაცვა, განმტკიცება და განვითარება, რათა გადაჯიშების მსახვრალმა ხელმა არ დაგძლიოს.

შეერთებული შტატები ზესახელმწიფოა და მის კულტურასა და ეკონომიკას სჭირდება ძლიერი ფესვებით ნაკვები ჰეროვნება, ეს ის, ვინც ახალი ცივილიზაციის საყრდენი და შემოქმედი იქნება. ამას მხოლოდ ეროვნული (პირველადი) კულტურის ენერგიის ულევი საკვებით თუ განახორციელებ და მხოლოდ ამის შემდეგ შესძლებ შემატო უცხო კულტურას რაიმე ღირებული. თუ ამ სიმდიდრეს დაკარგავ რაღაც ქვენაგრძნობებით ნაკარნახევი მიზეზების გამო, ყველასათვის გამოუსადეგარი იქნები - ამერიკისთვისაც და (კონკრეტულ შემთხვევაში) საქართველოსთვისაც. შენი კულტურა უბედო კულტურა იქნება, შენი საყრდენი კი - უმიწო ქალაქი.

კულტურას ვამბობ და მთელ ეროვნულ მენტალიტეტს ვგულისხმობ. ადამიანს კულტურა ეკარგება მაშინ, როცა ივიწყებს მშობლიურ ენას, იმ ენას, რომელ ენაზეც ესიზმრება მას სიზმარი. აქაა უტყუარი საზომი ენის თვისობრივი განსაკუთრებულობისა. ეს ჩემი მოგონილი არაა, ეს საუკუნეებითგან მოტანილი ქართული სიბრძნეა და ზოგად-ეროვნული ფორმულაა საკაცობრიო მნიშვნელობით.

ისმის ახალი კითხვა - გაძლებს ამერიკა უშენოდ და შენ უამერიკოდ?

უდავოა ერთი - ამერიკა გაძლებს უშენოდ, ხოლო შენ?

აი, სად ირღვევა ბალანსი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. თუ შენ მოცემული საზოგადოების სრულფასოვან წევრად თვლი თავს, ისევე ვერ უნდა ძლებდეს ამერიკა უშენოდ, როგორც შენ უამერიკოდ. ამისათვის კი საჭიროა იქცე პირველყოვლისა განუმეორებლად. სწორედ ეს განუმეორებლობაა შენი კულტურა, რომელსაც გაძლევს ენა, მისი ფილოსოფია, ისტორია და თანამედროვეობა. მხოლოდ შენი ენა და კულტურული მემკვიდრეობა გაქცევს განუმეორებლად, იმიტომ, რომ დედამიწის ზურგზე ვერ იპოვი სხვას მსგავსი თვისებებით დაჯილდოებულ ლინგვისტურ ერთეულს...

ჩვენ საკუთარი ანბანის პატრონი ერი ვართ, ესეც დიდი და მდიდარი მემკვიდრეობაა, თვით ამ ანბანში რა საოცარი საიდუმლო კოდებია დაფიქსირებული, ვინ მოთვლის. ამ ენათმეცნიერულ სიბრძნეს საბოლოოდ ახალი ცივილიზაციის მოთხოვნებით შეხედავ, გაიაზრებ, აითვისებ და შემდეგ სხვასაც გაუზიარებ.

ვიღაცა მეტყვის - ქართული ენით ამერიკაში ვის დაველაპარაკო ან ვის მოვაწონო თავიო, ეს ენა ხომ მცირერიცხოვანი ერის ურთიერთშორის საკომუნიკაციო საშუალებაა. პირველყოვლისა მშობლიური ენის ცოდნა და თვითგანმტკიცება, სამშობლოს სიყვარული, საკუთარი თავის ამოცნობისა და შინაგანი პოტენციალის პოვნის საუკეთესო საშუალებაა. ეს კი გააიოლებს უცხო სამყაროში ადაპტაციას, რამეთუ ღმერთმა ეს სამყარო შექმნა ყველასათვის თანაბრად. ამიტომ ქვეყნიერებაზე ადამიანთა (მათ შორის ქართველთა) დამკვიდრება ღვთიურ ნებას სრულიადაც არ ეწინააღმდეგება, არც ის ეწინააღმდეგება ღვთიურ ნებას საკუთარი ენის სადარაჯოზე იდგე ყველგან, სადაც კი იქნები.

ამიტომაც დაჰყო ენები უფალმა, რომ დედამიწაზე ადამიანთა მოდგმის მრავალფეროვნება სუფევდეს. მათ შორის ერთ-ერთი უძველესია ქართული ენაც.

სიყვარული - საკუთარი ერის, ენის, მამულის - მარტო ლიტონი სიტყვები არ უნდა იყოს, ეს მხოლოდ შინაგანი რწმენით ნასაზრდოები აუცილებელი მოთხოვნილება უნდა იყოს. ყოველივე ამის დავიწყება და მითუმეტეს მომავალ თაობათა დაკარგვა, ეს დანაშაულია პირველყოვლისა ღვთის, შემდეგ სამშობლოს და ბოლოს შთამომავლობის წინაშე. მართალია, ეს დანაშაული არ წარმოადგენს სისხლისსამართლებლივ, სახელმწიფოებრივ, ადმინისტრაციულ ან რაიმე სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაგრამ იგი გაცილებით მძიმეა და თავის მხრივ უმძიმეს და გამოუსწორებელ შედეგებს ატარებს თან. ამრუდებს მომავალი თაობის შეგნებასა და შემეცნებას, თვითონ პიროვნება ემსგავსება აკაკის იმ ღამურას, რომელიც აღარც თაგვებში წერია და აღარც ჩიტებში. მართალია, ქართულ ენაზე არ საუბრობენ კონტინენტიდან კონტინენტამდე, მაგრამ რაგინდ მცირერიცხოვანი ხალხის საკუთრება იყოს ენა, ის იძლევა საშუალებას თავისი ღვთიური სიმდიდრით მოგცეს უამრავი სულიერი სიმდიდრე.

რომელ გადამთიელს არ სურდა ჩვენთვის გადაევიწყებინა ჩვენი მშობლიური ენა, რა ხრიკებს არ მიმართავდნენ, მაგრამ ყოველთვის მედგარ წინააღმდეგობას ვუწევდით მტერს. ახლა კი, როცა ჩვენს ენას გაქრობის არანაირი საფრთხე არ ემუქრება (გარეგნულად მაინც), რაღა დავმართნია, რომ ასე უდიერად ვეპყრობით საკუთარ საუნჯეს?!

უცხოეთში წასულებმა უკეთეს შემთხვევაში შვილებს აღარ ვასწავლეთ „ხმათა ხავერდების და ღმერთების“ ენა, აღარაფერს ვამბობ მასზე, რომ თანდათანობით თავადაც დავცილდით მშობლიურობის სამეტყველო სივრცეს.

ენა მატერიალური დოვლათი არაა, სკივრში რომ შეინახო და რამდენი ხანიც გინდა, ხელუხლებლად ამყოფო და გახსნისას იგივე დაგხვდეს, რაც ჩადევი. ენა ცოცხალი ორგანიზმია, ის კვდება უმოძრაოდ, გაუვარჯიშებლად. საზღვარგარეთ წასულს არა გვაქვს საკუთარი მამული, სარწმუნოება, ენაღა დაგვრჩენია საკუთარ მამულთან უხილავ ძაფებად დამაკავშირებელი და თუ ისიც ამოიღე შენგან და შენი შვილმომავლისაგან, მაშინ რაღა პატრიოტობაზე გვექნება საუბარი... როგორც ზემოთ ავღნიშნე, დარჩები მხოლოდ ზესახელმწიფოს სტატისტიკურ რაოდენობად, თუ ამადაც არა.

ამერიკაში ბევრ ქართველს უმოღვაწია და უცხოვრია, და ბევრსაც დაუტოვებია შტატების ისტორიაში სანაქებო სახელი. ამ მოწინავეს დასტურად მოვიყვან ერთ ფრიად საინტერესო ისტორიულ ფაქტს, რამაც საფუძველი ჩაუყარა ამერიკის კინოხელოვნებაში ვესტერნულ ჟანრს. საუბარია ვაილდ-ვესტის მხედრებზე. ესენი იყვნენ გურული ცხენოსნები, რომლებიც ბედის საძებრად ამერიკაში წამოვიდნენ.

მე-19 საუკუნეში ფოთის ნავსადგურში ხშირად დგებოდა ამერიკული გემები, რომლის მეზღვაურები ნაპირზე ჩამოდიოდნენ. გურია-სამეგრელოს სოფლებში ნახავდნენ ისინი თვალწარმტაც სანახაობას - მარულას, ანუ დოღს. შეკრიბეს ეს ცხენოსნები ამერიკელებმა, აღუთქვეს შტატებში მოეწყოთ შოუ-წარმოდგენები. მართლაც, მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მითუმეტეს ეკონიმიკური სიდუხჭირეც აძლევდათ ქართველ ყმაწვილებს ხელს ახალ სამყაროში ეძებნათ ბედი. წავიდნენ და თან წაიღეს თავიანთი ოსტატობა ახალ და მათთვის უცხო კონტინენტზე. ზოგი გამდიდრდა და როგორც ახლა, ამერიკიდან თავთავიანთ ოჯახებს ეხმარებოდნენ, ზოგმა ფული დააგროვა და უკან დაბრუნდა. ლანჩხუთში მათი ხსოვნის საპატივცემულოდ გახსნილია მუზეუმი, სადაც დაცულია ფოტო-მასალა, მემორიალური ნივთები და სხვ.

იმხანად ახლადგანვითარებადმა კინოინდუსტრიამ საკმაოდ სარფიანად დაადგა თვალი ვაილდ-ვესტის მხედრებს, გააწვრთნევინეს მსახიობები, ან სადუბლიორო როლებზე (ე.წ. ტრიუკებზე) მათ იწვევდნენ. დიახ, სწორედ პირველ ვესტერნულ კინოფილმებში (XX საუკუნის დასაწყისში) აღბეჭდილია ქართველი „კენტავრების“ ხელოვნება.

უნდა ითქვას მათდასასახელოდ, რომ ქართული ენა, ადათი არ დავიწყნიათ ოკეანით დაცილებულ კონტინენტზე, ცდილობდნენ, სურდათ, წყუროდათ სამშობლო, მისი ცხოველი ჟინით იკვებებოდნენ, და რაგინდ ბევრთათვის უცხო არ უნდა იყოს, მათი წყალობით კინოხელოვნებამ შეიძინა ერთ-ერთი საინტერესო, პლასტიურად დახვეწილი ჟანრი. უნდა ითქვას ისიც, რომ ბევრმა მათგანმა ინგლისური ენა სულაც არ იცოდა, საუკეთესოდ ახერხებდნენ ქართული ენით ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტის დამყარებას.

მე არც იმას ვამბობ, რომ სხვა უცხო ენა არ უნდა ვიცოდეთ. პირიქით, რამდენადაც მეტ ენას დავეუფლებით, მით უფრო კარგი და საამაყო იქნება, მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ იმ ენებს მაინც უცხო ენები ჰქვია, და არა მშობლიური!

არც სიზმარი გვესიზმრება უცხო ენაზე!

მანუჩარ კაჭახიძე

- რა უცბად გვავიწყდება გუშინდელი დღე!

- რა უცბად დაგვავიწყდა 1978 წლის 14 აპრილიც, ენის, მშობლიურის დასაცავად რომ ფეხზე დავდექით...

რა უცბად გვავიწყდება ქართული...

საშიში ერი ვართ ქართველები! ორ-სამ თაობაში აღარცა ვართ ქართველები, გადაშენებას გზას ვადგებით, ებრაელებივით 26 საუკუნე კი არა, უკვე მეორე თაობაში აღარ ვსაუბრობთ ქართულად...

ადრე თუ ბავშვები დამალობანას თამაშისას ქართულად ითვლიდნენ:

- ერთი, ორი, სამი... ,-

ახლა ნიუ იორკში, ქართული ეკლესიის ეზოში მოთამაშე „ქართველი“ ბავშვები ზუსტად ამ სიტყვებით ითვლიან:

- One, Two, Three...

ხოლო ერთმანეთს ასე უხმობენ: - Nika, come here!

ამ ბავშვების მშობლები ვერ ხედავენ რა ხდება ეზოში მაშინ, როცა ეკლესიაში მამულის გადასარჩენად ლოცულობენ... მე გეტყვით: ისინი ერთმანეთს ინგლისურად უხმობენ: - Nika, Come here!

წინა წერილის შემდეგ წასაკითხი ლექსები

ირაკლი აბაშიძე
ხმა კატამონთან

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.
ნათესავს ათასს
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა
დავშორდი,
მორჩა,
ყველა მოთავდა,
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ - ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის კარად.
თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწვავდა,
უტკბილეს დღეთა
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენას დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოველის მთქმელო,
ყოველის არ მთქმელო,
შენ, გმირთა გმირო,
ბრძენო ქართველო,
წარსული ძეგლო, წინ გამხედავო.
ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო.
ხან - ფუნჯო ჩემო, ხან - საჭრეთელო,
შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის
იბერის ენავ,
ენავ თამარის
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!
დაეცეს, იქნებ სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას.
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ უჭკნობს,
შენ ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?
ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან.

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა

მუხრან მაჭავარიანი

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგებზე ბაკურიანის პიონერთა ბანაკში მოვხვდი: იქ ვნახე ქართველი პიონერები, რომლებმაც სიტყვაც კი არ იცოდნენ ქართული.

ეს ჩემი ლექსი, ბავშვებო,
არც შემოდგომას ეხება,
არც სურათია ზამთრისა,
არც გაზაფხულის შექება.
ეს ლექსი გახლავთ აუგი -
მე გამოვდივარ ძაგებით
იმ თქვენი თანატოლების,
იმ თქვენი ამხანაგების,
საუბედუროდ, რომელნიც
ისე აღზრდილნი არიან,
ქართულად ხმას ვერ იღებენ,
რუსულად - გაგიხარია!
რუსულის ცოდნა, იცოცხლე,
სახარბიელო რამ არი,
მაგრამ ეს უნდა იცოდე -
მშობლიურია მთავარი.
ენა არ გაწყენს არც ერთი,
უნდა იცოდე რამდენიც;
ოღონდ არ უნდა დაჰკარგო
ქართული სიტყვის ნათელი!
მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.
ვინც არც იცის და არც უნდა
იცოდეს ჩვენი წარსული;
ვინც ხმას ვერ იღებს ქართულად,
არც სხვისი ესმის ქართული.
განა იმისთვის იბრძოდნენ
წარსულში მამა-პაპანი -
დღეს შვილმა აღარ იცოდეს
სისხლით დაცული ანბანი?!
თუკი წინაპარს შანთებით
ვერ დაავიწყეს ქართული,
თუ დღესაც მღერის ქართველი
ფერეიდანში ფანდურით,
შენ აქ რა ღმერთი გაგიწყრა,
ვინ იყო შენი გამზრდელი,
შენი გულისთვის დამიწდა
როცა ამდენი ქართველი?!
მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.

შენ, სისხლო ჩემო!

შენ -
სისხლო ჩემო -
სად არ დაღვრილო
შენ -
სად არ გხვრეპდა
შავი ყორანი.
ვინ გაგაკვირვოს,
რამ გაგაკვირვოს, -
ნადიდგორალი,
ნაშამქორალი.
შენ სისხლო ჩემო,
შენი ღვაწლია,
რამაც აქამდეც
კი მოაღწია:
სვეტიცხოველი
ხანძთა
ვარძია
და ისიც, -
რაც მტერს
წარუტაცნია
შენ სისხლო ჩემო -
შენი დინება
ვეფხისტყაოსნით
ხშირად მიგრძვნია
სიტყვა,
რომელიც გეჩოთირება,
ვცდილობ, გაშორო,
რაც შემიძლია
შენ –
სისხლო ჩემო –
სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო
და უცანურო
საბედნიეროდ,
საბედნიეროდ, -
ჰაი, ჰაი, რომ
კიდევ ხმაურობ.

რეკლამა

Long Life

არატრადიციული მედიცინის ოფისი

2054 East 35th street,
Brooklyn, NY 11234
718-382-5537;
917-815-0656 after 5pm

ბიოენერგოთერაპევტი
გალინა სმირნოვა

განკურნების სასწაული

- რა არის ბიოენერგოთერაპია?

- ბიოენერგოთერაპია არის მკურნალობა ბიოლოგიური ენერგიის ზემოქმედებით. ამ ენერგიის საშუალებით ხდება ზემოქმედება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, დაზიანებულ ორგანოებზე, უჯრედის დნმ ჩათვლით, ორგანიზმის ყოველი უჯრედი იმყოფება ჩემი სამკურნალო ენერგიის ზემოქმედების ქვეშ. თქვენს გკურნავთ ღმერთი ჩემი ენერგიის საშუალებით, თქვენ დარწმუნდებით ამაში უკვე პირველივე სამკურნალო სეანსების შემდეგ.

- რა დაავადებები ექვემდებარება მკურნალობას?

- მე ვმკურნალობ ყველა არსებულ დაავადებას, დაგეხმარებით სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემების დაძლევაში, მოვიყვან მხოლოდ რამოდენიმე სახეობას იმ დაავადებათა, რომელებზედაც მე მიმუშავსნია: გულის მანკი, ეპილეფსია, შაქრიანი დიაბეტი, სახსრების დაავადება, დეპრესია, პანიკური შეტევები, სიელმე, ფსორიაზი, წითელი ქარი, მეხსიერების და სმენისა და მხედველობის დარღვევები, ნერვული სისტემის დარღვევები, ენის დაბმა, ფსიქიკური გადახრები, პროსტატიტები, ოსტეოხონდროზი, ფარისებური ჯირკვალი, წნევა, ქალური პრობლემები, საშარდე და სასქესო სისტემების პრობლემები, უძილობა, ჰორმონალური დარღვევები. თუ თქვენ ან თქვენს ახლობლებს ესაჭიროება ოპერაცია, უმჯობესია მომმართონ მე.

- შეგიძლიათ თქვენ განსაზღვროთ დაავადება?

- დიახ, ჩემთვის ეს ძალიან მარტივია. მე ვატარებ დიაგნოსტირებას დაავადების ფოტოსურათის მიხედვით ან პირადი შეხვედრით. თუ თქვენ გინდათ გაიგოთ თქვენს და თქვენი დაავადებების შესახებ, შეგიძლიათ მომართოთ ჩვენს ოფისს.

- შეგიძლიათ თუ არა, რომ დაეხმაროთ ავადმყოფ ბავშვს?

- მე მზად ვარ დავეხმარო ნებისმიერ ბავშვს, ასაკის მიუხედავად, განუკურნებადი დაავადებების დროსაც. როდესაც მედიცინა უძლურია და მშობლები იმედს კარგავენ, მე შემიძლია მივცე მათ იმედი და განკურნება. 3-წლამდე ასაკის ბავშვებს კი სრული განკურნების გარანტიას ვაძლევ. მე დიდი გამოცდილება მაქვს ბავშვებთან მუშაობისა როგორც ამერიკაში, აგრეთვე რუსეთში. მე ვმუშაობ ისეთ დაავადებებზე, როგორაცაა RCP, აუტიზმი, ეპილეფსია, გულის მანკი, საბავშვო შაქრიანი დიაბეტი, ბრონქიალური ასთმა, დაუნის დაავადება, ჩამორჩენა განვითარებაში და მრავალი სხვა. ბავშვები ჩვენი მომავალია და მე ვეცდები რომ ეს მომავალი იყოს ბედნიერი თქვენთვის და თქვენი შვილებისათვის.

- შეგიძლიათ თუ არა თქვენ დახმარება ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის და მწეველობის პრობლემების დასაღწევად?

- დიახ, მე ადვილად ვწყვეტ მაგ პრობლემებს. თუ თქვენ ან თქვენი ახლობლები არიან ალკოჰოლზე დამოკიდებულები, ან სურთ დაანებონ თავი მოწევას, ჩვენ დავეხმარებით მათ ამ პრობლემების დაღწევაში მხოლოდ 5 დღეში და დავუბრუნებთ მათ სრულყოფილ სიცოცხლეს. დაიჯერეთ, ეს რეალობაა!

- რას ურჩევდით დეპრესიით დაავადებულ ადამიანებს?

- მე შემიძლია დავძლიო ყველა არსებული დეპრესია, დაწყებული პანიკური შეტევისგან კლინიკურ მდგომარეობამდე. როგორ მძიმედაც არ უნდა გრძნობდე თავს დღეს, და რა განცდებიც არ უნდა გქონდეთ მოცემულ მომენტში, ჩემი სამკურნალო სეანსების შემდეგ თქვენ ისწავლით არა მარტო როგორ ვიცხოვროთ, არამედ როგორ გიხაროდეთ ყოველი ახალი დღის მოსვლა. ჩემს პრაქტიკაში მრავალი პაციენტი იყო დეპრესიის უმძიმესი ფორმებით, მათ არ უნდოდათ სიცოცხლე, არაერთხელ უცდიათ თავის მოკვლა, ისინი არ იცინოდნენ და არ ტიროდნენ წლების განმავლობაში და დაკარგული ქონდათ მომავლის ყოველგვარი იმედი. მე სიხარულით შემიძლია ვთქვა, რომ დავეხმარე ყველა ჩემს პაციენტს, რომლებიც დეპრესიით იყვნენ დაავადებულნი და დავუბრუნე მათ კარგი გუნება-განწყობა, ენერგია, ოპტიმიზმი, სურვილი ეცხოვრათ და ემუშავათ.

- გვიამბეთ როგორ და როდის შეიტყვეთ თქვენი ამ ნიჭის შესახებ?

- მე ამითი დავიბადე, დავიწყე ამ ენერგიის გამოყენება ბავშვობიდან, მაგრამ პირველად ეს შეამჩნიეს სოფლის ბებიებმა, იმიტომ რომ, ჯერ კიდევ პატარაობისას საკმარისი იყო ვინმესთვის თავზე გადამესვა ხელი, რომ თავის ტკივილი უქრებოდათ.

- ყველა თქვენი პაციენტი ნიუ იორკის მაცხოვრებელია?

- რა თქმა უნდა არა! მე მინდა ავღნიშნო, რომ ჩვენ ოფისში ჩამოდიან არამარტო ნიუ-იორკის, ნიუ ჯერსის და მეზობელი შტატებიდან, არამედ მეორე სანაპიროდან და კანადიდანაც და ყოველ თქვენთაგანს ჩვენ მივიღებთ სიხარულით, ყურადღებით მოვუსმენთ, და მივცემთ დიდ იმედს სრული გამოჯანმრთელებისა. მე დაგეხმარებით თქვენს ირწმუნოთ სასწაული, არ მიუშვათ თქვენი დაავადება იმ ზომამდე, რომ დაგვიანდეს. ჩემი დახმარებით თქვენ იგრძნობთ სიცოცხლის ძალას და სიცოცხლით სიხარულს.

ბებია, რომელიც ახლაც თვალწინ მიდგას, ას ხუთი წლისა იყო, ბებიის ბებია, დიდი პეპერა, რომელიც ბებიასაც თვალწინ ედგა, ისე კარგად ახსოვდა, - ას თხუთმეტი წლისა. დიდი პეპერას ბებიაც - ას ათისა, მაგრამ ჩემს წინაპრებში ერთ ბებიას ას ოცდახუთი წელიც კი უცხოვრია... და მათ შორის ზოგიერთმა წერა-კითხვაც იცოდა. ბებიაჩემი სათვალეს ხმარობდა, მაგრამ ცალი მინა ჩატეხილი ჰქონდა და როცა ნემსში ძაფს უყრიდა, იმ თვალს ხუჭავდა, რომელზეც მინა ეფარებოდა (ასი წლის მოხუცი რომ კარგად ხედავდა, რცხვენოდა). კითხვის დროს კი სათვალეს მთლად შუბლზე აიტანდა: დაიქცა იმის ოჯახი, ვინც ეს მოიგონაო.

და იმ ას ოცდახუთი წლის ბებიაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ ბოლო, ასხუთწლიან ბებიასაც არაფრით წარმოადგინა, თუ ზღაპარი იწერებოდა და იკითხებოდა.

ზღაპრებს ყვებოდნენ. ზღაპრებს ყვებოდნენ ზამთარში კერიის პირას, ზაფხულში - აივანზე, დავახშმებული მთვარე რომ თავზე წამოადგებოდათ. ყვებოდნენ ლოგინშიც კი. ასე კი არ იყვნენ ადამიანები ცალ-ცალკე ოთახებში ჩაკეტილი. ერთი გრძელი ტახტი იყო გაჭიმული დარბაზის თავიდან ბოლომდე და ზედ გამწკრივებული ლოგინები. ბავშვები, ოთხიც კი, ერთად იწვნენ, ერთ საბანში.

ზამთრის გრძელ ღამეს რამდენიმე ზღაპარი იყო საჭირო და მთელი ზათარი, ვინ მოთვლის - რამდენი. სად დაჰქონდათ ამდენი წიგნი და ქაღალდი, ამდენი ლამპა და ფარანი, ან რა გემო აქვს დაწერილ ზღაპარს. თუ გარეთ შემოდგომის კოკისპირული წვიმა ან ქარბუქია და შენ ყვები - მაისის ვარდი ჰყვაოდაო, ვის რად უნდა. თუ ჭინკობის თვეა და შენ ვაზის ყვავილობა პირზე გაკერია, ვინ მოგისმენს. ზღაპრები ითხზვებოდნენ ან გადაკეთდებოდნენ დროისა და ამინდის კვალობაზე. თუ ოჯახში მძიმე ავადმყოფი ჰყავდათ, უკვდავების წყალი უნდა გეძებნა. თუ საქორწილო გყავდა ვინმე, უფლისწულისა და დედოფლის ამბავი უფრო უპრიანი იყო. მტრისას და ავისას, ვინმე ახლობელი წავიდოდა ამ ქვეყნიდან - საიქიოს ბეწვის ხიდზე გასვლაზე და სამთხეში დამკვიდრებაზე ჰყვებოდნენ. ასე რომ აიღო წიგნი და მშიერს დოყლაპიების ამბავი უკითხო, ნაზუქების მთა რომ შეჭამეს, არ უნდა, თუ მსმენელს პურის ნატეხი ენატრება.

ძნელია, შენ რა გიჭირს და გილხინს, წიგნში ისეთი ზღაპარი იპოვო და გადაკეთება ხომ - შეუძლებელი. დაბეჭდილს და დახატულს რაღას მოაკლებ და მიამატებ.

ცხრა დედმამიშვილს ცხრა და-ძმის ზღაპარი ერჩია მდიდარი, დედისერთა ნებიერას ამბავს. ზღაპარი მარტო გასართობად და უძილობის ჟამს თავშესაქცევად კი არ იყო მოგონილი. ზღაპარი ავადმყოფს კურნავდა, მშიერს აპურებდა, ღარიბს ამდიდრებდა; გერს დედინაცვლის ჯავრს ამოაყრევინებდა, ობოლს კვერს უცხობდა, მკვდარს საიქიოდან აბრუნებდა, უნუგეშოს ანუგეშებდა და მონას მეფობას ჰპირდებოდა. მართლა ისე კი არ იყო საქმე, ჩვენ რომ ზღაპარი ზღაპარი გვგონია.

ზოგჯერ გრძელი, გაუთავარი ზამთარიც იცოდა და ზღაპრებში რომ ბოროტებას დავამარცხებდით, მოვსრავდით დევებს და ავსულებს, მოვილხენდით, გავმდიდრდებოდით, დიბა-ატლასით და მოსირმული ჩოხა-ახალუხით შევიმოსებოდით, გავუფლისწულდებოდით, ვიქორწინებდით მზეთუნახავებზე, მეფედ აღვზევდებოდით, რაღა გვექნა, აღარაფერი იყო ისეთი, რაზეც ოცნება შეგვეძლო, მაგრამ რუსთველი ამბობს: "გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელიო" და ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები მოგვინდებოდა და ბებია იხსენებდა ჩვენი ას-ასწლიანი ბებიებისაგან გაგონილს.

ბევრი მისი ნაამბობი ზღაპარი სხვაგანაც გამიგონია და წამიკითხავს, მაგრამ ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები - არა. კი გითხარით, დაწერილს, დახატულს და დაბეჭდილს ის გემო და პეწი არა აქვს, მაგრამ მთლად რომ დაივიწყოთ და წყალს გავატანოთ, არ ივარგებს; თქვენც ხომ უნდა იცოდეთ, რაა ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები?..

ოთხი დაია და გაზაფხული

ოტია იოსელიანი

იყო ზღაპრად გაუგონარი თეთრი, მაგრამ ავი და ცივი ზამთარი. ქვეყანას სქელი, ქათქათა საბანი ეხურა. ამ საბნის ქვეშ დედამიწას ჩახუტებული ყვავილები თვლემდნენ და მოთმინებით ელოდნენ მშვენიერი, მხიარული, მწვანე გაზაფხულის მოსვლას.

ბუნების სტიქიას ყვავილთა უმშვენიერესი მეფე - ვარდიც კი არ დაენდო. ერთიანად განქარცვა, დაებუქა, მიწამდე დაეტანა და ძილქუში შეეყარა.

ეძინა ოთხ დაიასაც: ენძელას, ყოჩივარდას, ფურისულასა და ია-იას.

ენძელას ვარდი, როცა ჰყვაოდა, მაშინაც არ უყვარდა (მეფე ყველას კი არ უყვარს). ძალიან ბრაზობდა და ჭორაობდა: გენაცვალეთ, რა მოხდა, რომ გადაბრდღვიალებულა, ქვეყანას აგიჟებს, არც სინდისი აქვს, არც სირცხვილი, საცოდავი ბულბული ხომ სულ გადარიაო. ვარდის ჯიბრზე ვარდისფერს ვერ იტანდა და თეთრ კაბას იცვამდა.

ყოჩივარდა კი, პირიქით, ვარდზე ისე იყო შეყვარებული და მეფის სიტურფით მოხიბლული, მისი ყველაფერი მოსწონდა და, დედას კი არა, ვარდს ფიცულობდა და არაფერი უნდოდა, ოღონდ ვარდისფერი სცმოდა. თან სამოსს ანაოჭებდა და აკვარაკუნჩხებდა, იქნებ მეფის კაბას დავამსგავსოო.

ფურისულა ვარდზე არც ავს ამბობდა და არც კარგს. იცოდა, რასაც ვერ შესწვდებოდა, არც ეპოტინებოდა. თავისუფალი, სადა სამოსი უყვარდა და ფერებში დებს ჰბაძავდა: მოთეთროც მოსწონდა, მოვარდისფროც და მოლურჯოც.

ლურჯს კი, და მხოლოდ ლურჯს, ძალიან მორცხვი და მოკრძალებული ია იცვამდა.

მაგრამ სანამ ბუნება ბობოქრობდა, გათოშილები თვლემდნენ თოვლის თეთრ საბანში და ელოდნენ ოქროს სხივებით მოქარგულ პირმცინარ გაზაფხულს. გაზაფხული კი არა და არ ჩანდა, რაკი ზამთარი ავობდა და უსუსური ყვავილები კი არა, ასწლოვანი მუხები და ძელქვები ვერ ბედავდნენ კვირტის გაშლას, გათოშილი დედამიწა კი წუხდა და იტანჯებოდა, რომ დრო უსაქმურად, უნაყოფოდ გადიოდა და ქარ-ყინვას დასასრული არ უჩანდა.

- ადექით, ადექით! გეყოფათ ძილი და უსაქმურობა! - გაწყრა ერთ დილით დედამიწა.

- გათენდა? - იკითხეს დებმა და ფანჯრიდან გაიხედეს.

გათენებას ყვავილები გაზაფხულის მოსვლას ეძახიან.

- თუ არ გათენდა, ადექით, წადით და გაათენეთ! - ბრძანა დედამიწამ, - აბა, სანამდე უნდა იყოს ქვეყანა ბნელში?

ესე იგი, თუ არ გაზაფხულებულა, ადექით, წადით და გაზაფხული მოიყვანეთ, აბა, სანამდე უნდა იყოს ზამთარიო.

მართალია, თოვლი თეთრია, მაგრამ ყვავილები ზამთარს მაინც ბნელს ეძახიან, რაკი აცივებისთანავე მიწის ქვეშ იმალებიან და იქ, რაღა თქმა უნდა, ბნელა.

- რა დროს გათენება და გაღვიძებაა, თავზე ერთი მტკაველი სისქის თოვლი გვახურავს! - გადაბრუნდა ენძელა კედლისკენ, სადაც ხალიჩა ეკიდა, რომელზეც თეთრი ყვავილები, თვითონ ენძელა და რატომღაც ბულბული იყო ამოქსოვილი.

- ამ სიცივეში ყვავილი კი არა, ძაღლი არ გაიგდება გარეთ! - აწუწუნდა ყოჩივარდა და საწოლის თავზე დაკიდებულ სისხლისფერი წითელი ვარდის დიდ სურათს თვალი მიაშტერა.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! - ორივე დაიას დეთანხმა ფურისულა. ქვეშაგებში ჩაძვრა და ისევ ჩათვლიმა.

- დედიკო, ახლავე ავდგები, მაგრამ რომ არ ვიცი, რა გავაკეთო? წამოხტა დედის გამგონე და დაუზარელი ია-ია.

- თოვლს თუ უყურეთ, ეგ იქნებ მთელ წელიწადსაც იდოს. წადით, ქვეყანას მოედეთ და ახარეთ გაზაფხული.

- ოჰ, მზეთუნახავი გაზაფხული, როგორ მომენატრა! - აცრემლდა ია-ია.

- ასე რომ გიყვარს და გენატრება, როგორ გგონია, თქვენ იძინებთ და თავისით მოვა? თვალი გაახილეთ, გაისარჯეთ, მთა და ბარი მოიარეთ, ეძებეთ, მოუხმეთ, მიესიყვარულეთ, აყვავდით, ააყვავეთ, გაახარეთ დიდი და პატარა, თუ გინდათ, ქვეყნად პირველი ყვავილი გერქვათ.

- დედიკო, პირველი ყვავილი ხომ ვარდია, იმას ვინ შეედრება! ვერაფერი გაიგო იაიამ.

- ვარდი პირველი კი არა, ულამაზესი ყვავილია. გაზაფხულის ყვავილი, პირველი ყვავილი იქნება ის, ვინც არ იზარმაცებს, ამ თოვლსა და სუსხს არ შეუშინდება, გაზაფხულის მოსვლას ახარებს მთასა და ბარს და ამ საძაგელ ზამთარს მოაშორებს.

- მე ზამთართან ბრძოლა სად შემიძლია. ან ასეთი დიდი ბედნიერების მახარობლად როგორ გამოვდგები, როგორ გავბედავ ნატვრისთვალ გაზაფხულს წინ წავუძღვე, როცა ქვეყნად ასი და ათასი ფერის და სილამაზის ყვავილებია.

- პირველი ყვავილი იქნება, ვინც გაზაფხულს წინ წაუძღვება? - იკითხა კედლისკენ გადაბრუნებულმა ენძელამ და გადმობრუნდა.

- პირველი ყვავილი იგივე ვარდი არაა?! - წამოვარდა ყოჩივარდა.

- ამდენ ყვავილებში პირველი კი არა, მეორეც რომ იყო, რა ბედნიერებაა! - თავსასთუმალში დაწყობილ კაბებს ეცა ფურისულა.

- ია, გენაცვალე, მიდი, ჩემი თეთრი კაბა დამიუთოე! - მიაძახა ენძელამ და თვითონ პირის დასაბანად გავარდა.

- დაუთოება მეც ხომ მინდა! - მოაგონდა ყოჩივარდას, კაბაში თავი ჰქონდა გაყოფილი, რომ გადაიძრო.

იამ გატკიცინებული ქათქათა თეთრი კაბა შეაგება ენძელას და როგორც კი უთო დაადო, ფურისულა ეცა და თავისი კაბების დაუთოებას შეუდგა.

- ია-ია, მალე ქენი, აბა, გამიმზადე, თორემ ეს მეტიჩარა ენძელა გამასწრებს, - აწუწუნდა ყოჩივარდა, მაგრამ ფურისულამ იას უთო არ დაანება.

ენძელამ, როგორც კი კაბა გადაიცვა, კარი გამოაღო და თოვლში გავარდა, პირველი ყვავილი ვიქნები, ბულბული, ვარდს კი არა, მე მიგალობებსო.

- ვაიმე, მიშველეთ! - გადაირია ყოჩივარდა.

- ჯავრი ნუ გაქვს, - დაამშვიდა ფურისულამ, - ენძელა თეთრია და თოვლზე ვერავინ შეამჩნევს.

- ვერავინ შეამჩნევს? - დაშოშმინდა ყოჩივარდა, მაგრამ როცა ფურისულამ თავისი ფერადი კაბები დაუთოვა და ჩაცმა დაიწყო, ისე გადაირია, - ენძელას თუ არა, შენ ხომ შეგამჩნევენო! - სტაცა ხელი თავის კაბას, ის იყო, ია რომ აპირებდა დაუთოებას, ფაციფუციით გადაიცვა და მაშინვე გარეთ გაიჭრა, ძლივს გაასწრო ფურისულას, რომელიც, რა თქმა უნდა, მაშინვე ფეხდაფეხ მიჰყვა.

- რაღას უცდი? - ჰკითხა დედამ იას, - შენ რა, მათი დაია არა ხარ?

- ჰო, დედიკო, მაგრამ უკვე რომ წავიდნენ? ენძელა თეთრია, ამაყი და პირველობაც ეკუთვნის. თუ არადა, ყოჩივარდა ხომ ვარდისფერია, შორიდანაც შეამჩნევენ. ფურისულას იმდენი ლამაზი კაბა აქვს, რომელ კორდზეც და ტყისპირებზეც ის და ყოჩივარდა გამოჩნდებიან, ნამდვილი გაზაფხულიც იქ იქნება.

- ესენი ისე უკანმოუხედავად გაცვივდნენ, სურნელიც კი სარკის წინ დავიწყებიათ, აბა, უსუნო ყვავილი ყვავილია?

- მერედა, რას იტყვიან ჩემი დები, რომ მათი წილი სურნელი გადავისხა და გაზაფხულის ყვავილის სახელი დავიჩემო?

- აბა, როგორ, შენ უსაქმურად შინ დამიჯდები? რისთვის გზრდიდი და გივლიდი, თუ ქვეყანას არ გაახარებ! - გაწყრა დედამიწა.

- არა, დედა, უსაქმურად ყოფნა კი არ მინდა, მაგრამ მე რა გამოსაჩენი ვარ...

- აბა, აბა, ახლავე გასწი და საქმეს მიხედე, საქმე გამოგაჩენს!

ია-იამ ვარდისფერ, სურნელებით სავსე დაიების შუშებს ხელი მაინც არ ახლო. იქვე, თავისი პატარა იისფერი შუშა აიღო, ჩარჩენილი სუნამო თავზე დაიწვეთა, დრო რომ არ დაეკარგა და დედა არ გაენაწყენებინა, ლურჯი კაბა არც დაუუთოებია, ისე მოირგო და მაშინვე წავიდა.

გარეთ ბებერ ზამთარს გაეგო, ყვავილებს გაუღვიძიათო! გაავებული ქშინავდა და ქარში თოვლის ფანტელებს და ხოშკაკალას ურევდა.

ია-იამ სადღაც, ბუჩქის ძირას, მოფარებული ადგილი მოძებნა, ამოძვრა მიწიდან და აკანკალებული, თავდახრილი დადგა - აქაოდა, არავინ ჩემს დებზე ადრე არ დამინახოსო.

თოვლისა და ყინვისაგან გათოშილი ქვეყანა მოუთმენლად ელოდა გაზაფხულს. განსაკუთრებით ბავშვებს მისდიოდათ სული, ისე ენატრებოდათ ცხელი მზე და მწვანე მინდორი. მაშინ კალენდარი არ ჰქონდათ, მაგრამ მაშინ კი არა, ახლაც ყვავილებს მოჰყავთ გაზაფხული და არა კალენდარს.

ენძელა რომ თოვლიდან ამოძვრა და ქვეყანას ბუნების განახლება ახარა, ზამთრის შიშით გარეთ ვერავინ გამოდიოდა, თეთრი ყვავილი შორიდან ვერავინ შეამჩნია.

ყოჩივარდა და ფურისულა რომ კორდზე დასხდნენ, ფანჯარაზე ცხვირმიჭყლეტილმა ბავშვებმა, იცოცხლე, გაიხარეს. მაგრამ სურნელება არც ერთს არ ჰქონდა და ვაითუ, რაც გვენატრება ის გველანდებაო...

მაგრამ, როცა ია-ია ამოვიდა და ქარმა მისი ნაზი და მოკრძალებული სურნელი ქვეყანას მოჰფინა, მაშინ კი იფიქრეს, გაზაფხულს გაღვიძებიაო და ჟრიამული ატეხეს, ტყესა და მინდორს მოედვნენ.

ბუჩქის ძირას თავდახრილი ია-ია, - ეს რა აურზაური ავტეხე, დებს არ ვაწყენინოო, - კიდევ უფრო მიიყუჟა და თავი დამპალ ნეშოში ჩამალა. მაგრამ რაც უნდა იმალო, თუ იის სურნელს აკმევ,ვინ ვერ გიპოვის.

- გაზაფხულის ყვავილი!..

- პირველი ყვავილი! - აყიჟინდნენ ბავშვები და შემოესივნენ.

- ბედნიერების მახარობელი!

- ბუნების განახლების მაცნე!

- უპირველესი ყვავილი!

ერთმანეთს ულოცავდნენ, გულში იხუტებდნენ, მკერდზე იბნევდნენ. სახლში ქოთნებში, კოჭობებში ათავსებდნენ, შაქარწყალს ასმევდნენ, შეჰხაროდნენ, უმღეროდნენ...

- ზღაპრად... ზღაპრად გაუგონარი ამბავია, - თავი ახლაც სიზმარში ჰგონია ია-იას, - ამოდენა, უამრავი წითელ-ყვითელი ყვავილით მოჩითულ დედამიწაზე მე, ასე პატარას, ლურჯს და უსახურს პირველობა?..

მას შემდეგ, რაც ქვეყანა არსებობს, რაც ზამთარი ავობს და დიდი და პატარა ცხრათვალა გაზაფხულს მოუთმენლად ელის, ენძელას გამოჩენაც ახარებს, ყოჩივარდასიც და ფურისულასიც, მაგრამ ლურჯთვალა ია-ია რომ ბუჩქის ძირას მორცხვად თავს ამოჰყოფს და სუსტ, ნაზ სურნელს ნიავი არემარეს მოჰფენს, ყველას სჯერა, რომ მწვანე, ოქროსმზიანი გაზაფხული კარზეა მომდგარი.

საქმე, საქმე თქვი, თორემ... ვინც მორცხვი და მოკრძალებულია, განა შეუმჩნეველი რჩება?



აკა მორჩილაძე

აკაკიმ იცოდა არამუდი ენა

ქუთაისის ბულვარი 1908 წელს. ფოტო რედაქტორის პირადი არქივიდან

1914 წლის 7 დეკემბერს 74 წლის თავადი აკაკი წერეთელი, ყველაზე განთქმული და უსაყვარლესი პოეტი, რომელსაც ბუები, ღამურები და თხუნელებიც კი ცნობდნენ სახეზე, ჩავიდა ქუთაისში მატარებლით, თბილისიდან.

მას ეცვა ძველი, ერთ დროს საუცხოო, შვიდთუმნია-ნი პალტო შავი ფერისა და ეყრდნობოდა ხელჯოხს. პალტო იყო ცამეტი წლისა, რუსეთის რევოლუციამდე ნაყიდი და მას მეტად უხდებოდა გულისპირზე დაფენილი სავსებით თეთრი წვერი ამ ზამთრის დასაწყისში, რადგან ნოემბრის ბოლოდან თბილისში ორჯერ მოთოვა და როცა აკაკი ქუჩაში დადიოდა, ფიფქი ისე ეფინებოდა ძველი შავი პალტოს კრაველის საყელოს, რომ საზღვარს აკაკის თეთრ თმაწვერსა და ფიფქს შორის ძნელად იპოვიდი.

იმ თოვლიანობაში აკაკის ბევრი სიარული უწევდა: პეტერბურგიდან (თუ უკვე პეტროგრადიდან) ვაჟიშვილის წერილი მოუვიდა, მე და დედაჩემს, ანუ შენს ცოლს, ფული გვჭირდება, თორემ შიმშილით დავიხოცებითო. ერთი თვის წინ ვაჟი თბილისში ჰყავდა და რაც კი რამ შეეძლო, ყველაფერი ჩაუკეცა საფულეებში. ამიტომ წერილი ელდის დამცემი იყო.

აკაკის არ უყვარდა ზამთარში წოწიალი, მაგრამ მთელს ქვეყანაში ყველაზე განთქმული და გამოცდილი მსესხებელი იყო. ის ასე ცხოვრობდა: სესხულობდა და ისტუმრებდა. იცოდა, ვისგან ესესხა და იოლად სესხების ხერხებიც ძველთაგანვე შეესწავლა.

მაგრამ ეს ზამთრის დასაწყისი გამოდგა ოხერი, ძუნწი, ვერაგი და ულმობელი. აკაკი უყურებდა თავის სველ პალტოს, გრძნობდა მის სუნს, როცა შრებოდა ეს პალტო, ბუხრის წინ მიფენილი, და ისმენდა უარს. მერე თავად ამბობდა უარს ჩაიზე, ხელჯოხის ბიჯგებით ჩადიოდა სველ კიბეზე.

ერთი კვირის სიარულმა კაპიკიც არ მოიტანა. ეს იყო დიდი ომის პირველი ზამთარი. ამიტომ თავადი აკაკი წერეთელი გაემგზავრა ქუთაისში, თავის საყვარელ ქალაქში, რომელიც ერთიათად პატარა იყო, ვიდრე თბილისი. ოღონდაც ქუთაისში ყოველ მესამე სახლში მდიდარი ვაჭარი ცხოვრობდა, წინა ორში კი - აკაკის მოსიყვარულე, მისი ლექსების ზეპირად თქმის შეჯიბრებებში სამუდამოდ გამარჯვებული ქალი ან კაცი.

აკაკიმ იმგზავრა ერთი პატარა ჩემოდნით და ერთი დიდი, ჩალურსმული ყუთით: ავიდა მეორე კლასის ყვითელ ვაგონში ისე, რომ მთელი თბილისის სადგური უყურებდა და ასევე - მთელი მეორე კლასის ვაგონი.

კონდუქტორს ბილეთი არ მოუთხოვია, მხოლოდ ოდნავ დარცხვენილმა გაუწოდა გალეული ფანქარი და წინ გადაუშალა წიგნაკი ხელის მოსაწერად. აკაკიმ ჩვეულებრივ მოაწერა: "აკაკი". კონდუქტორმა შესთავაზა ლოგინის გაშლა, თუმცა პოეტმა მხოლოდ ბალიში მოითხოვა. მერე გაიხადა პიჯაკი და ფეხსაცმელები, მიწვა ხის მაგარ კოიკაზე და თავისი პალტო მიიფარა კედლისკენ გადაბრუნებულმა.

სანამ მარტო იყო კუპეში, ამის მოსწრება უნდოდა. არ უნდოდა თანამგზავრებთან ლაპარაკი.

ქუთაისში არ იყო თოვლი და იყო ქარი.

ცივი ქარი იყო. აკაკიმ სადგურშივე დაიჭირა ეტლი და მისცა აბაზი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეეტლეს ორი სხვა მგზავრიც უნდა აეყვანა. მეეტლემ ქუთაისის სადგურის წინ ჩამოატარა ეტლი ქარში, მოედანზე და თან დასძახოდა:

- ორი აბაზი! ორი აბაზი!..

- ორ აბაზზე მეტი არ ვღირვარ? - გაიცინა აკაკიმ, - ჰა, ბიჭო... რა გასაყიდი ბაღდადივით ჩამომატარე...

„გრანდ ოტელი" იყო ორსართულიანი, მგონი, სამოცდაორფანჯრიანი შენობა, ყველაზე გრძელი ქუთაისში, ყალბი კორინთული სვეტებით ისე, როგორც ისედაც უგემოვნო იერის ტორტია ხოლმე დამახინჯებული ბეზეს ჩუქურთმებით.

„გრანდ ოტელის" მეორე სართულზე, სამხრეთის დერეფნის სულ ბოლოში, იყო ოთხი გაუთბობელი ოთახი, რომელთაგან ერთ-ერთიც დაიჭირა თავადმა აკაკი წერეთელმა. ფანჯარა გადიოდა ქუჩაზე, მაგრამ ფანჯარა ამოგმანეს პოეტის თხოვნით, რათა როგორმე შეეკავებინათ ოთახში ჩამომდგარი ლიგვი. თბებოდა მხოლოდ პირველი სართული.

ქუთაისში ყინავდა, განსაკუთრებით ღამით. აკაკი მაინც არ გაჩერდა პირველ სართულზე. ღუმელიან ოთახზე ფული ათ დღეს ეყოფოდა, უღუმელოზე - ჩვიდმეტ დღეს. ეს ნიშნავდა, რომ აკაკის არც ქუთაისში ჰქონდა ფულის შოვნის იმედი. ოთახის ფასში მოქცეული იყო დილის ჩაი და თბილი წყალი ხელ-პირის დასაბანად. კვირის შვიდი დღიდან აკაკიმ მხოლოდ ორ დღეს დაანიშვნინა სადილი, სამშაბათს და პარასკევს (დანარჩენ დღეებს ვიზიტად სადილობას ვარაუდობდა), გადაიხადა ერთი კვირის ფული, მოითხოვა ჩაქუჩი და გაზი და სასტუმროს ბიჭს აახდევინა თავისი შეჭედილი ყუთი, რომელიც გამოდგა პირთამდე სავსე ქაღალდებით.

აკაკიმ ამოალაგა ათიოდე ფურცელი, ჩაიკეცა შავი პალტოს ჯიბეში და გავიდა ოთახიდან.

იმ ოთახში მხოლოდ ღამის გასათევად თუ შევიდოდა.

ეს ფურცლები იმისთვის სჭირდებოდა, რომ თუ სადმე თბილ ადგილას მოიცლიდა, შვიდი ლექსი ჩაესწორებინა. ცივ ოთახში ამის ხალისი და ჯანი არ ექნებოდა, ქუთაისში კი მისთვის ყველა ოჯახის კარი ღია იყო. სადმე მოახერხებდა, იმ დღესვე.

ეს შვიდივე ლექსი ომს შეეხებოდა. დიდმა ომმა გვარიანად იმოქმედა აკაკიზე. ის დაუზარელად წერდა გამამხნევებელ წერილებს გაზეთ „თემში," გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებას წინასწარმეტყველებდა. მთელი ამდენი წელიწადის, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მან პირველად მოიხსენია რუსები რაგინდარა დადებითი სიტყვათა შეთანხმებით, "გმირი რუსებიო,"- მაგრამ, ეს ომს შეეხებოდა.

ამიტომ ლექსებიც ომზე გამოსულიყო. ყოველგვარი გასწორების გარეშეც დაიბეჭდებოდა, მაგრამ აკაკის არ უნდოდა უჰონორაროდ ან იაფად გამოექვეყნებინა ისინი. არ უნდოდა, იმიტომ, რომ ახლა ამგვარ განწყობაზე იყო: ფული სჭირდებოდა და როცა აკაკის ფული სჭირდებოდა, ის შეიქნებოდა საცოდავი, დაუნდობელი, კეთილი და მტკიცე.

ქუთაისის მთავარ ადგილად მაშინ იყო ბულვარი, გულვარდად წოდებული. საქმე იქ იჩარხებოდა. მაგრამ ახლა იყო ზამთარი, ქარი და იქ გავლას აზრი არ ჰქონდა. იქ ვერავის ნახავდი იმ პირველი ხუთი კანდიდატიდან, ვისგანაც შეიძლებოდა ფულის სესხება. ამ ხუთიდან ნამდვილი იყო ორი, ხოლო სამი კი - სამარქაფო. აკაკის არ უნდოდა მევახშეებისგან სესხება. არც თბილისში და არც აქ. პროცენტი საბოლოოდ გასწყვეტდა წელში, თამასუქი ჯიბეს დასწვავდა.

პოეტმა ჯერ არ იცოდა, რომ არც ერთი ამ ორთაგანი, ვისაც ამხანაგობით უნდა ესესხებინა ფული, იმ ზამთარს ქუთაისში არ იყო.

იდგა მარხვა.

აკაკი ბოლოს მარხულობდა გიმნაზიაში შესვლამდე.

ანუ მაშინ, როცა მამისეულ სახლში ცხოვრობდა. ახლა მოდიოდა ქარის ქუჩაზე და გულში ხუმრობდა:

- მარხვა მიჭირავს, ბატონო!

ეს იქნებოდა სავარაუდო პასუხი პირველსავე გამომლაპარაკებლის კითხვაზე, რასა იქმ, საქართველოს ბულბულო, ჩვენო აკაკი, როგორ ხარო.

თორემ ცნობით ქუთაისში აკაკის ყველა იცნობდა. საქმე გამომლაპარაკებელი იყო.

- ვმარხულობ. მგონია, ბოლოჯერ ცხოვრებაში. რომ ფეხი გავფშიკო...

სრულ შუადღისას აკაკი შევიდა საქალაქო ფოშტის შენობაში, სადაც მიუჯდა მაგიდას და მისწერა წერილი თავის მოურავს კოტე აბდუშელიშვილს სოფელ სხვიტორში. აბდუშელიშვილს მოურავად მხოლოდ გარეშენი თუ მოიხსენიებდნენ და ისიც ზურგს უკან. მოურავად აკაკი მას არ ცნობდა, "ჩემი მიწების გამრიგეს" უწოდებდა და მისდამი მიწერილი ყოველი წერილი ერთნაირად იწყებოდა: „ძმაო კოტე..."

ამგვარი ერთნაირობით აკაკი მხოლოდ თავის ნამდვილ დაძმებს თუ მიმართავდა წერილებში.

აკაკიმ მისწერა კოტე აბდუშელიშვილს მთელი ვითარების გარემოებანი წვრილად და მოახსენა ისიც, რომ ფულის სესხებას აპირებს ხელთუფლიშვილებისგან ან ერთი წერეთლისგან, მერე კი ქუთაისიდანვე გადაგზავნის ფულს პეტერბურგში, რის შემდეგაც მატარებლით მივა საჩხერემდე, სადაც ეგებ ეტლი ან ურემი დაახვედრონ სხვიტორამდე სავალად, ანდა მარხილი, თუ თოვლს მოელიან. მაგრამ ამისთვის წინდაწინვე დაგიკრავ ტელეგრამასო.

აკაკიმ არ იცოდა, რომ ის ხელთუფლიშვილები, რომლების იმედიც ჰქონდა, ქალები თბილისში ყოფილიყვნენ საზამთროდ და თავისი გულმავიწყობის გამო აკაკიმ არც მოიკითხა; ეგებ გულმავიწყობის გამო არა და იმიტომ, რომ მეორე ნომრად ეყენა მსესხებლებში. კაცები კიდევ კომერციაზე ყოფილიყვნენ შორს.

ის წერეთელი და იმისი კოხტა ცოლი კიდევ სოფელში მდგარიყვნენ, ასევე საზამთროდ.

მაგრამ აკაკიმ ესენი არ იცოდა, კოხტად დაბეჭდა წერილი და კალამიც მოხდენილად გაჭკრა რუსულად: "საჩხერი, სხვიტორი, იმენიე კნ. აკ. ცერეტელი, კოტე".

წერილს კაპიკიანი მარკა დაუკრეს, რაზეც აკაკი სიცილით მოკვდა:

- ფეხით რო გაუშვა ეგ წერილი, თქვენ ფოშტას მიასწრებს...

ფოსტის მოხელემ ისე შესცინა, როგორც ოლიმპოდან დაძრულს და წამოიწყო მორიდებით და ტკბილად:

- ჩემო ციცინათელა, რად მიფრენ ნელა-ნელااااა, შენმა შორით ნათებაამ...

აკაკიმ უკან გადააგდო თავი, რათა დამძიმებულ, უმოქმედო ქუთუთოებს ქვემოდან უკეთ შეეთვალიერებინა მოხელე.

- აჰ, ძმობილო, - უცებ აიქნია ხელი, - უკანა მისამართი დამავიწყდა... მიუწერე შენს გახარებას, „გრანდ ოტელი".

- უკაცრავათ არ ვიყო, - შემოესმა უკნიდან, - ჩემო ბატონო...

- ჰო, ბატონო... - აკაკი მობრუნდა მთელი ტანით და დაინახა გამხდარი კაცი, ასე ოცდათორმეტი წლისა, ხავერდის საყელოთი, შარფით.

- მესხი... სარდიონ მესხი...

- მესხი! - ჩაიქირქილა აკაკიმ, - მესხი. სარდიონ მესხი. შვილიშვილი. სარდიონის... მიხაკოსი თუ გრიგოლის...

- გრიგოლის, - მაღალი კაცი მღელვარედ ართმევდა ცივ, ღონიერ ხელს, - ექიმი... რა გასახარებელი დღეა ჩემთვის, ბატონო.

სარდიონ მესხი აკაკის ძველი კარგი ნაცნობის შვილიშვილი იყო. აკაკის ენახა მხოლოდ პატარა ბიჭობაში. მერე მესხი ბევრგან დაეუფლა დოქტორობას და ახლა ექიმობდა კერძო პრაქტიკით; ხოლო რაც ომი დაიწყო, საქალაქო ლაზარეთშიც, რომელიც სამხედრო ვითარების გამო ხელქვეით მისცეს ქუთაისის მთავარ სამხედრო ექიმს, სხვანაირად კი ჰოსპიტალს. ამ ორი სამკურნალოს გარდა, ქუთაისში იყო უკვე გარდაცვალებული სამსონ თოფურიას სამკურნალო, სადაც ერთხელ აკაკი სიკვდილის კარიდან გამობრუნდა. კერძო პრაქტიკის მიმდევრებში ყველაზე განთქმული იყო ივანე გომართელი, რომელიც მუქთაზეც მკურნალობდა, რევოლუციონერიც იყო, ლამაზიც, მწერალიც და კაი ექიმიც. მასზედ ლექსს ამბობდნენ: "მე გავყვები გომართელსო, უკეთესად მომარჩენსო".

აკაკიმ და სარდიონ მესხმა ილაპარაკეს ომზე, ფოშტის შენობაშივე, და ქარში გამოვიდნენ გარეთ. მესხმა სახვალიოდ სადილად მიიპატიჟა. აკაკიმ იუარა, ეგება სულაც არ ვიყო ქუთაისშიო. თუმცა, სადილზე არაერთგზის მიპატიჟებას, ცხადია, მოელოდა ამ პატარა ქალაქში.

- ლაზარეთში წამიყვანე... - უთხრა უცებ, - წამიყვანე ლაზარეთში, დაჭრილებს ვნახავ.

მესხი გაოცდა, უფრო კი აღტაცდა. ისინი წავიდნენ ეტლით.

ლაზარეთში იყო სითბო და იდგა წამლების სუნი. აკაკიმ არ იცოდა: საქალაქო ლაზარეთში ოსმალეთის ფრონტის ტყვეები იწვნენ, რუსის ჯარისგან ბრძოლის ველიდან წამოკრეფილი მტრის დაჭრილები.

აკაკი შევიდა ერთ პალატაში, სადაც ოცდაათი კაცი იწვა, იმათგან ნახევარი - იატაკზე.

ბურჟუიკის ახლო, თხელ ლეიბებზე, ზეწრებში გამოხვეული მთლად გამხდარი ეყარნენ შავგვრემანი ახალგაზრდები, შიშვლები, თვალებდასივებულები, სიკვდილის ნიშნით. ესენი იყვნენ ტიფიანები და როგორც მესხმა თქვა შეწუხებით, არ იყვნენ ოსმალები, არამედ ოსმალთაგან ომში ძალათ წაყვანილი არაბეთის შვილები, ბედუინები.

აკაკი კარგა ხანს იდგა ვიწრო გასასვლელში და უყურებდა ამ საბრალო მომაკვდავებს. შეკრული პალტო მოძრაობას უშლიდა. თავი, უკვე მიჩვეულად, უკან გადაეგდო.

უცებ მან ღვინო მოითხოვა.

მესხი დაფაცურდა. მოიტანეს ლიტრიანით, ნაკლული, ვარდისფერი ღვინო.

აკაკიმ ბურჟუიკასთან მიფენილი მიტკალი აიღო და ღვინოში გაალბო, მუჭში გამოწურა.

მერე, კიდევ უფრო მოულოდნელად, გადაფორთხდა სკამებსა და ფეჩზე, და ასე, ბოთლით და ღვინით სველი მიტკლით ხელში და საბრალო ბედუინებს შუა აღმოჩნდა.

იმათ არ ჰქონდათ წამოჯდომის ან ხეირიანი მოძრაობის ილაჯი, აკაკი კიდევ, ამ მძიმე პალტოსა და სიბერის მიუხედავად, როგორღაც მოქნილობით ყველა იმათგანს სწვდებოდა. კიდევ და კიდევ გაავლებდა ღვინოში მიტკლის ნახევს და შუბლსა და სახეზე უსვამდა საბრალო ბედუინებს.

მესხი გაოცებული უცქერდა მის ამგვარ საქმიანობას.

აკაკი ელაპარაკებოდა ამათ არაბულათ, რომელიც ესწავლა ბარე ორმოცდათხუთმეტი წლის წინათ, აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე სტუდენტობისას და რომელიც არასოდეს მოეხმარა იმ სტუდენტობის შემდეგ.

მათ კი ესმოდათ მისი და პასუხობდნენ უღონოდ, თუმცა, მაინც გაკვირვებით და ერთგვარი სიხარულითა...

ქართული კინოს მონატრება



„მამულის“
ფოტო-ეტიუდი
თქვენთვის

ჩვენი სამშობლოს ნოსტალგია – გაზეთ „მამულის“ ახალი გვერდ-რუბრიკა ყოველ ნომერში

ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა

ჯანსულ ღვინჯილია

სამშობლოები რომ არ იყოს, ეს მთაც და ეს ბარიც, ეს ხევიც და ეს ხეობაც გულისგამაწვრილებელ ერთფეროვნებად წარმოგვიდგებოდა. სამშობლოებში გადანაწილებულებმა მათ შექმნეს ხილული მრავალფეროვნების სასწაული, რასაც ჩვენი უმშვენიერესი პლანეტა ჰქვია.

ლანდშაფტები ჰგვანან ერთმანეთს. ერთმანეთს ჰგვანან მთები, მდელოები, მინდვრები, ხეობები, ფლატეები, კლდეები, უფსკრულები... მაგრამ ჩვენს მზერას შიგნიდან ახარისხებს სამშობლოს უმძაფრესი შეგრძნება.

* * *

ქრისტე ღმერთის კვართი ქართლში ჩამოიტანეს. არა სვიმონ კანანელისა და ანდრია პირველწოდებულის ქადაგებით იწყება საქართველოს გაქრისტიანება. დაიწყო იგი უფლის კვართის ქართლში ჩამობრძანებით. იმ დღეს გოლგოთაზე უამრავი ხალხი იყო და, რაც ხდებოდა, მამაზეციერის ნებით ხდებოდა. ნაწილი უფლისა ერგებოდა არა იმას, ვინც მას შეიხვედრებდა, ერგებოდა იმას, ვისთვისაც მამაზეციერი განაჩინებდა. შეხვედრა შემთხვევითობას გამორიცხავდა, რაკი უფლის ნება იყო აქ. კანონზომიერებაა ყოველ დეტალში და კვართი უფლისა არის ხვედრი საქართველოსი, მისთვის გამომეტებული მადლი.

* * *

ქრისტეს მოძღვრება ჟრუანტელია. ჟრუანტელია, რადგან სულის და აზრის ნეტარებაა იგი. ადამიანის სულს მის გარეშე სრულყოფილი ბედნიერების განცდა არ შეუძლია. ის კი უჩვეულოა ადამიანთათვის, თუკი ადამიანი ვერ ეზიარება მას. აუხსნელია, სანამ ეზიარებოდე! გაუგებარიც! რადგან შეუძლებელი ჩანს ყოველი აზრის უჩვეულო არსის გაგება.

ადამიანთა შორის ურთიერთობას და ღვთაებრივთან ადამიანის კონტაქტს იგი ისეთი კანონებით წარმართავს, თუ ეზიარები, ბედნიერების ჟრუანტელი წაგლეკავს. ეს კანონები არ არის მარტივი, ურთულესია - ოღონდ ისეთი გამჭირვალეა, შესაძლოა, მარტივი ეგონოს კაცს. ეს კანონები, ღვთაებრივ სამყაროსთან და ადამიანებთან ურთიერთობის კანონები, იქცა ქართველი ერის წარმმართველად, პირველ ყოვლისა, ცოდნად - შემდგომ ამისა, წესად - შედეგად ორივესი, იარაღად იქცა და იქცა კალაპოტად, რომელშიც წარედინა ერი.

* * *

ხუროთმოძღვრება ქართველი ერისათვის მშვენიერი სულის გამოვლენის ფორმა იყო. ხუროთმოძღვრებაში შენების ვნებაც მჟღავნდებოდა. შენების ვნება კი ავლენდა არსებობის მიზანს - ბუნების თვალთშეუდგამ სილამაზეს ადამიანის ხელით შექმნილიც მიემატებოდა. ადამიანი ამისთვის გაეჩინა ღმერთს - აეგო, შეექმნა და განესრულებინა ბუნების დიდებულება.

მას არ უნდა წაეშალა ბუნების კონტურები, ულამაზესი ხედები, იქ უნდა აეგო და იმგვარი, იმ ზომისა და იმ სიმაღლის, რაც არ დაარღვევდა ღვთაებრივ პროპორციებს, დისტანციებს, რელიეფს.

... ჩვენ გივნახავს ხორნაბუჯი, დავით-გარეჯი, ალავერდი, გრემი, შატილი, ნინოწმინდა, ბოჭორმა, ნარიყალა, უჯარმა, მარტყოფი, ბოლნისი, სამშვილდე, დიდი დმანისი, ატენი, ვერგეტი, სნოს ციხე, ანანური, ყინწვისი, ზარზმა, საფარა, ვარძია, ოქროს ციხე, ბაგრატი, გელათი, სვანური კოშკები, ილორი, ახალი ათონი, ბიჭვინთა, ნოქალაქევი, გონიო, ხერთვისი, თმოგვი... გვინახავს და ვიცით, ვიცით არა მარტო ის, თუ რა ხელოვნებით არის ნაგები ეს მართლაც მარადიული ძეგლები, არამედ ისიც, თუ რა უნიკალურ ადგილებზეა ისინი აგებული. ბარიც და შემაღლებული ადგილიც, მთის მწვერვალებიც და გორაკებიც შერჩეულია იშვიათი ცოდნით. ყოველთვის გათვალისწინებულია უმთავრესი - ხუროთმოძღვრების ქმნილებამ უნდა განასრულოს ბუნების დიდებული მშვენიერება, უნდა შეირჩეს ადგილი, სადაც, თითქოს საგანგებოდო, რაღაც აკლია ბუნების რელიეფს და ეს რაღაც ადამიანის ასაგები შენობაა! დაკვირვებიხართ, ალბათ, მატარებლიდან, ავტობუსის ფანჯრებიდან მთებზე, გორაკებზე, კლდეებზე აშენებული ძეგლების აგებულებას. თითქოს ამოზრდილია მიწის გულიდან ყოველი მათგანი ღვთის ხელითვე. თითქოს ღმერთის ხელის მოძრაობა გააგრძელა ადამიანის ხელმა. ძეგლებით დახუნძლულია საქართველოს ზედაპირი. ყოველი მათგანი შეხორცებია ქართული მიწის სიღრმეს და ზედაპირს. მშვენიერია მათით საქართველო. მიდიხარ, მიდიხარ, და აი, უცებ, საფარა წამოფრინდება, ამოდენა და ასე ლამაზი ტაძარი და განათდება იქაურობა, ზეცის გალობით აივსება - სამოთხე გაგეცხადება, მიდიხარ, მიდიხარ, და თვალი აღმოაჩენს უცებ ოქროს ციხეს - შოთა რუსთაველის ქაჯეთის ციხესავით ცაში ატყორცნილს და ყველა ახლო მდებარე მთა და გორაკი გამდიდრდება თითქოს მისით. და უცებ წარმოდგენაში გააქრობთ საფარასა და ოქროს ციხეს იმ ადგილებიდან და იგრძნობთ, რა არის სიღატაკის უდაბურება და უდაბურების სიღატაკე... ეს ხომ ღვთის წყალობაა. ხომ ღვთის წყალობაა უნარი იმისა, ააგო იქ, სადაც ბუნებას აკლია რაღაც, ის გაასრულო, რაც გასრულებას ითხოვს, იმ ზომისა ააგო, ბუნების ხედს რომ არ დაჩდილავს. ხეობები უფრო ლამაზი და სავსე წარმოაჩინო ჩადგმული ტაძრებით, კლდის წვერი სასურველ სიმაღლემდე აზიდო და ცას შერთო, ჯვრის მონასტრით, სვეტიცხოვლით ის ადგილი ღვთის კალთად აქციო...

* * *

მწამს, საშინელება რომ მომხდარიყო და ქართველი ხალხი შუმერების მსგავსად დაღუპულიყო, კაცობრიობა ხელს მოხვევდა მის უნიკალურ პოეზიას, ასევე უნიკალურ სიმღერებს, მხატვრობას, ხუროთმოძღვრებას, ფილოსოფიას, თეატრს, კინოს, მუსიკას... და შეინახავდა ამ უძვირფასეს განძს, როგორც დაღუპული ცივილიზაციის ნამსხვრევებს. მერე საფუძვლიანად გამოიკვლევდა ისტორიას ერისას, ვინც შექმნა ეს დიდებული კულტურა.

მადლობა უფალს, ქართველი ერი ცოცხალია და თავისი შემოქმედებით ხელდამშვენებული დგას კაცობრიობის წინაშე. თვითონ, ვინაც ხანძარს, ქარიშხალს, მიწისძვრებს და მახვილების ტყეს გამოაღწია, დასახიჩრებულია, ნაჭდევები აჩნია შუბლზე, ნიკაპზე, ლოყაზე, ჩამოცლილი აქვს ცალი მხარი, წარკვეთილი აქვს კიდური, ამღვრეული აქვს ნაწამები სული, მაგრამ ელოდება ფერფლიდან ფენიქსისებრ კიდევ ერთხელ წამოდგომას შენივე ნებითა და ლოცვა-კურთხევით, მაღალო ღმერთო!

ამონარიდები „დათა თუთაშხია“-დან

ბოროტ კაცს შეეშინდეს, იქნება, კანონის და სამაგიეროსი და იმ განზრახულ ბოროტებას აღარ ჩაიდენს მაშინ, მართალია ეს, მაგრამ ბოროტი იმის ბოროტია, რომ კანონიერ გზას მონახავს და ისე იზამს თავისას. კანონს ის შეუძლია მარტო, რომ თვალსაჩინო ბოროტების მაგიერ, ძნელად შესამჩნევს ჩაადენინებს ჩამდენს.

* * *

არყით აღგზნებული კაცის გონებაში ბინდი ისადგურებს, მისი ენა სიმახინჯისა და დაუნდობლობის ენაა. ღვინით აღგზნებული კაცის გუნებაში ნათელი დგება, მისი ენა სილამაზისა და სიყვარულის ენაა. არაყი - მსჯავრია, ღვინო - მიტევება. განგებამ ღვინის სიყვარული გვიბოძა, რომ ჩვენი აზრისათვის მშვენიერება და სიკეთე მიენიჭებინა. ფიქრისა და საუბრის სარბიელად სუფრა მოგვიჩინა, სუფრავე დაგვითქვა ადგილად, სადაც ერთმანეთისათვის მხოლოდ კეთილი სურვილი ითქმის და საგნისათვის მხოლოდ პირუთვნელი შეხედულება. ქართული სუფრა ქართულ სიმღერას ჰგავს: სხვადასხვა ხმაზე ვმღერით და კონტრაპუნქტში ვერთიანდებით. არ არსებობს თანხმობა იმ თანხმობაზე დიდი, რომელიც აზრთა სხვადასხვაობით მიიღწევა.

* * *

ბუნებაში, ალბათ, არაფერია ერთმანეთზე ისე პირდაპირ დამოკიდებული, როგორც პიროვნების ზნეობაზე - მისი ერის ბედ-იღბალი, მოქალაქის ზნეობაზე - მისი სახელმწიფოს ავკარგი და პირუკუ. ისინი ერთმანეთის შვილები არიან. ზნეობა ის შინაგანი ძალაა, რომლის წყალობითაც პიროვნება საქციელს იწესრიგებს, რომლის წყალობითაც თავის პირად მოთხოვნილებებს ერის და სახელმწიფოს საჭიროებებს უთანხმებს.

* * *

დღემდე არსებული დიდი სახელმწიფოების ძირითადი თავისებურება გაფართოებისაკენ, ახალი ხალხების დაპყრობისაკენ, მათი მიწა-წყლის მიტაცებისაკენ, მსოფლიო ბატონობისაკენ სწრაფვაა. მათ იმპერიები ეწოდებათ, ხოლო ეს გამუდმებულ საომარ მზადყოფნას ან უშუალოდ დაპყრობითი ომების წარმოებას ნიშნავს. ომის ძირითადი მასალა მეომარია. ძლევამოსილების უმნიშვნელოვანესი პირობა ჯარისკაცის მძაფრი საომარი განწყობილებაა. თავდაცვითი ომების მამოძრავებელი ძალა მამულიშვილობა, სამშობლოს სიყვარულია და პირიქით: ვინ და რა გზით შეძლებს ადამიანი დაპყრობისათვის, ჟლეტისა და ნადგურის-ცემისათვის აღძრას, დაატოვებინოს ოჯახი, სახლ-კარი, სამშობლო, უცხო მიწაზე სასიკვდილოდ წაიყვანოს, თუ წინასწარ გულში სიძულვილი არ ჩაუთესა. დაპყრობითი ომის მამოძრავებელი ძალა სიძულვილი, ბოროტება და მომხვეჭელური სულია. ადამიანში ამ მდაბალი თვისებების აღძვრა-გაღვივება, პიროვნების ჭეშმარიტი დანიშნულების რღვევა იმპერიის ბუნებიდან მომდინარეობს, მისი პირდაპირი მიზანია, მისი არსებობის გარდაუვალი, აუცილებელი შედეგია... პიროვნება, რომელშიც სიკეთე, სიყვარული და მშვენიერების გრძნობა სხვა თვისებებს სჭარბობს, შეუძლებელია არ იყოს იმპერიისა და მისი კანონების აქტიური მოწინააღმდეგე და იგი იმ ზომით არის მოწინააღმდეგე, რა ზომითაც არის ხსენებული ღირსებები მასში მოცემული... სიკეთე, უპირველესად ყოვლისა ერისათვის სამსახური და კაცთათვის მაგალითია; სიყვარული - უანგარობასა და პირუთვნელობაში გამოხატული კეთილმოსურნე დამოკიდებულებაა სამშობლოსა და სამყაროს მიმართ; მშვენიერების გრძნობას მშობლიური მიწა-წყლის სილამაზე და ერის ზნეობრივ-კულტურული საგანძური აღვივებს. ყოველივე ამას ზიარებული კაცი - მამულიშვილია, პატრიოტია.

შენ სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ - შენი ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა და გარეთ - შენი ერის!

არამც თუ უსაბუთო ძაგება, უსაბუთო ქებაც კი საწყენია მართებულის კაცისათვის.

* * *

ამ სახით რომ გვართმევენ ყოველს ჩვენს ეროვნულ ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას... გვიბათილებენ ისტორიასაც... რისთვის არის ატეხილი ეს მტვერ-ბუქი, ეს ფუქსავატი ჭექა-ქუხილი?.. ვისი უნარია ყოველივე ეს? რა შავი ყორანია, რომ თავს დაგვტრიალებს, ზედ დაგვყეფს და დაგვჩხავის?.. ღმერთმა გვაშოროს, იგი ცოდვა მთელს ერს შევწამოთ... ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველი პატიოსანისა და ჭკუათმყოფელი ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად-ხსენება - დიდად სათაკილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი წადილები. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილ ადამიანს არ ეპატიება.

* * *

ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახავ, ვერ ირწმუნებ, და ზოგი - იმისთანა, თუ არ ირწმუნებ, ვერ დაინახავ.

* * *

მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა.

* * *

ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდგვაროდაც დიდია.

* * *

ბედს თვითონ კაცი ქმნის და არა ბედი კაცსა.

* * *

სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ესა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.

* * *

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც, მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავეს მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან: გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-შეთვისებული, უძლეველი ხმალია და შეუულეწელი ფარია მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას იგი სულ იმაზედ მოაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს.

* * *

აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი, როგორ გაიმაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტეში ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი მტრები ეხვივნენ და ჰლამობდნენ, ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი, რამ მოაგერიენებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული - მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა.

* * *

ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილის გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდამ სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ამისთვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა. ამ სიკეთეს დიდი ხანია მიაგნეს ჩვენთა ბედის-გამგებელთა და არ არის ჩვენში არც ერთი საზელგანთქმული კაცი, ან მეფე, რომ, სხვათა შორის, ამ თვალით არ ეყურებინა ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ამიტომაც, მოაცალებდათ თუ არა პოლიტიკური ტრიალი ბედისა, ყოველი მათგანი სცდილობდა, არაფერს ზოგავდა, ქრისტეს რჯული, შინაგანის ღირსებით განდიდებული და მიმზიდველი, გარეთა ღირსებითაც განედიდებინათ, გაემშვენიერებინათ და მისი მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ ქრისტეს რჯულის სახსოვრად და სადიდებლად.

* * *

ქართველმა ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ თხუთმეტი საუკუნე გულში ჯვრით და ხელში ხმლით იბრძოდა, ღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა.

* * *

ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათლით არის გასხივოსნებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ“, წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზე სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია ყოველს მცნებაზედ: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

* * *

ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანებოდა ჩვენი ქვეყანა, იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც დღეს აქამომდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზედ, თხუთმეტი საუკუნე გულგადრეკლად ატარა თავ-პირდასისხლიანებულმა ჩვენს დრომდე შეუმწიკვლელად მოიტანა

* * *

დიდი წამება დიდბუნოვნების ნიშანია, როგორც დიდი ძლევამოსილება. დიდი წამება იგივ დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ხვდება ხოლმე დიდბუნოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონაც სტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს, და წამებული კი თვით იწვის სანთელსავით და სხვას კი გზას უნათებს.

ამიტომაც ეკლიანი გვირგვინი წამებულისა უფრო უანგაროა, უფრო მიმზიდველია, უფრო საგულმტკივნეულოა და, მაშასადამე, უფრო მშვენიერი, სასახელო და სადიდებელი. მარტო ამ წამებულთა ჭლოცულობს კაცობრიობა, მარტო ამ წამებულთა აღიარებს იგი წმინდანებად და თაყვანს სცემს ლოცვითა და კურთხევითა.

* * *

ეკლიანი გვირგვინი, ჩვენს დღემდე მოტანილი ჩვენთა წინაპართაგან, ამ მშვენიერებითა ჰშვენის, ამ სახელითა სახელოვნობს, ამ დიდებით ჰდიდებულობს. თუ ვისმე სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელნი შვილნი ლმობიერებით პირქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა.

* * *

მოგვევლინა წმინდა ნინო, გვამცნო და გვასწავლა ქრისტეს რჯული და ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალის ცხოვრებისათვის. ქართველმა არ რჯულს, ამ ახალს აღთქმას, შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც-კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის-დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი არსებობს: შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა - რჯულის დაცვად. რჯული ჩვენი მამულის, ჩვენი ეროვნების ხმლად იქცა ზედმისევისათვის და ფარად ზედმოსეულთათვის.

* * *

წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმა უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალღონით გამოჰზარდა, შეჰმოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა. და, აი, ათასხუთასი წელიწადია, ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ შემოგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნობა.

* * *

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თითონ ცალკედ, თავსითავად დიდი ღვაწლია, და რომ ქრისტიანობამ ქვითკირსავით შეგვკრა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვნების შერჩენისა და ხსნისათვის, ღვაწლი იგი გვიორკეცდება, გვიდიდდება, გვიძლიერდება. ეგ გაორკეცებული, ეგ განდიდებული ღვაწლი დაგვდო ჩვენ ჩვენმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ. აი რით არის მართლა სადიდებელი, მართლა სადიდ-დღესასაწაულო იგი დღე, როდესაც ჩვენი ეკლესია დიდებით იხსენიებს ამ მოციქულთა-სწორს ქალწულსა. ამა ღვთაებურის მადლით მოსილმა მოციქულმა დაგვაწაფა დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისას და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნება, და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე.

* * *

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენს ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავწირეთ, ცოლ-შვილი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისთვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს - სამართლიანის თავმომწონებით ვეძახით.

* * *

სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი - აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობისმყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა.

* * *

საქართველო, როცა-კი მოიცლიდა ხოლმე გარეშე მტერთა ზედმოსევისა და მოგერიებისაგან, მაშინვე შეუდგებოდა ხოლმე ქრისტეს აღსარების განმტკიცების და გაძლიერების საქმესა. როცა-კი ქვეყნის მდგომარეობა ნებას აძლევდა, ქართველნი, ცნობილნი სულიერის მოღვაწეობითა და აღრტყინებულნი ღვთის მოსაობით და სარწმუნოების გრძნობითა, გამოდიოდნენ გამავრცელებლად და მოსარჩლედ მართლმადიდებელის სარწმუნოებისა აღმოსავლეთში: მცირე აზია, სირია და თვითონ ბალკანეთის ნახევარკუნძული თვისდა ახლო მახლო კუნძულებითა დღესაც ჰმოწმობენ ქართველთა მოღვაწეობას სარწმუნოებისათვის. აქ ყველგან მრავალგვარი ნაშთია დღესაც უტყვ, მაგრამ უტყუარ მოწამედ იმისა, რომ გულმოდგინებას ქართველებისას სარწმუნოებისათვის შორსაც გაუდგამს ფეხი და ხელი გაუწვდენია. მონასტრები, ქართველთა ხარჯით და ფულით აშენებულნი, არა ერთი და ორი დღესაც ჰღაღადებს ათონის მთაზედ, სირიაში, იერუსალიმის ახლო-მახლო, რომ ქართველთა თაგვამომეტებით და დიდის მხნეობით უღვაწნიათ თავის ქვეყნის გარეთაც სადიდებლად თვისის სარწმუნოებისა.

* * *

„ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“ - აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, - ამ სისრულის გზაზე, ვინ წამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა.

* * *

ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს“. მართალია, მშიერი დიდს მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტების ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, - გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა ჰჩივის და ჰღაღადებს სახოციელო პურისათვის, ის იმდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმისათვის, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს

და აცხოვროს თავის შთამომავალი.

* * *

ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება გზას გაგინათლებს, გული - გაგითბობს, ღმერთი ძლიერია... ყველას გულში, - ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, - ღვთისგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა, ის ცეცხლი მეც, შენც და სხვასაცა ხანდახან იმისთანა საქმეს გვაქმნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს... რა ვუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? ვინ იცის... ხვალ ბედი რომ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?.. რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა.

* * *

ღმერთმა ყველას გონება და გული, სიკეთის შემლება დაგვირიგა, ზოგს, მართალია, ცოტა, ზოგს ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება და ცოტას - ცოტა. იმისათვის კი არ დაგვირიგა, რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში, ან მიწაში დავმალოთ, - იმისათვის, რომ ბევრი გაჭირვებულია ქვეყანაზედ, უნდა გავცეთ, რომ მოვიგოთ რამე, თორემ ხელცარიელები დავრჩებით, როცა ღმერთი მოგვკითხავს. ამიტომაც არიან ეგრე გულმართალნი ეს სიტყვები: „რასაცა გასცემ - შენია, რაც არა - დაკარგულია“. ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცს თავდაპირველვე ჩაგვსახებია, ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთე არ მოვაგებინეთ.

* * *

იქნება გეგონოს, ვინც კაი საქმეს ჰშვება, სახელისათვის ჰშვება? არა, სახელი თავისთავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება. მართალია, არიან იმისთანა კაცები, რომელნიც სიკეთეს იქმოდნენ მარტო იმისთვის, რომ სახელი დაგვრჩებაო. მაშინ ისინი იმ კაი საქმეს სახელზედ ჰყიდიან. ეს ცუდია, მაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს? დაე, თუნც გაჰყიდონ, ოღონდ ნივთი კარგი რამ იყოს, დაე, საქმე საქებური იყოს და გულის წადილის გაჩხრეკა ღვთის ნებაზედ მივაგდოთ.

* * *

როცა... ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე-ღმერთისთვის მოგირიდებია პირი. იესომ ბრძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო მწყურვალი ვიყავ და არ მასვითო; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო უფალო! სადა გნახეთ, რომ არ გიშველეთო მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არ გაკითხული, მე ვიყავიო! სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხონებისა, აი გასაღები სამოთხისა!..

* * *

ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუბუქია.

* * *

სადაც სურვილია დატკბობისა, იქ სიყვარული არ არი; სიყვარული ტანჯვაა; „ტანჯვაა ვალი და სხვერპლი უზომო სიყვარულისა“ - ამბობს ერთი ჩვენი ქართველი პოეტი. მართალიც არი!.. სიყვარულში თვითონ სიყვარული უნდა ეძებოს კაცმა, სიყვარულში თვით სიყვარული უნდა უყვარდეს სიყვარულისთვის კაცსა და არა რაიმე სურვილისთვის. სადაც გამოერევა ადამიანის „მე“, იქ უთუოდ უნებლიედ წარმოსდგება მონებაცა ერთისა მეორეზედ. უფრო უძლურმა უნდა დაუთმოს უფრო ძლიერს, იქ იქნება დესპოტობა, მონება და არა სრული ერთხმოვანი გარმონია ორთა თანასწორთა სულთა, რომელთა შეერთება შეიქმს ხოლმე ერთ დაკარგულს ერთარსებასა; უნდა დაივიწყო შენი „მე“ და შეერთდე იმის „მესთან“; მაშინ აღსრულდება მნიშვნელობაც სიყვარულისა, მაშინ გადაიშლება მთელი ზღვა ტანჯვისა...

* * *

არაფერი ქვეყანაზე არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, არც მეტისმეტი გონების გახსნილობა, რომ კაცმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოს მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი კი ძველი.

* * *

საქმისა თუ აზრის ავკარგიანობის გარჩევა მარტო ძველახლობითა, ღირსების აწონდაწონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია და ტყუილის ჭეშმარიტებად გადაყვანა მარტო იმით, რომ ახალია, რაც გნებავთ ბრძანეთ და, სასაცილოზედ მეტია. აგეთი სასწორი, აგეთი არჩევა კარგისა და ავისა, მართლისა და ტყუილისა მარტო იმის მომავლინებელია, რომ კაცს არც კარგი ესმის, არც ავი, არც მართალი უცვნია, არც ტყუილი და ამაოდა ჰფქვავს მინდმოკიდებულ წისქვილსავით.

* * *

შეწყნარება დაჯერებას არ ჰნიშნავს, გინდა თუ არა, არამედ პატივსა, რომლითაც უნდა მოექცეთ სხვის აზრს, თუნდაც თქვენს უსიამოვნოს, თქვენს წინააღმდეგს. პატივით მოქცევა კიდევ იმას ჰქვიან, რომ მთქმელს, თუ გამკითხველს საბუთი გაუჩხრიკოთ, საბუთი აუწონოთ თქვენს საკუთარ სასწორზე, ასე თუ ისე საკუთარი ფასი დასდოთ და მისაწყავი ისე მიუწყათ. ყოველად საკადრისი საქციელი გონებაგახსნილისა და მართლა განათლებულის კაცისა სწორედ ეს გზაა და სხვა არარა. ვისაც ეს არა სჭირს, ტყუილად თავსა სდებს განათლებაზე, ტყუილად აბრიყვებს თავისთავსაც და სხვასაც, განათლებული ვარო. იგი ყოველ გონებადახშულზედ უარესია.

* * *

ერთის ბრძენისა არ იყოს, ქვეყანაზე ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ და ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ცასა, თუ ცას იქით, სწორედ იმისთანა ადგილებია მაძებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავ.

* * *

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, - ამბობს ჩვენი ერი: - ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდ-ბუნებოვანმა კაცმა - წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.

* * *

ეს ანდერძად გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურიო. გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ ქაღალდის გარდა არის კიდევ სინდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს. ადამიანთა ურთიერთობა შეუძლებელია დააფუძნო უზნეობის საწყისებზე და საქმე, რომელიც ზნეობრივი პრინციპების დარღვევიდან გამომდინარეობს, არავის გამოადგება. სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი.

* * *

რა არის სიმდიდრე? სიმდიდრე კარგი რამეა... მე მის საწინააღმდეგოდ რა მეთქმის, მაგრამ ის მაინც არ არის საჭირო პირობა ბედნიერებისა. უიმისოდ ბედნიერება კარგადა გრძნობს თავს და იგრძნობს კიდევ, თუკი ჩვენ ვიქნებით ისეთი ადამიანები, რომლებიც უპირველესად ზნეობრივი მხარის დაკმაყოფილებას ესწრაფვიან.

* * *

თუ ადამიანს თავისი ვინაობა არარად მიაჩნია, მაშინ იმ ადამიანში ადამიანური რაღაა? დრო გამოიცვლება, დრო მოვა, როცა თავისის ვინაობიდან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხული იქნება, როგორც უღირსი, თითონ იმათგანაც კი, ვინც ახლა სიხარულით ამისთანა კაცს შეიკედლებს ხოლმე და ულოლოებს. დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, როგორც ორჯერ-ორი, რომ თუ კაცი თავისას გაუდგა, სხვისას ვერ უერთგულებს. ეს ჭეშმარიტება დღეს ცოტამ იცის და ხვალე ბევრს ეცოდინება, და მაშინ ვაი თავის ვინაობაზედ გულაცრუებულს, გულგრილს და ხელაღებულს!

* * *

რაც კაცს უფრო საკეთილოდ მიაჩნია, უფრო საუმჯობესოდ, უფრო სამართლიანად, მას უნდა მთელის თვისის მხნეობით და ღონით შეეწიოს იმისდა მიუხედავად, ეწყინება ვისმე, თუ არა. იქ წყენა რას მიქვიან, საცა ჩემი რწმენა, ჩემი ადამიანობა მიწვევს სამოქმედოდ და ქვეყნის საკეთილდღეოდ. იქ მამულიშვილობის ვალი ითხოვს, რომ არაფერს მოვერიდო და ცხარედ ჩავკიდო ხელი მას, რაც ჩემმა კაცობამ, ჩემმა რწმენამ, ჩემმა სინდისმა წინ დამისვა ნიშნად. ამას ითხოვს მოქალაქეობრივი გულადობა, ვაჟკაცობა და ქველობა.

* * *

დადგა მარხვა სინანულისა, მოვიდა დღე განკითხვისა. იმ განკითხვისა კი არა, რომელსაც საშინელი განკითხვა ჰქვიან და რომელსაც ჯოჯოხეთი და „ღრჭენა კბილთა“ მოსდევს! ეს იმისთანა განკითხვაა, საცა თვითონ ბრალეული თავის-თავის გამკითხველია და მსაჯული. მაშასადამე, აქ „კბილთა ღრჭენას“ და ჯოჯოხეთს ადგილი არ ექნება. აქ მხოლოდ ის არის საჭირო, რომ კაცმა თავისი ცოდვები ჩამოთვალოს და სთქვას: ვინანიო. რაკი ეგრეა, ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილუბრალოდ არ გააქარწყლოს.

* * *

რა საკვირველია, რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ჩემსას უფრო შევხაროდე, ჩემი უფრო მიამებოდეს და ჩემსას უფრო ხელს ვუწყობდე. გული ადამიანისა ფიცარი ხომ არ არის, რომ ერთი წაშალო და მის მაგიერ სხვა რამ დასწერო. გრძნობა თავისიანის სიყვარულისა ისეთივე ძლიერია, ისეთივე მკვიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მაშასადამე, ისეთივე სამართლიანი და პატივსაცემი, როგორც სიყვარული მამა-შვილური, დედა-შვილური. ვერა ძალი მაგ სიყვარულს ვერ ამოჰკვეთს ადამიანის გულიდან! ყოველივე იარაღი მის წინაშე უქმია!

* * *

სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა და ორსახედ არ ჩაესახება ერთსა და იმავე გულს. როგორც ორსახე ჭეშმარიტებაა შეუძლებელი, ისეც ორსახე სარწმუნოებაც. იგი ან ერთადერთია ერთს გულში, ან სულ არ არის. სარწმუნოება, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერი წიაღშია, ორთვალა და ორგულა ვერ იქნება, რომ ჩვენიც იყოს და თქვენიც ერთსა და იმავე დროს. იგი ერთთვალა და ერთგულაა, - თუ ასე ითქმის, ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაჰყოფს, რომ ერთსაც ჰხედავდეს მართლმადიდებელად და მეორესაც, ერთსაც განუზიაროს სასოება გულისა და მეორესაც. ამიტომაც შეურყეველი ერთგულება სხვის სარწმუნოებისა საკუთარის სარწმუნოების შერყევაა, უარყოფაა. თავდადებულნი ერთის სარწმუნოებისათვის, მეორისათვის თავდადებულნი ვერ იქნებიან და ნამეტნავად შეურყეველ ერთგულებისანი. კაცი შეურყეველად მოსავია მარტო იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებს და გულში ატარებს. უამისოდ სარწმუნოება სარწმუნოება კი არ არის, სამოსელია, რომელსაც კაცი როცა უნდა იხდის და როცა უნდა იცვამს.

* * *

სიმღერა, გალობა სხვა არა არის რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა. აქ, სიმღერაში, გალობაში, მწყობრი ხმა ჰშველის წყობილსიტყვაობას და წყობილსიტყვაობა მწყობრს ხმასა, რათა მთლად და სავსებით ადამიანმა გამოსთქვას თვისის სულის მოძრაობა და თვისის გულის ძარღვის ცემა. ხმა და სიტყვა ცალ-ცალკე ბევრს შემთხვევაში უღონონი არიან ადამიანის გულის სიღრმიდამ ამოზიდონ იგი სხვილი და წვრილი მარგალიტები, რომლითაც სავსეა ადამიანის გული და რომელნიც აიშლებიან ყოველთვის, როცა ან სევდა-მწუხარება, ან სიხარული შესძრავს ხოლმე ღვთაებურს სიმებს ადამიანის სულიერებისას. სამღერა ამ მხრით იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა.

* * *

როგორც ცაკლე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არა ჰგავს! ამის გამო გულისთქმაც, გულის გამომეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველს ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის. იგი უტყვი პოეზიაა. იგივე ენაა, მხოლოდ ხორცშეუსხმული, სიტყვით არგანსაზღვრული, სიტყვით არგამორკვეული - იგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი ძახილია აღფრთოვანებულის სულისა. ეს კვნესა, ეს ძახილი ქართველისა სულ სხვაა, სხვა ერისა - სულ სხვა, როგორც სხვადასხვა ენამეტყველობა.

* * *

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არ ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ, შხაპუნა ნიაღვარს-კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც ბრევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა - პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავ-მოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზედ. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამი გაფრენით მეტიაო, - იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი! თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი?

* * *

ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩავკიდეთო. ქვეყანაზე ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია,თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს.

* * *

არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი, თუნდ უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია.

* * *

განა ყოველი საგანი თვის კვალობაზედ არ არის მაღალი, მაღალ ღვთაებრიობის სიბრძნის გამომთქმელი? პოლიპი, რომელიც ძლივს აჩენს თავის სულიერობას, ისე ცხადად მოგვითხრობს ღვთის ძლიერებასა, როგორც მზე, ეს ქვეყნის მაცხოვრებელი მნათობი. ინფუზორია, რომელნიც მილიონობით არიან ერთ მუჭა წყალში, ისევე საკვირველნი არიან, როგორც მოძრაობა მედიდურ ცაში მილიონთა პლანეტთა, ერთი მუჭა ლაფის ნაწილთა დაკავშირება ისეთი საკვირველია, როგორც ვარდის მშვენიერების გამოცხადება. არა, ბუნებაში ღმერთს არ შეუქმნია მაღალი და მდაბალი საგანი, ყოველი საგანი მაღალია თვის კვალობაზეც და ერთნაირად მოგვითხრობს იმ დიდ სულზედ, რომელიც აცხოვრებს მთელს ქვეყანასა.

* * *

ხშირია ხოლმე, რომ, როცა სული ჭლექდება, ხორცის დღეობა მაშინ არის; როცა სული ჰყვავის, ხორცი დნება.

* * *

იმისთანა ხალხი, რომლის გამოხატულობაც ჟამთა ვითარებით უმაღლესს საგნებიდან მარტო ჭამა-სმაზედ დამდგარა, ანუ რომელსაც მცირე საგნებიდამ გონება მაღლა ვერ აუცილებია, ის ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე გაკიცხვისა.

* * *

იგი გრძნობაა მართალი, რომელიც კატასავით დღე მუდამ არა სჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულა გულში. ■

დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა

საერთო სენია კაცთა: მიცვალებულებს იმადაც აქებენ ხშირად, რომ ცოცხალთ მიაყენონ ჩრდილი.

* * *

ჯერ კიდევ ფარსმანისაგან ჰქონდა მინიშნული კონსტანტინეს: ბრძენკაცი უნდა იყვეო და შლეგად მოაჩვენოო ადამიანებს თავი, გმირი უნდა იყვე და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან არავის იმდენი მტერი არა ჰყავსო ქვეყნად, როგორც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს.

* * *

მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი, ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი.

* * *

ნეტარ არიანი იგინი, ვისაც სიკვდილი უმალ უწევს, ვიდრე საკუთარის თვალით იხილავენ სამშობლოს თვისას იავარყოფას.

ნეტარ არიან იგინიცა, ვინცა გულმართალ წინაპართა აჩრდილებს შორის ლანდადქცევას არჩევენ გადაშენების გზაზე დამდგარ თანამემამულეთა წიაღში ყოფნას.

* * *

ძლიერს უფრო მეტად უჭირს ამ ქვეყნად. მიტომაც მუდამ დაღრენილნი დადიან ლომები, ვეფხვები და ავაზები, ხოლო თრითინები, თაგვები და ციყვები მუდამ მხიარულად დაცუნცულებენ.

* * *

ვინც შეგირდი არ ყოფილა, ვერასოდეს გახდება ოსტატი. ვერც იგი გახდება ოდესმე ოსტატი, მუდამ ოსტატებს ვინც შეჰყურებს პირში.

* * *

როცა ყველაფერს წვიმა წარხოცავს, როცა ყველა ხმას ქარი წაიღებს, სვეტიცხოველი შეიმატებს დიდებას კიდევაც.

მართლაცდა სხვა რა ევალება ოსტატს, თუ არა წამიერის მარადჟამულად ქცევა? სხვა რა ევალება ამქვეყნად ოსტატს, თუ არ ჭიდილი წარმავლობის ნისლთან.

* * *

არავინ ისე მამაცად არ იბრძვის სხვის ომში, როგორც სულელი.

* * *

ერთი კაცი თავის უდიდეს სიბძნეშიაც შლეგად ითვლება მუდამ.

* * *

ეს ცხოვრება არც ისე მრუდედ წარუმართავს არსთაგანმგებელს, ყველაფერი იმისათვის შეემთხვევა ამ მიწაზე კაცს, რათა თავის თავს და თავის ღმერთს მიაგნოს ბოლოს

* * *

ჩემდა თავად მე ვემორჩილები იმ წყობილებას, რომელიც წილად ერგო ჩემს ხალხს და არც ერთი ერი იმის უკეთესის ღირსი არაა, რაც მას დაუმყარებია თავად.

ამიტომ ხვალ რომ ბერძნები ან სარკინოზები შემოეწყონ საქართველოს ციხეებს, მოქანდაკის საჭრეთელს განზე გადავდებ და ხმლით შევებრძოლები მტერს.

როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც კი ვერ გაამარჯვებინებს მას.

* * *

ამ ქვეყნად არც რაინდია ისეთი, რომელსაც რისამე წინაშე შიში არ ეგრძნოს ოდესმე, არც თუ ბრძენია სადმე, ერთხელ მაინც სისულელე არ ეთქვას.

* * *

ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები.

* * *

დავით აღმაშენებელი

ვინც გველს რძეს ასმევს, შხამსაც უორკეცებს მასვე.

* * *

როცა მოყვასი შენი საქმეს დაიწყებს რაიმეს, სანამ არ მოათავებს, არ უნდა განიკითხო იგი. ეგეც იცოდე, მხოლოდ ოფოფი შეიცნობა თავითა, ხოლო ჭეშმარიტი საქმე - ბოლოთი.

* * *

სპილო ხორთუმითა ჰკლავს თავის მსხვერპლს, გველი - კოცნით, მეფე - ღიმილით, ხოლო მოღალატე - პატივის მიგებითა.

* * *

უღირსი კაცის თვალში თვით უდიდესი და უზენაესი არარად იქცევა ხოლმე, რადგან პაშტა სარკეში როდის ჩატეულა თუნდაც სპილენძის ხატებაი.

* * *

უბედურება ეკალსა ჰგავს, გვერდს ჩაუვლი თუ არა, იგი თავად წამოგედება, ხოლო ბედნიერება - ბულბულს, შესაძლოა ჩვენ გვერდით ჩავუაროთ, იგი გაიტვრინოს და ბოლოს შეუმჩნევლად შორს გაფრინდეს.

* * *

ყველაზე უფრო ძნელი დასაპყრობია კაცთათვის საკუთარი გული და ვინც ამას ზედმიწევნით შესძლებს, იგია უბედნიერესი ამქვეყნად.

* * *

მე მგონია, როგორც ხორციელად, ისე სულიერად სრულქმნილს, თუკი ასეთი მოიპოვება სადმე, სრულიად არ ესაჭიროება ქება. როცა ადამიანს ძაგების შეეშინდება და შექება მოსწურდება, სჩანს, მას კარგად აქვს შეგნებული, რომ ბევრი რამ აკლია.

როცა იგი მაქებარს დაიწყებს ძებნას, ამ გზით მას სწადია ქებით მიჩქმალოს საკუთარი სულის არარაობა მოყვასთა თვალში.

სწორედ ამიტომაც ჰყავდათ დაქირავებული კარის-მეხოტბეთა მთელი დასტა ბიზანტიელ უნიჭო მეფეებს და სელჯუკიანთა უზნეო სულტანებს.

* * *

ბუნების წესია ასეთი: მახინჯი ლამაზთან ყოფნას მიელტვის მუდამ, მანკიერი - უმანკოსთან, რეგვენი ბრძენს აეკიდება ხოლმე, ყბედი - მდუმარეს, ხოლო ლაჩარი - გმირს.

* * *

თვით უაღრესი ცილისწამებისგან უმცირესი ჩრდილი მაინც მიადგება ადამიანს.

* * *

ჩემი მტრები ჩემი მასწავლებლებიც ყოფილან ხანდახან, რადგან მე მათთან ბრძოლაში ჩემს სისუსტესა და ზადს გამოვჩხრეკდი ხოლმე, ღონეს მოვიკრებდი, კვლავ ვეკვეთებოდი და ვებრძოდი, სანამ მათ სისუსტეს ამ დანამახებდა მათთანვე ბრძოლა.

* * *

ზოგს ენა როდი აბია, თავათაა ენაზე მიბმული, ამიტომაც იღუპება მყრალი ენის მეოხებითა.

* * *

ვინც ჭეშმარიტად აღზევებულია, მას აღზევება არ ესაჭიროება. სულმდაბალნი მიესწრაფიან აღზევებას მუდამ.

* * *

ზღვისფერი გაქვს თვალები და
თავად გავხარ ზღვას,
თუ არ შეგებრალები და
მისთხოვდები სხვას,
მივატოვებ გაზაფხულზე
თესვასა და ხვნას,
გადავლახავ ადიდებულ
ჭოროხსა და მტკვარს,
ცეცხლს გავატან შენ სამყოფელს,
შენ სიყვარულს ქარს,
და მოგიკლავ, მოღალატევ
მაგ ნაფერებ ქმარს.
ზღვისფერი გაქვს თვალები
და თავად ჰგავხარ ზღვას...

კონსტანტინე გამსახურდია

მთვარის მოტაცება

სილამაზეს დიდებულს ხანდახნა სჩვევია შიშისმომგვრელი ზეგავლენის მოხდენა. მხოლოდ თავხედი არ ეკრძალება მას ასეთ წუთებში (ამიტომაც ულამაზესი უმამაცესს კი არა, უთავხედესს შეხვდება ხოლმე).

* * *

ზოგიერი კაცის ცხოვრება უნიჭო მწერლის რომანსა ჰგავს... ბოლომდის ჩაათავებ და ასე იტყვი: ნეტავ არ წამეკითხაო.

* * *

კეთილო ფრაუ, თქვენ ევროპელები ეგოისტები ხართ, ჩვენგან მოითხოვთ გარდავიქმნათ, ე.ი. ჩვენ არ ვიქნეთ ისეთი, როგორიც ვყოფილვართ, ან ვართ. ე.ი. თქვენ დაგემსგავსოთ. და ეს თქვენ მოგდით, კეთილო ფრაუ, არა ჩვენის სიყვარულით, არამედ იმისთვის, რომ თქვენთვის უფრო ხელმარჯვე იქნება, რომ ყველანი თქვენა გგავდეთ. თქვენ ბევრი ხართ, ჩვენ ცოტა, თქვენ გინდათ იგივე უფლებით ჩაგვყლაპოთ, როგორითაც ცვარს ყლაპავს ზღვა და ლიფსიტას ვეშაპი. მაშინ თქვენ აღარ დაგჭირდებათ ჩვენი ენების შესწავლა, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული სახელების დამახსოვრება, ჩვენი თავისებური სახელისა და გვარის გამოთქმა, თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ყველას არზაყანის, კეგვას, თარაშის ნაცვლად ჯონი, ჟანი და ჰანს გვერქვას.

თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ჩვენი ენა დაგვავიწყდეს, თქვენ ენაზე გადავიდეთ, თქვენთვის უთუოდ აჯობებდა თქვენს ქარხნებში გაკეთებული საქონელი მოერგოს ჩვენს ტანს, თქვენს ავტომობილებს შევეჩვიოთ, თქვენი მანქანები ვიყიდოთ, თქვენი წიგნები და გაზეთები ვიკითხოთ და ჩვენზე ხელი ავიღოთ, თქვენი ღმერთები ვიწამოთ და ჩვენსას მივაფურთხოთ. თქვენი ლოცვები ვთქვათ და თქვენმა გემებმა ჩვენს ზღვებში თავისუფლად ითარეშონ და თუ ჩვენ მათზე თავდასხმას გავბედავთ, მაშინ უთუოდ მეკობრეებს გვიწოდებთ, როგორც ძველი ბერძნები. რაც შეეხება ჩანგალს, მე მანამდის ხელით ვსჭამ, ვიდრე ჩვენსავე ქარხნებში გაკეთებულ ჩანგლებს არ მომიტანენ.

ჩანგლის ხმარებაში, კეთილო ფრაუ, არც ისე დიდი ფილოსოფიაა. ჩვენ ძველ კოლხიდაშიც გვცოდნია ფიწლის ხმარება. ვინც ამას მიხვდა: ხელით მობოჭვას თივისას, ფიწლით აღება რომ სჯობია, საჭირო რომ ყოფილიყო, უთუოდ იმასაც მიხვდებოდა, ხელით ჭამას, ჩანგლით ჭამა რომ სჯობია.

* * *

რუხის ციხესთან ომი ყოფილა ოდესღაც. გაღმა ქართველები მდგარან, გამოღმა აფხაზები და თათრები. დიდხანს უტრიალეს თურმე ქართველებმა რუხის ციხეს. მერმე ფალავნურ ბრძოლაზე გადასულან. ქართველებს ვინმე ჩოლოყაშვილი გამოუშვიათ, აფხაზებს ვიღაც ემხვარი. ჩოლოყაშვილი ჭაღარა კაცი ყოფილა, ემხვარი უწვერული ჭაბუკი. და სწორედ იქ, სადაც ჩვენი ბორანია, შეხვდნენ ერთმანეთს თურმე ჩოლოყაშვილი და ემხვარი.

ემხვარი ეკვეთა პირველი და ხმლის ამოღება მოასწრო.

„რას უცდი, ჭაბუკო?“ - შესძახა ჩოლოყაშვილმა.

„უფროსისგან პირველ მოქნევას ველიო“.

გადახვევიან ურთიერთს და იმ დღიდან დამეგობრებულან.

* * *

ეს უსტილო, უწარსულო ქვეყანა, ენააღრეული ბაბილონი, თავის მრავალსართულიან ქორედზე წამოყუნცული, ამაყად გადმოსცქერის ყველას, ვისაც უოლ სტრიტი და ბრუკლინის ხიდი არ უნახავს.

* * *

ისეთი მამლებიც ბევრია ამ ქვეყნად, გათენების შემდეგ რომ ჰყივიან.

* * *

ყოველი დროის ცილისმწამებლებს კარგად სცოდნიათ, რომ ადამიანის უსასტიკესი დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას სწორედ იმაში დასდებენ ბრალს, რის წანააღმდეგაც თავად იბრძვის იგი.

* * *

თუ გსურს ღირსეულს მიაყენო ჩრდილი, უღირსის ქებას უნდა მიჰყო ხელი.

* * *

როგორც სჩანს, თქვენ (ქართველები) დიდი ჰუმანური კულტურის მატარებელი ხალხის შვილები ხართ და ჯერ არ შერყვნილხართ იმ ქაღალდის ცივილიზაციისაგან, რომელმაც ევროპა მიიყვანა ამ გრანდიოზულ კატასტროფამდის.

* * *

თუ ადამიანს რწმენა აქვს, იგი უძლეველია უთუოდ.

* * *

ჭაღარა არაფერია. მთავარია სულში არ გაუჩნდეს კაცს ჭაღარა.

* * *

დიდი კაცის სახელი დიდ რამეებს ავალებს ადამიანს.

* * *

ყოველი კაცი, ვინც სულ აღზევებას მიესწრაფვის, უთუოდ საეჭვოა.

აკაკი ბელიაშვილი

უკანასკნელი ნაცვალი

1948 წელს უკრაინაში საქართველოს დელეგაციამ დავით გურამიშვილის საფლავს დააყარა ოთხი მუჭა ქართული მიწა, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და ვაჟა-ფშაველას საფლავებიდან წაღებული.

სანამ პუტიომკინს თავისი „შტაბ-კვარტირა“ კრემენჩუგში ჰქონდა, დავითმა ორჯერ იმოგზაურია ამ ქალაქში. მირგოროდის მიდამოებში დასახლებულ ქართველებში ხმა დაირხა, რომ პოტიომკინთან მყოფი იმერეთის მეფის დესპანი ბესარიონ გაბაშვილი მოკლე ხანში სამშობლოში გაბრუნდება, თან მიჰყავს თხუთმეტი ათასი რუსის ჯარი ერთი ღენერლის მეთაურობით და, ვინც კი რუსეთში ქართველობაა, ვისაც სურს, თან წაყვესო.

დავითი კარგად იცნობდა გაბაშვილს. პეტერბურგში მიმავალი იმერთა დესპანი ერთხელ სტუმრად ეწვია მოხუც მგოსანს, გაიცნო, თავისი თავი გააცნო და ბევრი კარგი ლექსი წაუკითხა. დავითი მაშინ „დავითიანს“ ერთ დიდ სქელ წიგნში უყრიდა თავს და მირიან ბატონიშვილს ეს წიგნი უსტართან ერთად სწორედ გაბაშვილმა ჩაუტანა.

მიაღწია თუ არა გურამიშვილის ყურამდე იმ ამბავმა, რომ იმერთა დესპანი საქმეებს კარგად აგვირგვინებს, მთლად დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთიდან მოყოლებული ლაზიკამდე, თურქეთის ბატონობის უღლიდან ათავისუფლებს და ვინ იცის, მალე ამერი და იმერიც კი გააერთიანოსო, ოთხმოცდახუთი წლის დავითმა გადაწყვიტა თვითონ ენახა გაბაშვილი და კრემენჩუგს გაემგზავრა.

ბესიკმა დიდი პატივით მიიღო წელში ოდნავ მოხრილი, მთლად ჩამომჭკნარი და თითქმის დაპატარავებული ცალთვალა მოხუცი, მხრებზე ეამბორა და მოწიწებით მოიკითხა. დავითმა ცრემლმორეულ თვალზე ხელისგული მოისვა და ჩიფჩიფით უთხრა:

- შენი კარგი ამბები მესმის, ბიჭო, მართალია?

- უკვე აღარ ვიცი, ავი რა არის, ან კარგი რას ეწოდება, - ღიმილით მოახსენა ბესიკმა.

- როგორ იყო, ბიჭო, მირიანს რომ ლექსი მისწერე:

,,მენიშნა, დავრთე ნებანი, თანხმობით თავი უკარო,

ყოვლის სოფლისა დესპანნი აქ ყრია განაფხუკარო,

დაბმულთა ღორთა გვამსგავსებთ, რომ გვნახოთ განატრუკარო!“

- ეეჰ, ეგ კარგად დაგხსომებიათ, დავით ბატონო, მართლაც რომ აგრე იყო, მაგრამ ახლა ღვთის მადლით...

- ჰო, ჰო, მითხარი შენ გენაცვალე, გული გამიხარე, - ფუსფუსით შეაწყვეტინა დავითმა და ყურზე ხელი წაიშველა.

- მგონი, ჩვენი საქმე კარგად დაგვირგვინდეს.

- მართლა?

- თავადი პოტიომკინი შეუდგა იმერეთში გასაგზავნი ჯარის შეკრებას...

- მაშ, მიდიხართ?

- ვაპირებთ, ღვთის მადლით.

- ბიჭო, მეც წამიყვანე, - შეევედრა დავითი და თვალთაგან ცრემლები წამოსცვივდა, - მე რად გამოვდგები, მაგრამ შემიბრალე მოხუცი. წამიყვანე, არაგვის პირას დამაგდე, ერთი მისი ლურჯი წყალი დამალევინე და იქვე დამმარხე... არაგვის წყალი მომწყურდა, ბიჭო... მინდა, ჩემს მიწაში დავიმარხო, ერთი ჩემი ლურჯი ცა დამანახე, მამაშენ ზაქარიას გაფიცებ, სანამ ამ ცალი თვალით კიდევ ვხედავ, მაღირსე ჩემი ქვეყნის ხილვა, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს. სამოც წელზე მეტი აქ გავატარე, შევეჩვიე, შევეზარდე ამ მიწას, მაგრამ სიკვდილი რომ მომიახლოვდა...

- ჯერ რა დროს თქვენი სიკვდილია- გაამხნევა ბესიკმა.

- არა, ბიჭო, ტანმა მიაზრა, დიდი დღე აღარ მიწერია. ჰოდა, იმას ვამბობდი... სიკვდილი რომ მომიახლოვდა, ჩემი მიწა მომენატრა, ჩემი ქვეყანა... აგრე მომენატრა, რომ ღამეები აღარა მძინავს, სულ თვალწინ მიდგა საგურამოს ტყეები, ზედაზნის გადასახედი... აი, ისე მომენატრა, ისე, რომ არც სმა მინდა, არც ჭამა, ოღონდ იქ წამიყვანეთ როგორმე.

- რატომაც არ წაგიყვან, წაგიყვან, თავადო... - ბესიკს გული ამოუჯდა და კინაღამ თვითონაც ატირდა.

- იქ მე აღარაფერი გამაჩნია, არც სახლი, არც კარი, ნათესავთაგანიც, ვინც მახსოვდა, აღარც ერთია ცოცხალი, მაგრამ, აკი გეუბნები, ჩემს მიწაზე სამარის მეტი არაფერი მინდა. აქ რაც მაბადია, რაც რუსთ ხელმწიფეს ჩემთვის უბოძებია, გავყიდი ყველაფერს...

- ჯერ ნურაფერს გაყიდი, დავით ბატონო, მოასწრებ. როდესაც საჭირო იქნება, თვითონ გაცნობებ. ჩემს კაცს გახლებ და ის ყოველივეს მოგახსენებს, მოგეხმარება და წამოგიძღვება. კნიაზმა პოტიომკინმა ბრძანა, რაც რუსეთში ქართველობა არიან, რომელნიც კი მოისურვებენ ამ ჯარში სამსახურს, დიდი და პატარა ყველანი წაიყვანეთო. მეც მინდა მოვუწოდო, თუ წამოვლენ...

- წამოვლენ, რად არ წამოვლენ. პირველი მე წამოვალ და ვინც ჩემისთანა ძაბუნს არ მიჰყვება, თავს ლაფს დავასხამ... მაშ, წამიყვან?

- წაგიყვან.

- ათადან ბაბადან, რაც ქვეყანაზე ქართველი კაცი გაჩენილა, წესად ჰქონდა დადებული, ომში ან შორ ქვეყანაში თუ მიდიოდა, დაწვებოდა და თავის ზღურბლთან ერთ მუჭა მიწას ჯიბეში ჩაიყრიდა, ან ჩვარში გამოკრავდა და ავგაროზივით გულზე დაიკიდებდა, თუ ვინიცობაა უცხო მიწაზე სიკვდილი მეწეროს, ეს ჩემი ნაკურთხი მიწა თან ჩამყვესო. ბედმა ეგეც არ მარგუნა, ტყვეობაში ისე გამიტაცეს, გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი...

ბესიკმა ახალუხის გულისპირი გაიხსნა, ავგაროზისმაგვარად ხავერდის ნაჭერში გამოკერილი მიწა უჩვენა და ჰკითხა:

- ასეთი?

დავითმა ხელით მოსინჯა, თვალით კარგად ვერ ხედავდა.

- ჰო, ასეთი, ასეთი. მაშ, წამიყვან?

- ზურგითაც რომ მომიხდეს თქვენი ტარება, მაინც წაგიყვან.

- მოდი, ბიჭო, ეგ გულ-მკერდი დაგიკოცნო, მაგ მიწასაც ვაკოცო, ეგ შენი მადლიანი ხელი მაჩვენე...

დავითი მოეხვია ბესიკს და სცადა მისთვის ხელზე ეკოცნა, მაგრამ მან არ დაანება და თვითონ ეამბორა ძვალ-ტყავა და დაძარღვულ მაჯაზე.

მას შემდეგ თითქმის წელიწადი გავიდა. შინ დაბრუნებული დავითი ყოველდღე მოელოდა სანატრელ ამბავს და, ინათებდა თუ არა, მთელი დღე დაეხეტებოდა თავის თანამემამულე ქართველებთან, იქნება რომელიმე მათგანმა რაიმე ახალი იცოდესო, დანარჩენ დროს ფოსტის სადგურში ატარებდა და კრემენჩუგიდან მომავალ ტროიკებს დარაჯობდა. სამშობლოს ნახვის წყურვილით აწრიალებულ მოხუცს მოთმინება არა ჰყოფნიდა, დღეებს დღეებზე ითვლიდა და მოელოდა სანატრელი ამბის გაგონებას. თავისი მამულის მყიდველი მუშტარიც კი მოძებნა, მაგრამ გარიგებას ვერ ბედავდა, სანამ არ გაიგებდა, რომ იმერთა მეფის დესპანი წასასვლელად უკვე მზად იყო.

ასე ელოდა დავითი, მაგრამ შემოდგომაზე გაიგო, რომ თავადი პოტიომკინი ქალაქ იასში გადასულიყო მთელი თავისი შტაბით და, ვინც კი კრემენჩუგს უცხო ქვეყნის დესპანი ყოფილიყო, ყველანი თან გაჰყოლოდნენ.

დავითს თავზარი დაეცა, ე რა გავიგეო, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა. რაკი თავადი პოტიომკინი შეპირებული იყო გაბაშვილისათვის ჯარები მიეცა და ისე გაესტუმრებინა საქართველოში, იგი თავის პირობას შეასრულებდა. ასე ფიქრობდნენ ყველანი, მათ შორის დავითიც.

იასადან ცნობები ძალიან იშვიათად მოდიოდა, და ნელნელა მიყრუვდა ყველაფერი. შემთხვევით ან მოსკოვიდან, ან კიევიდან, ან სხვა რომელიმე ქალაქიდან მოსულები თუ მოიტანდნენ კანტიკუნტ ამბებს რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებაზე, ჯარების მოძრაობაზე, ან სხვა ისეთ მოვლენაზე, რაც საერთოდ რუსეთს შეეხებოდა, თორემ გაბაშვილის საელჩო საქმიანობაზე არავინ არაფერი იცოდა.

დავითმა მოსვენება დაკარგა. ახლა იგი ღამეებსაც თეთრად ატარებდა და იშვიათად ეძინა. ზამთრის სუსხიან ღამეებშიც კი არ იშლიდა მეზობლებთან და ფოსტის სადგურში სიარულს.

ყოველდღე, დილას თუ საღამოს, მუდამ ერთსა და იმავეს ეკითხებოდა ნაცნობსა თუ უცნობს, ხომ არ გაგიგიათ, იმერთა მეფის საელჩოს რა ბედი ეწია, ან უჩემოდ ხომ არ წასულან თავიანთ ქვეყანაშიო.

სიბერეც სულ უფრო აძაბუნებდა. ცალ თვალში შერჩენილი სინათლეც თანდათან აკლდებოდა და ძლივსღა უკიაფებდა.

ასე გავიდა მთელი წელიწადი, გავიდა გრძელი ზამთარი, მოვიდა გაზაფხული და მუხლებში მთლად მისუსტებული, წელში მოხრილი დავითი უკვე ძლივსძლივობით დალასალსებდა ეზოში. ძალა არ ჰყოფნიდა, ფოსტის სადგურში წასულიყო, მაგრამ გუნებაში მაინც იმედოვნებდა, რომ, თუ ბესიკი წაიყვანდა, ტროიკაში ჯდომას მაინც შეძლებდა, ხოლო საქართველოს მთავორიან გზებზე საკაცით წავაღებინებ თავსო.

- ოღონდ ერთი მისი ხმა გამაგონა, მისი ამბავი მაცოდინა, - ბუტბუტებდა მოხუცი.

ერთ დღეს, როდესაც დავითი ეზოში გამოვიდა და თეთრად გაპენტილ ალუბლის ძირზე ნეტარებით ყნოსავდა აყვავებულ რტოს და მისი ნაზი სურნელებით თავის სამშობლოზე მოგონებას იღვიძებდა, მოულოდნელად ღობის გადაღმიდან ქართულად მოესმა:

- პაპა დავითს ვახლავარ.

დავითმა თავისი ნახევრად დაბრმავებული თვალი გაგონილი ხმის მიმართულებით მიმოავლო და ქართულადვე შეეკითხა:

- რომელი ხარ?

- პეტა ვარ...

- აბა, პეტა?

- ნორაკიძიაანთი, გიორგის ბიჭი.

- ჩემი გიორგისა? მოდი, შვილო, საიდან მოდიხარ?

- იასიდან. ჯარში ვიყავ. გამომიშვეს.

- იასიდან... აკანკალდა მოხუცი და ღობისკენ წაფრატუნდა, - იასიდან... სად დგახარ, ვეღარ გხედავ... იასიდან... მერე, მერე, მითხარი ჩქარა. ჩვენებისა რა იცი, იმერთა მეფის დესპანი...

- რომელი, გაბაშვილი? - რაღაც გაჭიანურებით იკითხა პეტამ, - გაბაშვილი ხომ მოკვდა!

- რა... რ... რა... რაო? მოკვდაო? - შებღავლა დავითმა. - რას ამბობ, ბიჭო? რას უნდა მოეკლა ის ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი.

- არ ვიცი, ეგრე ამბობდნენ, თურქების მოსყიდულებმა მოაწამვლინესო... არ ვიცი, მართალია თუ არა, ეს კი სწორია, რომ მოკვდა და გავასვენეთ კიდეც.

- ვაიმე, ჩემო იმედო... - შემოირტყა შუბლზე ხელი დავითმა და აქვითინდა... - ღმერთო, რად გასწირე ის უბედური... ან მე რად გამწირე ასე... რა დაგიშავე ისეთი, რომ უკანასკნელი იმედიც მომისპე. მიმეთრია ჩემი ბებერი ძვლები საგვარეულო სამარხამდე, ან ქართლს, შიო მღვიმის მონასტერს, ან კახეთს, ზედაზენს... ნეტავ ერთი მუჭა ამ ჩემი მიწისა მაინც მქონდეს, რომ გულზე დამაყარონ და თან ჩამაყოლონ... ესეც კი სანატრელი მქონია. მე რაღა ვქნა, ვინ მოვა ჩემს საფლავთან, ვის გავახსენდები, ვის ვუნდივარ... - ლუღლუღებდა მოხუცი და თეთრი ყვავილებით გადაპენტილი ალუბლის რტოების ქვეშ მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა.

გალაკტიონ ტაბიძე

ილაპარაკეთ ქართულად

მარხავდნენ სხვანაირი დამარხვით. პროცესია შევიდა ხეებით დაბურულ სასაფლაოში. ქვებზე ჩამომსხდარი შავებში მოსილი ქალები მუხლმოყრილნი ქვითინებდნენ და მათი ლანდები გამჭვირვალედ ეცემოდნენ ქვებს. მხურვალე ჰაერიდან ბალახებზე მისრიალებდა დიდი ფრინველის ლანდი.

- ხეები გაზრდილან, - ჩაილაკარაკა იოველმა, - ყვავილებიც ბლომადაა. ეეჰ, რა საჭიროა ყოველივე ეს. ზედმეტია ეს სურნელოვანი ბალახებიც, ეს გვირგვინებიც ზედმეტია.

ახალგაზრდა ქალმა არაფერი უპასუხა. მის სახეზე ათამაშებული ახალგაზრდა სისხლის მოძრაობა ებრძოდა გარეგან გამომეტყველებას.

მოვიდენ სასაფლაოზე ბავშვები. მათ მოიტანეს ყვავილები.

- შევურიგდეთ ყოველივე ამას?

- ეს ხომ მხოლოდ კოშმარია?

- უნდა შევურიგდეთ კოშმარს.

- მაშ სიმართლე? სადაა სიმართლე?

- აი სიმართლე, - მიუთითა ქალმა მიცვალებულისაკენ.

- კარგი სიმართლე კია.

- ეხლა არავის აშინებს ასეთი სიმართლე, - მხრების აწევით სთქვა ქალმა და შავებში მოსილი ქალებისაკენ მიიხედა.

შავებში მოსილი ქალები კი ამბობდნენ:

- ჩვენ ეკლესია გვინდა, ჩვენ წირვა-ლოცვა გვინდა.

მაგრამ ერთი ახალგაზრდა ქალი ამბობდა:

- თქვენ შეშლილები ხართ, - არ არის ღმერთი, არ არის ანგელოზები, არავისთვის საჭირო არაა ეკლესია, გაიგეთ ეს, შეიგნეთ.

შავებში მოსილი ქალები სიბრალულის გრძნობით შესცქეროდნენ ქალს.

ქალ-ვაჟმა ერთმანეთს გადახედეს და განზე გასწიეს: ქალი ლაპარაკობდა რუსულად.

- ილაპარაკეთ, თუ შეიძლება ქართულად, - ჩაილაპარაკა ვაჟმა.

- ისედაც ბევრს ვლაპარაკობ. მგონი შეგაწყინე თავი.

- კარგი. რამდენიც არ უნდა ილაპარაკო, მე ყოველთვის ცოტა მგონია.

- რა სისულელეა. ნუთუ თქვენ შეგიძლიათ ეხლა ლაპარაკი გულდამშვიდებით? შეგიძლიათ ასეთი საუბრის მოსმენა? განა ასეთი დროა?

- სხვაგან არა: თქვენ ყოველთვის სიამოვნებით გიგდებთ ყურს.

- ეე, სისულელეა.

- დაგიგდებთ ყურს მთელი დღე, მთელი ღამე, თვე, წელიწადი. ილაპარაკეთ, ოღონდ ილაპარაკეთ ქართულად (ტირის).

* *ნაწყვეტი* ->>>

მეჩვენება, რომ ღამეა და უფლისციხე გარშემოწყობილია. მეციხოვნეებს ცეცხლი უნთიათ. დიდ ქვაბებში ადუღებენ კუპრს. თხრილებიდან ქვა გროვდება დასაშენად. თხრილს იქით კი მტრები დგანან.

მხოლოდ უფსკრულის მხარეა ჩაბნელებული. აქ ყარაული არ არის საჭირო. აქ ამოსვლა შეუძლებელია ღამით. ცა იბურება და ჟინჟღლავს.

იმ წელს ადრე შემოდგომაზე მოდის თოვლი. თოვლი ზაფხულში გახურებულ კლდეს ადნება, მხოლოდ უფსკრულის მხარეს იკიდებს ფეხს. ქარი მატულობს. თანდათან მატულობს.

მეციხოვნენი თავს იბურავენ. ქარი საბურავებში შედის და ყურებსა ყინავს.

სამლოცველოში ქარი არ არის. აქ ქალები მუხლმოდრეკით ევედრებიან ღმერთს. ღმერთი ისმენს და პასუხს არ აძლევს - უსაზღვროა მისი ძალა და უფლება. ქალები მუხლმოდრეკილნი ლოცულობენ თავიანთი შვილებისათვის. შვილებს კი სძინავთ: ღრმა ქვაბებში, კლდის საწოლებზე თივა ჰყრია, თივაზე ხალიჩები აგია და იმაზე სძინავთ. მერე რომელიმე იღვიძებს. ტირის, უძახის დედას. დედა კი ფილაქანზეა დაჩოქილი. მუხლისთავებიდან სისხლი სდის. ლოცულობს. ლოცულობს თავისი შვილისათვის - ღმერთი დიდია და მოწყალე, უსაზღვროა მისი ძალა.

გარეთ ცივა.

ქარი შრიალით ყრის ხევებში მიწას. თხრილის იქით მტრები დგანან და ემზადებიან.

იერიში გათენებისას დაიწყება.

მეციხოვნენი ცოტანი არიან, მტერი ბევრია. ბევრად მეტია. დიდი მთავარი მჭმუნვარეა. „გაუძლებს ციხე?..“ - არის მისი ფიქრი. იერიში დილით იწყება. შუაღამისას ქარი ღრუბლებს ფანტავს. ჰყინავს. უფსკრულზე ჭირხლი ეკიდება. უფრო მატულობს ქარი. ღრუბელი აღარ არის. ვარსკვლავები. უმთვარო ღამეში მოჩანან - დიდი, შორეული, ცივი.

უფსკრულში კაცი მიცოცავს. ის ფეხშიშველაა. ქალამნიანი ფეხის მოკიდება აქ არ შეიძლება, კაცის თვალები არ ჩანს, არც ტანი ჩანს, არც თავი, არც სისხლიანი ხელები. ის მიცოცავს. ყინვა იჭრება მის სხეულში, თითები უხევდება. ცერი ყველაზე ადრე კვდება; მერე კვდება ნეკი. ის სამ-სამი თითით მიცოცავს. უკვე ექვსი საათია, რაც მიცოცავს. ჯერ სწორზე მიფორთხავდა: მტრის ბანაკიდან გზა ვაკეა უფსკრულამდე. ბანაკი კი გარშემორტყმულია. ის მისი შუაგულიდან მოფორთხავს. ის მტრის სარდლის მზარეული იყო. როდის გახდა მზარეული, აღარ ახსოვს. მისი გონება ბუნდოვანია. მხოლოდ ის იცის, რომ მისი სამშობლო ეს არის, უფლისციხე; ხოლო ის, ვისაც ემსახურებოდა - მტერია. მტერს მისი არ ეშინია. მტერი მისი თანდასწრებით ლაპარაკობს, ადგენს გეგმებს. ის დიდი ხანია მთავარსარდლის მზარეულია და ენა არა აქვს. იმიტომ, რომ მოჰკვეთეს. მთავარსარდალს არ სჭირდება მეტყველი მსახური. ამიტომ მოჰკვეთა ენა და ჰყავს უენო მსახური. უენომ იცის, რომ ისინი, მისი ბატონები და მისი ხალხის მტრები, საიდუმლო გზით აპირებენ ასვლას ამაღამ, იცის უენომ და თქმა არ შეუძლია. ახლა ის უფსკრულის თავზე ჰკიდია. აქ შუაგზაა. ზევით ციხეა - იქ არის მისი ხალხი. ქვევით კი უფსკრულია და დგანან - მტრები და მისი ბატონები.

ქარი მატულობს.

ჰყინავს.

ქარი უფრო მატულობს.

ეკლესიაში, სადაც დედები ლოცულობენ ბავშვებისთვის, ღრიალით იჭრება ქარი. კარი იღება და იხურება. ქარი წყდება. უენო დგას შიგ. მის უკან კარი მიხურულია. ის დგას. მერე მუხლებზე ეცემა თავისი ღმერთების წინ და ლოცულობს. ღმერთი დიდია და მოწყალე, განუსაზღვრელია მისი ძალა. კუთხეში მიყუჟული ქალები შიშისაგან კანკალებენ და აღარ ლოცულობენ.

გადის ხუთი წუთი.

გადის ათი წუთი.

გადის ნახევარი საათი.

წინ უენო მიდის. იგი ფრთხილად ადგამს ფეხს. უკან მეციხოვნენი მისდევენ. ის უენოა და ხელით ანიშნებს. ის უენოა და ვერა კვნესის; ფეხები კი დახლეჩილი აქვს. ტერფები დახეთქილი: ლურჯი, წითელი, შავი.

დილით მზე ანათებს უფლისციხეს. მზე აშუქებს სალოცავს. სხივი სალოცავში სარკმლიდან შედის და ძირს ეცემა. მისი ფერია ნათელი და შავი. იქ კაცია დამხობილი მუხლებზე. ლოცულობს. სიტყვები არ ისმის. ის უენოა. ქალები დასისხლიანებული მუხლისთავებით დგანან ფილაქანზე. ღმერთს მადლობას სწირავენ გადარჩენისათვის: ღმერთი დიდია და მოწყალე.

გარეთ მზე ანათებს; მტრის გვამები ჰყრია ყველგან: უფსკრულის ძირას, უფსკრულის თავზე, თხრილის გარეთ და თხრილის შიგნით. მეციხოვნენი თხრიან უზარმაზარ სამარეს: ხვალიდან აყროლდება გვამები. დღე წყნარია და მზე ანათებს. ვიღაცა ჭიანურს აჟღერებს. დიდი მთავარი გაღიმებული დადის ტალანებში, მერე მხსნელს იბარებს. ის მეციხოვნეებს მოჰყავთ ხელით. მას ფეხები დაყინული აქვს და სიარული არ შეუძლია. მას სვამენ ტახტზე; კიდევ ერთხელ უხდიან მადლობას, თხოვენ: თქვას თავისი ვინაობა.

ის კი უენოა.

თხოვენ: დაწეროს თავისი გვარი ან სახელი. მან კი წერა არ იცის.

და გვერდზე საკანში ღვთისმოსავი კაცი, უფლის მონა ფურცლავს მატიანეს და წერს დიდი ასოებით: „ჟამსა ამასა და ამასა, წყალობითა ღვთისათა, დიდმა მთავარმა ვამეხმა სძლია მტერსა და უკუაქცია იგი კედლებიდან უფლისციხისა“.

მე ვფხიზლდები.

მზე ჩასულა, აღარ აცხუნებს, ქარი კი მატულობს.

ვდგები. მეჩვენება, რომ მე ვიცი იმ კაცის სახელი. რაღაცას ვლუღლუღებ. ალბათ ვაჟა ერქვა, ან უბრალოდ წყალობა, ან მახარე, ან ქიტესა; ქართველებს უმეტესად ეს სახელები ჰქვიათ. იმასაც ეს ერქმეოდა. „ჰო, უეჭველად რომელიმე მათგანია ის“, - ვფიქრობ.

საშინელ წყურვილს ვგრძნობ: მათარა თანა მაქვს. მაინც არა ვსვამ. რატომღაც მინდა უფრო მომწყურდეს. შევდივარ დიდ ტალანში, აქ ქვის სკამებია და ქვის მაგიდები. ვჯდები ქვის სკამზე. ვინ იცის, ვინ ივჯდა?!. - შეიძლება დიდი მთავარი ვამეხიც. ვფიქრობ. ვიწყებ წერას. არ შემიძლია ამდენი ვნახო და არაფერი დავწერო. ფურცლებს ვუზიარებ ჩემს განცდას.

რაღაც მაწუხებს, ვერაფრით ვერ მოვახერხე ჩამყუდროება, ქვის სკამიც კარგია, მაგიდაც კარგია. მაინც ვერ მოვეწყვე. აქ ყველაფერი ძველია და იდუმალი.

ვდგები. ჩემს გარშემო კი ყველაფერი ძველია და იდუმალი, ახალია მხოლოდ არქეოლოგთაგან დატოვებული მიწის გასატანი ორთვალები. ისინი დამტვრეულია. ორთვალებისაგან მაგიდის მსგავსს ვაკეთებ: ერთმანეთზე ვდგამ სამს და ისე. ერთზე ვჯდები. მოვეწყვე. განვაგრძობ წერას. ვერთობი. ჩემს გარშემო კი ტალანია დიდი, ცარიელი, საშიში. ამ მხოლოდ ქვის სკამები და მაგიდები დგას, ძველი, ძალიან ძველი. მე ვზივარ ერთი თვის წინათ გაკეთებულ რკინის ორთვალაზე და ვწერ. ეს ორთვალა უფრო მოხერხებულია, ალბათ, ერთი დროის რომ ვართ ორივე, იმიტომ.

ლამაზია გურჯის ქალი

წვიმა ისევ მოდიოდა. უფრო ჩამობნელდა. ნელა დაიძრნენ ლეკები. გამზა მარჯვე იყო, ოსმანიც, ალი არა.

აღა ბიი იყო მათი მეთაური.

ტყის პირას სახლი იდგა.

გამზა აივანზე აძვრა.

ოსმანიც, აღა ბიიც.

ალის ცხენები ეჭირა.

დილით უკვე კავკასიონს გადაცდნენ.

- ჩადორზე გადავიარეთ, - თქვა აღა ბიიმ და ხელები ალაჰისაკენ აღაპყრო. სხვებმა სახეები აწიეს:

- დიდ არს ალაჰი.

ხელები დაკავებული ჰქონდათ: ალის დატყვევებული მამა გაედო, ოსმანს და, გამზას თითონ თინათინ.

მთელი ღამე აწვალეს ტყვეებმა. მაინც დაიმორჩილეს. შეკრულებს თითებიდან სისხლი სდიოდათ, თავპირი დასიებული ჰქონდათ ცემისგან. თინათინ ინძრეოდა კიდევ. გამზას მაგრად ეჭირა.

- ოი, ალაჰ! - უცებ ამოხდა გამზას და ვენიდან გადმოჩქეფილ სისხლს პირი შეაშველა. თინათინმა ლეკის სისხლი გადმოაპურჭყა. გამზამ ხანჯალი გაიძრო; თინათინმა ნაბდიდან გამოყო თავი და შავი თვალები შეანათა.

- რაღას უცდი, - თქვა აღა ბიიმ. სხვებმაც დასტური მისცეს.

გამზა გაშეშდა, მერე ხანჯალი ჩააგო.

- რაღას უცდი, - გაიმეორა აღა ბიიმ.

- ლამაზია გურჯის ქალი! - თქვა გამზამ.

უსაფლო უფლისციხელი

ტკივილი? - არა. რაღაც და გათავდა

გურამ რჩეულიშვილი

პირველი თოვლი სულ თხელი იყო. იმ ღამეს არ გადაიღო, დილისთვის მთელი ველი დაფარა. ახლა უკვე ფეხი ეფლობოდა. მოშივდა ბაჭიას. ციოდა. თოვლი გაქექა და უკანა ფეხებზე ხტომით დაეშვა ჭალისაკენ. ქარი უბერავდა. ვერაფერი იპოვა.

შიოდა.

ძალიან, ძალიან მოუნდა ბალახი; თუნდაც სულ ცოტა, უფრო მოუნდა ან თივა, ან ყლორტი.

შიოდა.

რა გემრიელი იქნებოდა ბალახი.

ახლა შუა ველზე მიკუნტრუშობდა.

შიოდა.

უცებ იგრძნო რაღაც.

ტკივილი? - არა.

რაღაც და გათავდა.

ვანომ თავის შვილს დაუძახა და მოკლული ბაჭია აბგაში ჩაუდო:

- მამა, ფეხები მომეყინა, - თქვა ბიჭმა.

- ნუ გეშინია, ერთ საათში შინ ვიქნებით, - დაამშვიდა მამამ.

ერთხელ

ერთხელ ბერიკაცმა ნიჩბით გადახადა ქვევრს მიწა.

- რას შვრები, პაპავ? - შეეკითხა შვილიშვილი.

- გუშინღამ მაჭარი თუხთუხებდა, მეშინია ქვევრი არ იყოს გახეთქილი, შვილო.

შვილიშვილმა ქვევრთან ჩაიმუხლა, სარქველზე დარჩენილი მიწა გადაბერტყა, მერე ნაპირები შემოიწმინდა. პაპამ ახადა სარქველი, ორშიმო მოიმარჯვა. დიდხანს იხედებოდა შიგნით, შემდეგ თავი გასწია და შვილიშვილს ჩაახედა.

- გახეთქილა, - თქვა ჯემალმა.

- ჰო, - დაუდასტურა პაპამ.

შვილიშვილი: ასე იცის, პაპა, მაჭარმა?

პაპა: ზოგჯერ ჰო, ზოგჯერ არა.

შვილიშვილი: ზოგჯერ რატომ?

პაპა: იმიტომ, რომ ზოგჯერ ქვევრის კედელი თხელია.

შვილიშვილი: მერე?

პაპა: მერე, მაჭარი კი ზედმეტად მდუღარე.

შვილიშვილი: ზოგჯერ კი?

პაპა: ზოგჯერ კი ქვევრის კედელი სქელია, მაჭარიც ნაკლებად მდუღარე.

შვილიშვილი: მერე?

პაპა: მაშინ არ სკდება.

შვილიშვილი: პაპავ, ეგ ქვევრი აღარ ვარგა?

პაპა: ქვევრი არა, მაჭარი კი, რაც დარჩა, უფრო კარგი ღვინო დადგება.

მოხუცმა ნიჩაბს წამოავლო ხელი და ახალი ორმოს თხრა დაიწყო. პაპა-შვილიშვილმა საღამომდე იმუშავეს. საღამოხანს ეზოდან მთელი, უფრო პატარა ქვევრი შემოათრიეს და ორმოში ჩააგდეს. გამზადებულ ჭურჭელში გადაიღო მოხუცმა გახეთქილში დარჩენილი მაჭარი. პატარა ქვევრი უცებ გაივსო. რაც დარჩა, პაპამ კოკაში ჩაასხა, მერე შვილიშვილი პურზე გაგზავნა, თვითონ კი მჟავე ამოიღო.

ცოტა დალიეს.

პაპამ ყალიონი გააბოლა.

კიდევ დალიეს.

ჯემალი ოდნავ შეთვრა.

- რამდენი წლისა ხარ, ბიჭო? - გადააწოდა მოხუცმა.

- თვრამეტისა, პაპავ.

მოხუცმა კიდევ მოქაჩა, მერე კეფა მოიქექა.

- ჯერ მაჭარი ხარ, შვილო, - უთხრა და კეფა ისევ მოიქექა.

ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები

რევაზ ინანიშვილი

ჩემი წარმომავლობა

კრწანისის ომში დამარცხებულმა ერეკლე მეფემ, რამდენიმე თანმხლებთან ერთად, არაგვის ხეობას შეაფარა თავი. დღესაც არავინ იცის, სად იმყოფებოდა სამ დღეს, მეოთხე დღეს კი ანანურის ციხეში გამოჩნდა. ეს გამოჩენაც იდუმალებით იყო მოცული. მხოლოდ ციხის ბურჯებზე უმატეს გუშაგებს, მალიმალ მიმოქროდნენ თავდაღუნული მდუმარე მხედრები. სოფლებში ჩურჩულითა და ვიშვიშით გადადიოდა ხან ერთი ამბავი, ხან მეორე, დედაკაცები მუხლებში იცემდნენ ხელებს, მხრებ-აცახცახებულნი თვალებზე იფარებდნენ მოსახვევის ბოლოებს.

ნაშუადღევს ჩოჩქოლო ატყდა ციხის ეზოში. მეციხოვნებს ვიღაც ცამეტთოთხმეტი წლის ბიჭი შეეპყროთ, კარისკენ ეწეოდნენ, მაგრამ ბიჭი არ ნებდებოდა, წიხლებს ისროდა, იკბინებდა და ყვიროდა:

- მეფესთან მიმიშვით, დიდი საქმე მაქვს, მეფესთან მიმიშვით!

მეციხოვნეები პირზე ხელს აფარებდნენ, წააქციეს, ზოგი ფეხებში ჩაეჭიდა, ზოგი ხელებში, ასწიეს, ასე წაიღეს. ბიჭი მაინც იბრძოდა და ყვიროდა:

- დიდო მეფეო! დიდო მეფეო!

ამ ჩოჩქოლსა და აურზაურში კოჭლობით, მაგრამ ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა ციხისთავი. მარცხენა ხელი კისერზე ჰქონდა დაკიდებული ქალის მანდილით. მეციხოვნეებმა რომ დაინახეს, გაჩერდნენ, ბიჭი ძირს დასწიეს, ხელი მაინც არ გაუშვიათ.

- რა ამბავია, რა მოხდა? - იკითხა ციხისთავმა.

- მეფესთან მიმიშვითო, დილას აქეთია, აფთარივით უვლის ციხეს. გავაგდეთ, ვცემეთ, მაინც გადმობობღდა გალავანზე, - მიუგო ერთმა მეციხოვნემ.

მიწაზე გულაღმა გაკავებულმა ბიჭმა ამოიბრძოლა, თავი ვერ გაითავისუფლა და დაბლიდან ამოიმუდარა:

- მიმიშვით, თქვენი ჭირიმე, დიდი საქმე მაქვს, ქვეყნისთვის საჭირო საქმე.

ციხისთავმა ვერაფერი თქვა. თვალი კოშკისკენ გაექცა. იქიდან თითქოს ვიღაცამ რაღაც ნიშანი მისცა, ციხისთავმა თავი დაუქნია და მეციხოვნეებს უბრძნა:

- გაუშვით ხელი!

მეციხოვნებმა ბიჭს ხელი გაუშვეს. ბიჭი წამოდგა, შარვალი მიიწ-მოიწია, მტვერი ჩამოიბერტყა. ერთმა მეციხოვნემ დაძენძილი ნაბდის ქუდი მიაწოდა.

- სადაური ხარ? - ჰკითხა ციხისთავმა.

- აქაური.

- რომლისა.

- მზევარისა.

- რა გინდა მეფესთან?

- პირადად უნდა მოვახსენო.

- გაჩხრიკეთ.

მეციხოვნეები ეცნენ და ჩხრეკა დაუწყეს. ბიჭი ხელებაწეული იდგა და მოთმინებით იცდიდა.

მარტო ხელისგულისოდენა ქერის ხმიადის ნატეხი და ნივრის ორი კბილი ამოუღეს ჯიბიდან. ისიც მაშინვე დაუბრუნეს.

- წამომყევი.

ბიჭმა ერთხელაც გაისწორა დაძენძილი შარვალი და ციხისთავს გაჰყვა. დაბალი იყო, განიერი, როგორღაც განზე მიჰქონდა მძიმე, დაშაშრული შიშველი ფეხები. გაიარეს გრილი კედლებით შემოზღუდული ლაბირინთი, ავიდნენ კიბეებზე და ერთ კარს მიადგნენ. იმ კარს აქეთ-იქიდან თოფიანი მცველები ედგნენ. ციხისთავმა ბიჭი აქ დატოვა და თვითონ შიგნით შევიდა. გაღებულ კარში ბიჭმა დიდებული იერის მოხუცი დაინახა. გუმანმა უთხრა, მეფე ეს უნდა ყოფილიყო. გაიწია, მაგრამ მცველებმა არ გაუშვეს, თოფები გადაუღობეს.

- გამოატარეთ! - მოისმა ციხისთავის ხმა.

ბიჭი კარში შევიდა. ციხისთავმა მხარზე ხელი მოსდო, ცოტაზე ასე წაჰყვა და მერე გვერდზე გადგა.

რაღაცისათვის ტახტისკენ დახრილი მოხუცი მეფე ბიჭისკენ შემობრუნდა, ნელ-ნელა აიწია, გასწორდა, ბიჭმა სახეში შეხედა, ფეხი აერია, ჩაიჩოქა და ასე, მუხლებზე დაჩოქილი, აცრემლებული წავიდა მეფისკენ. მეფე შეწუხდა, თვითონ წამოვიდა ბიჭისკენ, მხრებში ხელები მოჰკიდა, წამოაყენა. ბიჭი ცდილობდა, მაგრამ ტირილი ვერ შეეკავებინა. მეფემაც რამდენჯერმე უმწეოდ დაახამხამა თვალები, მაგრამ ეს თვალები მიჩვეულნი იყვნენ მსგავს სანახაობებს და სწრაფადვე დაუბრუნეს სიმტკიცე.

- დამშვიდდი, ნურაფრისა გეშინია, შვილო, - თქვა მეფემ წყნარი, ბზარგარეული ხმით.

- მე არაფრისა მეშინია, მეფევ.

- აბა, რა გიჭირს, რამ შეგაწუხა, შვილო?

- თათრები არ უნდა მოგვრეოდნენ, დიდო მეფევ, თათრები ჩვენი მომრევები არ არიან!

მოხუცმა მეფემ შუბლზე ხელის ზურგი აისვა, თითქოს ჩამოწეწილი თმა აიწია მაღლა.

- მდიდრები გღალატობენ, მეფევ! - ბიჭმა ღონივრად შეკუმშული მჯიღი ნიკაპთან მიიტანა, - მდიდრებს რატომ ენდობი, დიდო მეფევ! მდიდარი ლამაზია, მდიდარს შინ ქონება რჩება, ძვირფასი რამეები რჩება. გაჭირვებაში მტერსაც მისცემს და თვითონაც ეყოფა. მდიდარი ბრძოლაში თავს რად დასდებს! ომში ჩვენ უნდა წაგვიყვანო, ობლები, უქონლები, ულამაზოები. გაჭირვებაში გამოჩეჩქვილები. ქვეყნის იმედით ჩვენა ვცხოვრობთ. ჩვენ ვის რას უნდა მოვუფრთხილდეთ! აბა, შემომხედე, სხვებიც ჩემნაირები არიან, ქვიდან გამოტეხილი ქაჯები და ეშმაკები! ჩვენ ჭრილობები ვერ დაგვამახინჯებს. პირიქით, მოგვიხდება კიდეც. გაგვიძეხი, მეფევ, ჩვენ გაგვიძეხი! ასამდე ობოლს, ქვრივ-ოხრის შვილს, კომბლიანებს, მე გამოვიყვან მარტო! გაგვიძეხი, მეფევ, და შენი თვალით ნახავ, ჩვენი მომრევი არავინ არის ქვეყანაზე. შვიდი კომბლიანი აქვე მიცდის ციხის ძირში.

მეფემ კიდევ ერთხელ აისვა შუბზე ხელი და ტახტზე დაჯდა. ბიჭისთვის თვალი არ მოუშორებია, ხელი ახლა მუხლზე ედო, მოიჭერდა მუხლზე და გაშლიდა, მოიჭერდა და გაშლიდა...

- შეგიძლია, ისინიც მოიყვანო?

- კომბლებიანად?

- კომბლებიანად.

- ეხლავე.

ბიჭი მიბრუნდა და ჯიქური ნაბიჯით წავიდა, მაგრამ უცებ შედგა და აბნეულმა მომოიხედა. თურმე კარს ასცდენოდა. ბედად ციხისთავმა მოუსწრო, - აქეთ, მზევარის ბიჭოო, - და წინ წაუძღვა.

** * **

არ გასულა ნახევარი საათი და ციხისთავი და მზევარის ბიჭი კუშტად გამომზირალ, აჯაგრულ, აფხორილ კომბლებიან ბიჭებს შემოუძღვნენ დარბაზში. ახლა მზევარის ბიჭსაც გატუსული, ბევრი ხმარებისაგან გაპრიალებული, ვეებათავიანი შვინდის კომბალი ეჭირა. ციხისთავმა ამჯერადაც გვერდზე გაიწია და ბიჭებს ანიშნა, აქ გაჩერდითო. ბიჭები შეჯგუფდნენ, ერთმანეთისკენ მიიწივნენ, ერთმანეთის ზურგებს ამოეფარნენ და კომბლები მორიდებით ჩაიყუდეს შიშველ, გაუხეშებულ ფეხებს შორის.

მეფე წამოვიდა, ნელი ნაბიჯით მოახლოვდა და მზევარის ბიჭს ღიმილით ჰკითხა:

- ესენი არიან შენი ულამაზოები?

- ესენი, დიდო მეფევ, ამ კომბლებით, ვისაც გინდათ, იმას გაუმკლავდებიან.

ბიჭები უარესად დაკოხნენ, შეტოკდნენ და ქვეშქვეში გამოიხედეს მეფისკენ. მეფემ ყველა ბიჭს ხელი ჩამოართვა, ცოტა უკან დაიწია, უყურა, უყურა და გულში გამდნარ ტყვიასავით ჩაეღვენთა: „საცოდავი ქვეყნის საცოდავი შვილები...“ ხმამაღლა კი ეს თქვა მშვიდად, დაყვავებით:

- სულ მალე დაგიძახებთ, ბიჭებო, მაჰმადხანს ერთიანად უნდა ვაზღვევინოთ ჩვენი სისხლი. ახლა მდივანი ჩაგწერთ და თქვენ-თქვენს სახლებში წადით. როცა საჭირო იქნება, დაგიძახებთ, როცა დრო დადგება, მაშინვე დაგიძახებთ.

- ოღონდ მდიდრების გვერდით არ დავდგებით! - წამოიძახა მზევარის ბიჭმა.

- არა, თქვენი რაზმი ცალკე იდგება! - მეფემ ხელი მაღლა ასწია.

ციხისთავი წინ წამოვიდა და ბიჭებს ანიშნა, წასვლის დროაო. მზევარის ბიჭმა მისი მკლავის ზემოდან ერთხელ კიდევ დაუძახა მეფეს:

- ჩვენ-ჩვენი კომბლებით უნდა წამოვიდეთ.

- თქვენ-თქვენი კომბლებით, რა თქმა უნდა, - მიუგო მეფემ.

** * **

გაიარეს გადახრილი მზით განათებული ციხის ეზო, გვერდზე გაიყოლეს გრძელ-გრძელი ჩრდილები და მერე ნელ-ნელა ჩავიდნენ ბნელ ლაბირინთში, თითქოს სამუდამოდ ჩაეფარნენ მიწას.

ოთხმოცი წლის შემდეგ კი ანანურზე გამავალი სამხედრო გზის პირას ხშირად იდგა ხოლმე უსინათლო მოხუცი, რომელიც ყოველ ზემოთამვლელს ეკითხებოდა, დამძახებელი ხომ არა ხარ ქალაქიდანო. ვინც მოხუცს არ იცნობდა, ვერ ხვდებოდა, ვინ დამძახებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინც იცნობდა, ეტყოდა, - არა, დამძახებელი არა ვარ, მზევარის ბიჭოო, - და თავჩაღუნული, სევდამოწოლილი განაგრძობდა გზას.

ჩვენი ძველი სახლი ივრის ხეობას გადაჰყურებს. წინ პატარა ბაღი გვაქვს, ხეხილნარი, მერე ფერდობია, ფერდობის ძირში წისქვილის არხი გადის, არხის იქით ჭალის ვენახებია, მერე - თვითონ ჭალა, მერე - რიყე და რიყეში - ცისფერი ყაჭვით წაღებული იორი.

ფერდობში ახლა კომშები, ქლიავები, ალუბლები და პატარა კაკლები დგას, ადრე კი, ჩემს ბავშვობაში, თელები, მუხები, ხეშავები და ბებერი წნორები იდგა. წნორები არხის ნაპირას იყო გაყოლიებული, იმათი ტოტები მეორე ნაპირზე გადადიოდა. არხი დიდი იყო, წმინდა წყლით გალიცლიცებული, წყალი ტანად კაცს საცვლის უბემდე სწვდებოდა. ზაფხულობითაც ცხელ დღეებში, ბანაობდნენ არამარტო ბავშვები, დიდებიც - კაცებიც და ქალებიც. ქალები საღამო ხანზე შებინდებულში, თანაც ტანსაცმლიანები, ხმაურით - წყლის დგაფუნით და შეკივლებებით. ბანაობის შემდეგ შემცოდეებივით სახემორიდებულნი გარბოდნენ თავთავიანთი სახლებისაკენ. წნორების ფესვებში ცხოვრობდნენ წყლის ვირთაგვები, შავად მოლივლივენი, ბრჭყვიალა დაცეცებულთვალებიანები. რამდენჯერმე მინახავს წავიც - დიდი თეთრი თევზით პირში. ახლაც სიამოვნების ჟრუანტელს მგვრის არხის დაჩრდილული ნაპირებისა და ფეხისგულებზე სილიანი ფსკერის შეხების გახსენება.

შემოდგომაზე, ყვითელ ოქტომბერში, ამოიტანდა ბებია ვედროებით არხის წყალს და მეტყოდა, - უკვე თოფოლი მოდის, თევზი ზღვისკენ დაიძრა, ამაღამ კოკოზა ჩაუგეო. მე პატარა, გამხდარ, დიდთავა ბიჭს - სიხარულის ჩოჩქოლი შემიდგებოდა. მზის ჩასვლისას დერეფნის ბუხარში დანთებულ ცეცხლზე გავახურებდი ნალისოდენა ხმელ პურს. ჩავიტანდი კოკოზას არხთან, ჩავწყობდი შიგ, სიმძიმისათვის, ქვებს, დავუგმანავდი ბალახის ბღუჯით ბოლოს, გავუხლართავდი წნელსაც, გახუხულ პურს კოკოზის საძრომში ხელშეყოფილი ჩამოვკიდებდი ჩანგალივით დაკიდებულ მავთულზე, კარგად ჩავიდოდა მზე, ერთს ვიტყოდი, - ღმერთო და ბედო! - კოკოზას ფრთხილად ჩავუშვებდი წნორის ფესვებთან, დამდორებულ წყალში (პირთავქვე, მცურავი რომ არ შესულიყო შიგ) და ორი წნელით მივაბამდი ფესვებზე.

სანამ ავდგებოდი, ერთხელაც ვიტყოდი, - ღმერთო და ბედო! - გადმოვიდოდი ცოტა უკან, ამოვფარებოდი ბუჩქს და ვიყავი იქ სულგანაბული შებინდებამდე, - კოკოზას ვყარაულობდი, ვინმეს რომ არ ამოეღო, - შებინდდებოდა და პატარა, ბავშვურ შიშზე გამარჯვებული, აღმართზე ამოქაქანებული ამოვიდოდი შინ.

ღმერთო, თან რა საამაყო იყო ის შიშიც!

მოდიოდა, მოლივლივებდა ერთი შეხედვით მორჩილი, თვინიერი წყალი. ციმციმით მოჰქონდა ყვითელი ფოთლები და პატარ-პატარა თეთრი ბუშტები, მაგრამ იმ ბუშტებიდან ფსკერამდე წყალი სავსე იყო იდუმალი მოძრაობებით, - ჩემკენ შემობრუნებულნი ჩერდებოდნენ მდუმარე, დაფიქრებული თევზები, ჩალის გრძელ ღეროებს ქვემოთ ეწეოდნენ ჩრდილებივით დაგრძელებული რაღაც ტანრბილი არსებები (სინამდვილეში ხავსები), ჭრაჭუნობდა, თითქოს პირის გახსნას ალმობდა მიწა, ბუჩქნარებში კი ჩემსავით გატრუნულები იდგნენ თავგლეჯელები...

ადრე დავწვებოდი, მაგრამ გვიანობამდე ვერ დავიძინებდი, ლოგინში უფრო მაკრთობდა იმ ჩაბინდული წყლისა და მისი ნაპირების წარმოდგენა. თანაც იყო სიხარულის შუქიც. ამ შუქში ვეწეოდი კოკოზას და გაჰქონდათ გულგასახარი ფათქაფუთქი თევზებს. როდის-როდის ჩამეძინებოდა და თითქოს სულ მალე მხარზე ხელ დამადებდა ბებიაც.

- ადექი, გათენდა, ამოიღე ის შენი კოკოზაო.

მართლაც გათენებული იყო ხოლმე. წამოვხტებოდი, ფათფუთით ჩავიცვამდი, ჩავირბენდი ორთვილითა და მკვრივი ცივი ჰაერით გამოვსებულ ფერდობს, ჩავიჩოქებდი წნორის ფესვებთან, კიდევ ერთხელ ვიტყოდი, - ღმერთო და ბედო! - ხელებაკანკალებული ავხსნიდი წნელებს, ამოვწევდი, პირს ამოვუჩენდი კოკოზას, და თუ ფართხალი და დგაფუნი შემომესმებოდა, გადმოვვარდებოდი უკან, გადმოვიყოლებდი კოკოზასაც - სწრაფად გამოვაცილებდი წყალს.

ულამაზესი სურათი ბავშთათვის - ქვებზე მოხტუნავე ფრთებგაშლილი თევზები!

იყო შემთხვევები, რომ ჩემი წყრთის სიგრძე ჭანჭრები და მურწები დამიჭერია, ზოგჯერ ოთხი-ხუთი ერთად.

არა მგონია, რომელიმე სარდალს ემაყოს ბრძოლის მოგებით ისე, როგორც მე შეამყებოდა იმ ოთხი-ხუთი თევზის შინ მიტანა.

სუნთქაშეკრული, ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებული დავუდგამდი ბებიას კოკოზას წინ. ბებია ჩაიხედავდა შიგ, რაღაც უბრალოდ, კეთილად გაეღიმებოდა, - ეს ღიმილი მერჩივნა ყოველგვარ შექებას, - ამოიყვანე და გამოწელეო, - მეტყოდა და თვითონ თავის საქმეს მიუბრუნდებოდა, მთლად შავად შემოსილი, კვამლივით უხმაუროდ მოძრავი, ტრიალებდა ცეცხლთან, შედიოდა მარანში, გამოდიოდა, გამოჰქონდა ან შეჰქონდა სხვადასხვა რაღაცეები, ტუჩების ცმაცუნის, ხმელი თითების ერთმანეთზე მიდებით და მერე გაქნევით აპკურებდა ცივ წყალს ცეცხლიდან ის-ისაა გადმოდგმულ მოხარშულ თევზს, და მეჩვენებოდა, რომ ბებია გრძნეული ქალი იყო, კეთილი გრძნეული ძალისა, - ის განაგებდა ყველაფერს (ჩვენს ოჯახში კაცები აღარ იყვნენ), განაგებდა ცეცხლის პარპარს, ხეებიდან ფოთლების ჩამოცვენას, ამინდის ცვალებადობას, ბალახების ამოსვლას...

დაიჭექებდა, ჩამოტყდებოდა ციდან მეხი, მე აკანკალებული მივეკვრებოდი ბებიას, ის მეტყოდა, - ნუ გეშინია, შენ ოთხივ კუთხით ჯვარი გწერია, - და აღარ მეშინოდა.

ერთხელ, ჭალის ვენახში მიმავალნი, ის წინ მიდიოდა, მე უკან, - უცებ შეჩერდა და, თითქოს ურჩ პატარა ბავშვს უწყრებაო, დაიძახა:

- ადექი, წადი აქედან! რას დაწოლილხარ ზედ შუა ბილიკზე!

მივუახლოვდი და დავინახე, რომ მძიმედ, თითქმის ნებივრად შეეთრია ვეება რუხმა გველმა მაღალ ბალახებში კუდი...

მე იმ კეთილი გრძნეული ქალის საგანმგებლოდან ვარ. მისი ნებით ათრთოლებული ფოთლებიდან და ბალახებიდან მოვედი თქვენთან.

მკათათვე... გზის პირას მდუმარედ ამრეშებული ყანები. თავდაზნექილი თავთავები ფხიან ნამგალს უცდიდნენ. ნიავი სადღაც გახიზნულიყო. გზა დახეთქილი, მტვრიანი... ირგვლივ მხოლოდ სევდა და თვლემა...

შარაზე გამოჩნდა მარტოდმარტო ბერიქალა, არსაფერისად ეცვა, სხვადასხვა მხიარული, ჭყეტელა ნაჭრებისაგან შეკერილი კაბა. ცალი ხელით მოძველო ქოლგა ეჭირა, მეორეთი ჭრელი ბოხჩა. ძველებური შავი თათმანი ეცვა ხელთ და ადამის ხნის დაგლეჯილი, მაღალქუსლიანი, ჩაღილული, ყელიანი ფეხსაცმელი და მომტვრეული, შუაზე გადაჩეხილი ქუსლი ძალზე აწვალებდა. მოქანცული, შეოფლიანებული გმინავდა, შეწუხებული ცალკე სიცხით, ცალკე უხერხული ფეხსაცმლით, ცალკე თავისი მწარე ბედით!

- როდემდის, როდემდის, ამდენი წანწალი! - კვნესოდა და თან მკერდზე თათმანით ოფლს იმშრალებდა, - მალე სიარულსაც ვეღარ შევძლებ და სადღაც, ღობის ძირას, ამომხდება სული!

ერთხელ, სარკეში ჩაიხედა და სარკე მიწაზე დაანარცხა. სარკემ უთხრა, რომ პირის მთვარიანობა დიდი ხანია რაც ჩაჰქრობოდა, ბროლის ნათელი, ლალის ბრდღვიალი გაჰხუნებოდა, შუქდამდგარ საღამოს მიჰგავდა. მისი ყვავილიანი სამზეო დალეულიყო. წყალმა წაიღო სილამაზეც და თაყვანისცემაც!

ოდესღაც კი სილამაზისთვის „ფუფალა“ უწოდეს!

- აგერ, ჩემი სოფელიც... ამდენ ხანს დასანატრელი... ჩემი კერა, სადაც აღარც სახლი მაქვს, აღარც კარი! ვინ გამომეგებება? ვინღა მეტყვის დედასავით ტკბილად, - შვილო, მშვიდობით მომისველო? ჭირი მოგპარეო, - ვინღა მეტყვის? - არავინ! ვინა მყავს მათი ნაცვალგვარდა? მოხრეკილი საწუთრო, უდაბნო-უგულო!

- რა კარგი იყო ჩვენი მთვარიანი აივანი, ჩვენი ხეივანი!

- საწყალი მამაჩემი, ყარსის ციხის ამღები! ხელმწიფემ მისი სურათი რომ მოითხოვა, მამამ დიდი, რუსული ცხენის ნალი მოღუნა ხელში, ეს ნალი გაუგზავნეთ სურათის მაგიერო! და მისი შვილი, აზნაურის ქალი, ახლა ასე დავწანწალებ!

ფუფალამ მთაზე შეხედა ნგრეულ ნაშტს და პირჯვარი გადაიწერა.

რა კარგი იყო მისი დღეობა! განა აქ არ იყო, რომ თავზე ხელაღებული დოლენჯი, ფუფალას გულისთვის შვიდ ნაბადზე გადახტა შეკაზმული ცხენით! ზაზუნა კი, დარდიმანდი ზაზუნა, ეკითხებოდა, მზეღმერთი ხარო თუ ვინაო?

- აჩრდილივით, სულ თან დამდევდა არდაშელი: შენს იქით გზა არა მაქვსო, შემრისხე და შემიწყალეო! მაგრამ ქვა-ქალი ვიყავ, ვიღას ველოდებოდი უწამებელი, ურწმუნო?!

- ეს რა ხორშაკი ქარი ამომივარდა, რომ სულ ყველა ერთიანად შემომძარცვა?

გამოჩნდა ჩალური და წითელკრამიტიანი სახლები... ორღობეში აყოჩებულ სიმინდს თავი გადმოეყო, რეჰანის და კამის სურნელი მოდიოდა დარწყულ ბოსტნებიდან.

თავისი აოხრებული ნასახლარის დანახვაზე ფუფალას მოაგონდა წუხანდელი ნასიზმარი: ლოგინში მწოლარეს დედა ნაზად დაჰღიღინებდა:

„ელი ელამდა, ზღვა ბიბინებდა; ზღვისა პირსა კარავი იდგა, შიგ ქალი იწვა, ფარჩა ეხურა, ფარჩა ავხადე, სამი ვაკოცე, სამმა კოცნამ ფერი უცვალა, ფერმა ნაცვალმა წიგნი დაწერა, ვის გაუგზავნა?..“

- ვის გაუგზავნი? - ღიმილით ეკითხებოდა დედილო, - სულხანს თუ არჩილს? რამაზს? აბა, მაშ ვის, გენაცვალე! - ფუფალას ვერ გაერკვია ვისთვის გაეგზავნა უსტარი და ჭოჭმანობდა. დედა კი ეხვეწებოდა ლოგინზე წამომჯდარს, - რად ეგრე? წარბი გახსენი, ჩემო სიცოცხლეო!

გაქრა თბილი სიზმარი... მყუდრო ლოგინი... ფუფალას ნათლიდედას შემოესმა მასპინძელი გლეხის გამწყრალი ხმა, ცოლს ურისხდებოდა:

- თავიდან მომაშორე, თორემ შემოგვეჩვევა, ჩვენთან ბინას დაიდებსო!

- როგორ დავითხოვო, რომ მწამლობსო! ამას წინათაც თავის ტკივილებისაგან მომარჩინაო!

- ერბოხალი მიართვი, მამაუცხონდაო!

ბერიქალა ვითომ კიდეც ექიმბაშობდა ლუკმა-პურის გულისთვის.

- ყვავი მოხარშე ისე, რომ ორთქლი არ გამოუვიდეს, იმისი წვენი დალიე!

- მორიელის სისხლი გაახმე და მიიღე!

- მუხის ხის წყალი, მიმინოს ქონი აურიე ირმის ქონში, მტრედის გული ვარდის წყალში ჩააგდე!

მკურნალ ფუფალას აფთიაქს შეადგენდა: ბალახი ვირისგვერდა, ღელაღუნტის ძირი, ტირიფის არაყი, აქლემის ძვალი, ჯოჯოხეთის ქვა, ეშმაკის კიტრანა, კრაზანა-ბალახი...

ფუფალას წამალი არავის ეჭირვებოდა. არც თვითონ ატანდა ძალას. მაინც სოფლის იმედი იყო... ისევ მკურნალის სახელით ცხოვრობდა, ოდესღაც სხვათა გულის დამჭრელი... ღვთისნიერი ნაცნობები შებრალებით აძლევდნენ თავშესაფარს.

ბერიქალა შედიოდა სოფელში, როგორ ქარიშხლისაგან დაგვემილი ნავი მიეჩქარება თავის ნავსაყუდარში.

- იქნებ უკანასკნელადაც მოვდივარ ჩემს სოფელში? - გაიფიქრა სევდიანად.

ზედ გზაზე, ღობესთან, დიდ ფშატის ძირას, სოფლის არეოპაგზე, იჯდა ქალთა სინედრიონი. თვალყებედი ჭორელები ქაქანებდნენ.

რამდენი ენაც კი არსებობს ქვეყანაზე, სულ აქ იყო ნაჯგუფარი: ენამძლე, ენაკვესია, ენაგესლი, ენაქარცი, ენამორბედი, უკლიტო ენა, ენამუხლმალი, ენა გაბნეულ-გამობნეული, სახრიკო ენა, ენამრე, ენაწყალინაყია, ენაქუხილი, ენამახვილი, ორენა...

კიდევ დავუმატოთ? ორკაპა ენა, ენატლეკია, ენაჭრიჭინა. კიდევ ვინ იცის, რას არ იტყვის დაუყენებელი ყბა.

ჭორელებმა წამოანთხიეს გულის ღარღლი, დაღერღეს ყველა, დაასახიჩრეს, დააჩინჩხვარეს, მტვერი აადინეს!

განზე იდგა ნაჯაფარი ბებია გაიანე, ხუთი შვილიშვილით, ვენახიდან გამოსული თითისტარს აძგრიალებდა, თან ალმაცერად გადახედავდა მეჭორეებს.

სალაყბოზე, სხვათა განწილვა-განქიქებაში, ყველაზე მეტად ბასრობდა ენით მქლეშელი ქარცეცხლა - დალაქის ცოლი. ქარცეცხლასათვის მთელი ქვეყანა მოუწონარი იყო, არა მის ნებაზე გაჩენილი. სამყაროს მიმართ ამბოხებულს, ყველა ათვალული ჰყავდა კბილგასაკრავად. მას ბანს აძლევდა მიმტკნარი ბაბალე, რომელიც წინასწარ ნაზი გაფრთხილებითა და გაზვიადებით მოგანდობდა დიდ საიდუმლოს:

- გეთაყვა, ეგ სიტყვა კი ანგელოზმა შეინახოსო. - მაგრამ თვით მისგანვე უკვე მთელმა სოფელმა იცოდა.

- თქვენს წინ კი ია და ვარდი ჰფენია! - და საოცარ თავზარდასაცემ ჭორს ჩამოჰყაჭავდა.

ახლაც დაიწყო... რა დაიწყო!..

ბაბალეს გადმოცემით, სოფლის მზეთუნახავ ნარგიზას ხალი მარცხენა ძუძუს ქვეშ რომ ჰქონდა, ბარემ ათ ბიჭს სცოდნია სოფელში!

- კარგადაც უქნია! - წარმოთქვა ნინუცამ, რომელსაც აღარც ერთი კბილი არ შერჩენოდა ყბაში და მხოლოდ ენას ალაღლაღებდა.

- მეტი რა უნდა წაიღოს ამქვეყნიდან. აბა, ჩემი პატიოსნებით რა გავიტანე? დიახამც, ვნანობ, რომ ჩემი სილამაზე სარეცხსა, ქათმებსა და საქონლის მოვლას გადავალიე!

- რა ყოფილა ჩვენი სიცოცხლე! მართლაც, წამიეთია, წუთის ქვეყანა, დამთქნარებას ვერც კი მოასწრობ, რომ ხელში გაგიცურდება... ეს ოხერი, როგორ ხუნდება! - ჩიოდა ისევ ნინუცა.

მზე ჩასავალზე იყო. ის იყო ჭორელებმა ყველაფერი გააბათილეს, გადააბრუნეს და თითქმის აკლდებოდათ ჭორმარაგი, აკი ღმერთმა უშველათ! სოფლის შარაზე ჩვენი მგზავრი ბერიქალაც გამოჩნდა.

- აგერ, ფუფალაც მოდის! - დაიძახეს ერთხმად და შარას მიაჩერდნენ. - რამდენი ხანია არ გამოჩენილა! სად რას არის გადაქინძული? აჰა, გინდ ეგეც, განთქმული მზეთუნახავი, ახლა საფრთხობელას დაემსგავსა. მართლაც, რა ფუჭია წუთისოფელი!

- როგორ იქნებოდა მზეთუნახავი? სახე თონეში შემწვარ ვაშლს მიუგავს! - გაკვირვებით იკითხა ლურჯთვალა გოგომ.

ფუფალა ბოხჩითა და ქოლგით მიუახლოვდა ქალთა კრებას. სახე ატკრეცილი ჰქონდა, ოფლს ზოლდაზოლ უმარილი ჩამოერეცხა.

ქალებს მიესალმა.

- კარგია, რომ დაგვხედე! სად გადაიკარგე?

- თვალი ჩამოგავლეთ! ისე შეგეწიოთ მზე, დედასთან მიმავალი, როგორც მე თქვენ მიყვარხართ! რაზე ზღაპრობდით? - იკითხა ფუფალამ, როცა სული მოითქვა და დახეული ქოლგა დაკეცა დიდი სიფრთხილით.

- ტიალ წუთისოფელზე, ოხერი რა მალე ცვდება! აი, გინდ შენ! მე რომ მახსოვხარ, ღმერთო, რა იყავი! აღარ ვიცოდი, შენ იდექი ჩემ წინ, ვარდი თუ ბროწეული? დადიოდი, ანათებდი! — უთხრა ნინუცამ.

ფუფალამ შეიფერა... თავი ამაყად გადასწია:

- ჩემო დაო, შენ რომ პატარძლად მოგიყვანეს, მე სულ ცხრამეტი წლისა ვიყავი. მაშინ ყველა ლამაზია! საქმე არი, დღეს იყო ლამაზი, თორემ წარსული სილამაზე ჩავლილი წყალივით არის, ვისღა ახსოვს? — და თან დაუმატა ნინუცას საამებლად:

- შენც კარგი იყავ, ნინუცი! — მაგრამ არავითარი შედარება არ გაიმეტა ფუფალამ ნინუცას წარსული მშვენიერების გამოსახატავად.

- მთვარეს ჰგავდი, ცისკრიანად! - მლიქვნელურად შეაქო ნინუცა ბაბალემ.

ფუფალამ იწყინა მეტოქის ხოტბა, ისიც არა გულწრფელი, უმარილო გადამეტფასება და ქორივით გადახედა ბაბალეს, რომელიც მის თვალთახედვის ქვეშ მწყერივით გაინაბა. უხერხულობა იგრძნო თვითონ ნინუცამ, რომ მიაგეს მიუგებელი, მაგრამ ქათინაური არ იუარა და ფუფალას დასაშოშმინებლად სიტყვა ქალის სხვა ღირსებაზე გადაიტანა.

- საქმე სილამაზე კი არ არის, პატიოსნები ვიყავით! ოჯახის ერთგულები! აი, ეს არის თავი და თავი!..

- მართლაც ლამაზი ვიყავი! - ამოიოხრა ფუფალამ, - სწორედ ვარდს ვგავდი! ალქალას, ოქროქალას, თვალჟუჟუნას მეძახდნენ.

- ახლა კი ბუს გეძახიან! - წამოიძახა კიტრიპარია ბიჭმა და თავქვე მოჰკურცხლა.

- რას გარბიხარ, სასიკვდილევ! მე არ მეშინია, ახლა რაც გინდა დამიძახონ! ხომ მიმჭკნარი ვარდი ვარ, მაინც ვარდი მქვიან! ნიორი და ხახვი ხომ არა ვარ დედაშენივით! ეჰ, რა ლამაზი ვიყავი! - განაგრძობდა ფუფალა, - თვალადი, ტანადი, მაგრამ შიოლას შევსწირე ყმაწვილქალობა!

- ახლაც ვარდს იფენ, - ნახევრად დაცინვით თქვა ქარცეცხლამ, როგორც შესაკმევი სიტყვა, ისე გაიგო.

სამოც წელს გადაცილებული ფუფალა მაინც ყველას დაწუნებაში იყო.

- ვინ არი?

ეტყოდნენ, ესა და ეს ვაჟკაციო!

- ჩია თუ ქია? გინდაც ფთია იყოს! ერთი გოშია კაცი, უნდო ვიღაც, ჟაჟილა თუ ყაყლაჩა! - და ზედ ქვასა და ქაცვს მიაყრიდა.

- თვალში მეფუქსავატება! მაგას მაინც არ გავყვები, სულ რომ მარტო დავრჩე, მინდვრის თაგვივით!

სიძულვილით სძულდა ახლანდელი კაცები. - ესე ვივლი, ცალი-რქა ირემივით! - და მოიღერებდა ყელს: - ციხის ამღების შვილი ვარ!

- რამდენს ვუყვარდი... რამდენი სისხლი მოიღვარა ჩემთვის! დამფრთხალ ჭივჭავივითღა ვარ! ეჰე, შიოლა... შიოლა... სადა ხარ? - ერთხელ, წყაროზე შემხვდა შიოლა, მიიხედ-მოიხედა; რომ არავინ იყო, ჩუმად მითხრა: მე რომ შენი საქმრო ვიყო, გეფიცები, ყეინს არ მივცემდი სალამსაო! სწორედ ასე მითხრა, ჩემი ნაგონარი არ გეგონოთ!

იქვე მჯდარმა მეველე რეხვიამ ჩაიფრუტუნა. ცეცხლი ჰყარა ფუფალამ:

- აბა, სარკეში ჩაიხედე, ვითომც შენც კაცი ხარ, კაცი კი არა, საჩურჩხლე ქვაბი ხარ!

სიცილი ვერც ბირხლიმ შეიმაგრა. ფუფალამ შეუტია:

- რას იცინი, ნივრიგლეჯიავ, დოღრიალავ, მუხის ფუტუროსავით თავი რომ გაბია და ზედ ქინძი ამოგდის! - და თვალები სიბოროტით მიუელვარა.

- აბა, რა კაცი ხარ, კუჭია კაცუნა! შეუვსებელი ჯამი! - და იქვე მოკეცილ დედაკაცებს მოუბრუნდა, თითისტარს რომ აძგრიალებდნენ: - ერთი მითხარით, გეთაყვათ, ეს კაცია თუ ფლასის ნაძველა?

ბირხლა იცინოდა...

- შიოლასავით არავინ გამოსულა, - განაგრძობდა ფუფალა, - მასავით ქამანდარი სროლაში, მასავით ხმატკბილი მღერაში... რა თვალადი, რა ტანადი, ბოჭორმის წმინდა გიორგი გეგონებოდა!

- ხატობაში დავენახე სულ პირველად, ჩემი ატლასურნარინჯული კაბის შემხედვარე გაგიჟებულიყო! უნდა გენახათ ომის კარს, ომის კარს უნდა გენახათ, დუქნის კარს კი არა, ახლა რომ ჰყრიხართ მთელი დღე! - მიუბრუნდა ბირხლას.

ბირხლამ ვეღარ გაუძლო და გაიქცა...

ფუფალას თანამოსაუბრეთა ერთი ჯგუფი ჩამოეცლებოდა. ახლა სხვა დედაკაცები დასხდებოდნენ, შინიდან საჭორაოდ, დასამთქნარებლად გამოპარულები, ან ბავ-

შვის საძებრად, ან დუქნიდან ნავთის მოსატანად გამოსულები. გამოჩნდებოდა ფუფალას ახალი გამამწარებელიც და იწყებოდა ფუფალას ახალი წამება.

- ეჰეი, მერცხლის თვალებავ, ისევ ცალადი ხარ? რატომ არ თხოვდები, ხომ არ გადაკრუხებულხარ? - შეესიტყვებოდა ძმობილი მურწა, კვიმატი კაცი, - თუმცა, სად არის შენი ფანდი? - არც მურწამ დაინდო ნადობილარი!

- ეჰ, წავიდა. გული წაიღო შიოლამ! - და თითქოს შიოლად ესაუბრებოდა: - ერთი ვიყავი, რათ მოვკვდიო.

- ეჰ, ვუყვარდი, ორმოცი წლის წინათ ვუყვარდი!

- რათ გინდა ორმოცი წლის დამიწებულის სიყვარული, რა ბედენაა!

- სიყვარული არ კვდება! - ნაზად უპასუხა ფუფალამ და თვალები ააციმციმა. - გმირი იყო, მდიდარიც, ლამაზიც, მაგრამ არ მიყვარდა და არ გავყე! აი, სად იყო, ძველად ქალის პატიოსნება! მდიდარი იყო, მდიდარი, სიმდიდრე-შეუზომელი, შეუწონელი, მაგრამ არ გავყე; არც პირობა მიმიცია, ჩქამიც არ დამიძრავს!

- ეგ შიოლა ვინღა იყო, როდის ცხოვრობდა, წარღვნის აქეთ, თუ წარღვნის იქით? - იკითხა ლურჯთვალებამ.

- ღვრნა შენ და წარღვნა! - გაალმასდებოდა ფუფალა.

- დიამც, გაგიჟებით ვუყვარდი შიოლას! დაჩოქილი მეხვეწებოდა, - ერთი დღე შენთან მამყოფა და უკვდავება დამალევინაო. არ გავყე ცოლად, მაგრამ მიწაში ვენაცვალე!

ფუფალას სიტყვით, შიოლა ორმოცი წლის წინათ მომკვდარიყო. სოფელში კი აღარავინ იყო შიოლას მახსოვარი.

- დიახამც, საქვეყნო კაცი იყო შიოლა და მაინც არ გავყევი!

- არ გაჰყევ და ახლა საუძლურეში ამოჰყოფ თავს! - დანესტრა დედაკაცებში ისევ შემოპარულმა კიტრიპარიამ; მაგრამ ისეთი დაუბრიალა ფუფალამ, რომ კიტრიპარია ბიჭი თავქვე გარბოდა.

- მგლის პირი შენ და ქორის კლანჭი! - გაადევნა ფუფალამ.

გზაზე ცხვრები ჩამოატარეს.

- ჩვენი სოფლის მთა-ბარი მთლად შიოლას ცხვრით იყო შეხურხლული. ამ სოფლის სასაძოვრე თუ სათიბი შიოლას საქონელს ეჭირა!

- ამბობენ, სხვათა მოჯამაგირობაში მოკვდაო! თუ ზღვასავით მდიდარი იყო, სხვას რად ედგა მოჯამაგირედ? - გესლიანად შეეკითხა ლურჯთვალა.

- არა, ის სხვა შიოლა იყო, სხვა გვარისა! - და ფუფალა უფრო გაზვიადებით განაგრძობდა:

- პირის მარგალიტი ეყიდნა ჩემთვის შიოლას, ოქროს ჯაჭვიც, ლალის საყურე, ბეჭედი, ყიდვით კი ეყიდნა, მაგრამ შიშით ვეღარ გამოეგზავნა ჩემთვის! სულ ერთია, არ მიიღებსო, არ მიკადრებსო!

არავინ იცოდა, მართლა თუ იყო ამქვეყნად ფუფალას მიჯნური შიოლა; მართლა ოქროს ჯაჭვს უგზავნიდა თუ არა?

- აბა, რა კაცი ყოფილა შენი შიოლა, - მეცხვარე კაცი, წვერჩამობანდული, ქაცვისაგან ჩამოგლეჯილი, წვიმა-ავდრისაგან ჩამოსველებული, ჩამოღარული! წავიდა შიოლა, მაისის წყალი დალია! რას მისტირი, რას გამოელოდები? - არა ცხრებოდა მურწა.

- მეცხვარე კი არა, ცხვრის პატრონი იყო! - შეუსწორა ფუფალამ.

- ჩინჩალა ყოფილა, თურმე, ბეჩავი, უამური! - წამოედავა პირსიცილით ყელმძივიანი ქერა პირბალიშა.

- მიწამ კი დაგიკეტოს კარი, შე ულხინებელო! ფრინველს მიჰქონდეს შენი თმები თავისი ბუდისათვის! - წამოიკლაკნა ფუფალა და ხელთ ქვა აიღო. გოგო გაიქცა, ფუფალას ქვა შერჩა ხელში.

შერყეული, გულზე ეკალდასხმული იდგა ფუფალა და ფიქრობდა: ეჰ, რამდენი ბოროტი ადამიანია ქვეყანაზე?! ამოსწყდეს მათი ფესვი და ნაშენიო!

- აი, შე ეშმაკის დანარჩენო, - და წამოვიდა ამტუტებული, შებეზრებული ფუფალას მეხმფრქვეველი სიტყვები.

ფუფალამ დამშვიდებაც უმალ იცოდა. გაშფოთებული მალე დაწყნარდებოდა:

- დახეთ, დახეთ, სად გადამიბნელა დღე! სად გამიტეხა ნათელ-მირონი. ამ ბაბაჭუა ფეიქარმა!

და როდესაც ზემოდან ისევ ჩამოიარა მურწამ, წყრომის ნისლყრილმა ფუფალამ ასე მიმართა:

- ბოლოს და ბოლოს, მიწა ვართ, დავითრგუნებით! მაგრამ, ძმაო, გენაცვალოს შენი დის თვალები, ჩემო ჩამოქნილო სანთელო, რათ უნდა მაწყენინო? არა გრცხვენიან, რომ ამ მიწაზე დადიხარ?

მურწამ ფეხი გადადგა წასასვლელად.

- არა, არა, ჯერ ვერ წახვალ, ჯერ გული გამიმთელე ეჭვიდან, თუ არა და სიკვდილზე წილი ვიყაროთ: ღმერთმა გაგვასწოროს ის იყოს ნების მყოფელი!

- ხმალი ხარ, ამოღებული, მძინარე ლომს გააღვიძებ! — ჩაიჩურჩულა მურწამ.

- ნამტკივნი გული ლაპარაკობს, განა მე! - ლმობიერებით ეუბნებოდა ფუფალა, - სალბუნი მომეცი, სალბუნი, რომ დავშმვიდდე... სულ ვარდს მოგაშლი, ოღონდ სალბუნი მომეცი!

- გულის ძმა ხარ! ერთად ვართ შეზრდილები. ვერაფერი გამიგია, ტვინის ძაფი დამექსაქსა. რათ უნდა მაწყენინო, შე უღმერთოვ! თუ ჩემგან რამე გეწყინა, გული გავიწმინდოთ, ვთქვათ ყველაფერი თავწაყრით, ბოლომდე ვთქვათ და გავათავოდ!

- სალბუნი მომეცი, სალბუნი! - ემუდარებოდა თავდახრილი, მიწას ჩამცქერი ფუფალა მურწას. მაგრამ მურწა უკვე გაპარულიყო. ისე გართულიყო ფუფალა თავის მჭვრმეტყველებაში, თავი როცა აიღო, მურწას მაგიერ-მოღიმარე ახალგაზრდა ქორია იდგა მის წინაშე.

- ეს ვიღაა, საიდამ მოთრეულა?

- წიწმატის ტოტზე ვიჯექი, წიწმატის ტოტი მომიტყდა! წამოიძახა ქორიამ.

- რაო?

- შენი კუბოს ფიცრის სათლელად ვიყავი, ახლა მოველი, რომ კუბოს ზომა აგიღო, ხომ გაიგე? - თავხედად ჩაუმარგალიტა ქორიამ. ფუფალა გაფოთდა, მაგრამ ყური მოიყრუა.

- ჰო, ეს შენა ხარ, მუცელავ, ქორო, ბორიაქარო, სოფელი რომ გააციე! - შეუცეცხლა ფუფალამ. ქორია ხომ განთქმული ქურდი იყო, მტაცებელი! და თანაც ფუფალას უტიფარი მწვალებელი! - ისევ თავიდან დაიწყო ფუფალას წამება.

მზე ჩადიოდა... ასაღამურდა... ბინდი დაეცა სოფლის შარას.

— უფალო, შენ დამეხე, დაწვი, დანაცრე ჩემი მტერი! უძილო მატლი სჭამდეს ჯოჯოხეთში! - იძახოდა დაღლილი წამებული.

შარაზე ნახირი გამოჩნდა. დედაკაცობა წამოიშალა.

ფუფალაც წამოდგა, ჩააცქერდა ნინუცას და უცბად ორივე ხელით შემოეხვია. ზოგნი იქვე დარჩნენ ცნობისმოყვარეობით.

- ნინუცი, ერთი უმფარველი გოგო ვარ, ხომ გამიკითხავ, როცა მოვკვდები?

ნინუცა შეკრთა, რას ამბობო, და მიესიყვარულა.

- არა, ხომ დამიტირებ შენი ლამაზი თვალებით? ნამდვილი ცრემლით, გულის ატირებით, ხომ ლოყას ჩამოიხოკავ, ჩამოიკაწრავ?

- რას ამბობ, უწინამც შენ დამაყრი მიწასა!-ამბობდა სახტად დარჩენილი ნინუცა.

დედაკაცობა შეხორხლდა...

- აბა, სიტყვა მომეცი, რომ ჩემზე თმას გაიშლი, ჩემზე შავს ჩაიცვამ, ჩემს კუბოზე დაახლი თავს! - და ფუფალა აზუზუნდა, ატირდა, აქვითინდა ადუღებული გულით, ცრემლდასხმული თვალებით. ნინუცა ტიროდა, დედაკაცებმაც ცრემლი გაშალეს. გასათხოვარი გოგოები იკბინებოდნენ.

- ოჰო, ძუძუთა ნუკრს დამიხედეთ!

-ჩემო მიწის დამყრელო, ჩემო დამსუდვრელო, ჩემო მოკეთევ, სულ ლექსით დამიტირე, შენ გენაცვალე, ცრემლში გატარებული სიტყვებით! - იხვეწებოდა თავმორეული, ყველასაგან გარიყული, უშტოვო ხესავით მარტო, ყინვა-სიცხეში ჩამომწვარი ფუფალა.

- სულ ცაში ადიოდეს შენი ტირილი. ხომ იცი, უპატრონო ვარ, ლიტაო. არავინა მყავს გულშემატკივარი! - კანკალებდა აძაგრული, საყელოცრემლიანი, ლოყაზე კურცხლმიწებებული, მინაცრებული ფუფალა.

- ცრემლის ღვარჩქერს დაგიყენებთ, თუ გინდა ჩანჩქერსაც!- ფრუტუნებდა ლურჯთვალასთან ერთად მზევარდამომავალი პირბალიშა.

თავდადრეკილი, გადასვენებული, ღონემიხდილი ფუფალა კუნძზე იჯდა გულგადალეული და ლიტრის წყლით აბრუნებდნენ.

ბოლოს, როგორც იყო, დაშოშმინდა ფუფალა. ნინუცა არ მოშორებია. შინ უნდოდა წაეყვანა, მაგრამ ხეპრე ქმრისა ეშინოდა, ორივეს კარში გამოგვყრისო, გაიჯეჯილებსო, სად მაქვს მაგის შესანახი ლუკმაო!

ბოლოს კიტრიპარია ბიჭმა ხმამაღლა დაიძახა დაშლის ნიშანი: ჩიტმა თავის ბუდე იცისო!

კიდევ ერთხელ მიესაყვარა ნინუცა ბოდიშით და შინისკენ გაეჩქარა.

მეპურმარილე არავინ გამოჩნდა.

ბინდი გამუქდა... ფუფალამ გაშალა ქოლგა და ლასლასით გაუდგა გზას. საით? თვითონაც არ იცოდა!

ბინდში გაშლილი ქოლგა რომ დაინახა, - მზე არ მოგეკიდოსო, - გესლიანად მიაცეცხლა ქარცეცხლამ.

- ხედავთ, ციცინათელა თავის შუქს მისდევს! - დასცინა ლურჯთვალამ.

- ჭრელო პეპელა, გაფრინდი ნელა! — მისძახოდა პირბალიშა.

- იცით, რა საიდუმლოს გეტყვით? - ბოროტიანმა ქარცეცხლამ დიდმნიშვნელოვნად პირზე ხელი მიიდო და გარინდდა.

- გვითხარ, შენი ჭირიმე, გვითხარ, თავს შემოგევლე! - შემოეხვივნენ დარჩენილები, მაგრამ ქარცეცხლა ასე იოლად როდი გაიმეტებდა საიდუმლოს.

- იცით რა?! - იძახდა ხმაშეკიდებით.

- ჩქარა, გვითხარი, თორემ შინ სახრეს ვერ გადავურჩებით!

ბოლოს ქარცეცხლამ, როგორც იყო გაამჟღავნა დიდი საიდუმლო:

- ისე არა ყოფილა შიოლა ამქვეყნად, როგორც მე არა ვარ ეხლა დედოფალი! - წარმოთქვა ჩამარცვლით.

- როგორ, შენი ჭირიმე, ეს როგორ? ელდანაკრავივით ეკითხებოდნენ ქარცეცხლას, - წმინდა გიორგი, შენ გვიშველე!

- ისე! სულ ფუფალას მოგონილია! შიოლა არცა ყოფილა ამქვეყანაზე, არც არავის უნახავს... ისევე, როგორც მისი წამლები!

- იმ ჭრელ ბოხჩაში მართლა წამლები კი არ უწყვია! არა, საყვარლებო, ჩემო სიცოცხლეებო, - აგზნებით ქაქანებდა ქარცეცხლა, - ფერუმარილი ულაგია, გუნდა, ლახუსტაკი, ზირა, ქარვახუთო, ზეთები, სახეს რომ ითითხნის ყოველდღე, სილამაზის ნაკვალევი მაინც შევინარჩუნოო! რომ ჩაიკეტება ხოლმე, განა მართლა წამლებს ამზადებს. ჯერ ნებივრად გამოიძინებს, მერე ჯიბის სარკეს დაიდგამს წინ და თავს ილამაზებს...

- უყურეთ, მაგ პეწენიკს, თვალთმაქცს, როგორ გვატყუილებდა! ერთი უყურეთ! - ვიშვიშებდნენ დედაკაცები.

ფუფალა მიჰფარდა იქვე ორღობეს მოსახვევში თავის ქოლგით, ბოხჩითა და თექვსმეტნაჭრიანი კაბით. მიდიოდა პურ-უჭმელი, დაბეგვილი, მოთუთქული, დაქოლვილი, ნაწამები, და არ იცოდა, რომ უკვე გაცემული იყო ყველა მისი დიდი საიდუმლოება, რომ ხვალიდან უკვე მზადდებოდა მისთვის გოლგოთა, ახალი ჯვარცმით...

ნოდარ დუმბაძე



- ჯემალ, სკრიპკა!
- იანგული, ლაწირაკო!
- ჯემალ, ქამო!
- იანგული, წუწკო ბერძენო!
- ჯემალ, წირპლიანო!
- პატარების ყოჩო!
- ვირისთავო!
- ვირის მწყემსო!
- გოგოების მაჩალკა!
- ხულიგანო!
- თბილისელო ჰარიფო!
- შენი დედა ვატირე, იანგული!
- იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ!

* * *

სოხუმელი ბერძენის ხრისტო ალექსანდრიდის შვილი იყო იანგული. ნაფოტივით თხელსა და ბეჭებგანიერს სწორი, ლამაზი ცხვირი, ნახშირივით შავი თვალები და მაიმუნივით გრძელი ხელები ჰქონდა. რომ იდგა, მუხლებამდე წვდებოდა უზარმაზარი ტორები. თოთხმეტი წლისა იყო. თავის ტოლ უბნის ბიჭებს შიშის ზარს სცემდა. საოცარი ჩხუბი იცოდა, ორ-სამ ბიჭს ერთად გაასილაქებდა, ხელს არ გაანძრევინებდა. კატასავით სწრაფი იყო, კაჟივით მაგარი და ჯანმრთელი. ზამთარ-ზაფხულ სატინის შავი ხალათით დადიოდა, მკერდგაღეღილი.

ვენეციის გზატკეცილზე ცხოვრობდა, მდინარე ჩალბაშის პირას, მამამისთან ერთად. დედა ისე პატარას გარდაცვლოდა, არც კი ახსოვდა. მიწის ნაკვეთი ჰქონდათ, ხელისგულისოდენა ბოსტნით. ერთი ძროხა ჰყავდათ, ერთიც ნაცრისფერი ჩოკინა. რძეს, მაწონს და მწვანილს ჰყიდდნენ მეზობლებში და სოხუმის ბაზარში, იანგული არსად არ სწავლობდა, მამამისს ეხმარებოდა მეურნეობაში და ხანდახან ვირსაც დაჰყვებოდა სავაჭროდ. დანაარჩენი დრო ქუჩაში იყო გადებული. რკინიგზის გადასასვლელთა იდგა ხოლმე, სკოლიდან დაბრუნებულ ბიჭებს ჯიბეებს უჩხრეკდა, ზოგს ძალით, ზოგს ნებით, თუთუნს, ხურდა ფულს, ბრჭყვიალა ნივთებს, ჯაჭვებს, ფერად ფანქრებს, კალმისტრებს ართმევდა, მეორე დღეს იმავე ნივთებს იმავე ბიჭებთან შეღავათიან ფასებში ჰყიდდა. მერე თავიანთსავე ფულზე ეთამაშებოდა, უგებდა, ჯიბეებგატენილი ბრუნდებოდა შინ.

ასე გრძელდებოდა ყოველდღე.

ამ თოთხმეტი წლის დიქტატორს ყურმოჭრილ მონებად ჰყავდა მთელი ვენეციის გზატკეცილის ბიჭები და მათ შორის ჩემი დეიდაშვილი კოკაც.

უბნის ყოჩი იყო იანგული.

ჩვენი ნაცნობობა 1938 წლის შემოდგომაზე დაიწყო. დეიდაჩემმა ნინამ, ობლობა რომ არ მეგრძნო, თბილისიდან ჩამოსული მეორე დღესვე მთელ სოხუმში სახელგანთქმულ მუსიკის მასწავლებელ ელენა მიხაილოვნა ნავროდსკაიასთან მიმიყვანა და მუხლებში ჩაუვარდა:

- ობოლია, დედამისი ვიოლინოზე ატარებდა, უდედობა და ობლობა რომ არ იგრძნოს, უარს ნუ მეტყვით; სხვას რომ ახდევინებთ, ორი იმდენი გამომართვით, ოღონდ აიყვანეთო.

ნავროდსკაიამ ჯერ სმენა გამისინჯა, მერე ნოტების კითხვაში გამომცადა, თითებზე დამზედა, ნიკაპის ქვეშ ხელით კოჟრი მომისინჯა, ერთხანს იყოყმანა, შემდეგ მეორე ოთახში გავიდა. ვიოლინო გამოიტანა, სიმები მოუშალა და ააწყვეო, მითხრა. დეიდაჩემი შეშინებული მიყურებდა და, როდესაც ვიოლინო ავაწყვე, შვებით ამოისუნთქა.

- აბა, ახლა ბეთჰოვენის „ზაზუნა“ დაუკარი! - მითხრა ელენე მიხაილოვნამ, სავარძელში ჩაჯდა და მოსასმენად მოემზადა. ბეთჰოვენის ხსენებაზე დეიდაჩემს საქციელი წაუხდა.

- პატივცემულო ელენა მიხაილოვნა, იქნება სხვა, უფრო პატარა კომპოზიტორი გეკითხათ?! - სთხოვა ნავროდსკაიას და ცხვირსახოცით შუბლზე გამოცვარული ოფლი დაიმშრალა.

- როგორ, „ზაზუნას“ არ უკრავს? - ჰკითხა გაკვირვებულმა ნავროდსკაიამ დეიდას და წარბები აზიდა.

მე მივხვდი, რომ დადგა ის სანატრელი ჟამი ჩემს ცხოვრებაში, როდესაც საშუალება მეძლეოდა თავი დამეხსნა მუსიკის მონობის უღლისაგან, რომელშიც ექვსი წლისამ შემაბა დედაჩემმა და უმოწყალოდ მხედნიდა, საკმარისი იყო ახლა, ამ წუთში, მეთქვა ერთი მაგიური სიტყვა - „არა“, რომ ყველაფერი დამთავრდებოდა, მაგრამ არ ვიცი დეიდაჩემის ტანჯულმა სახემ, ნავროდსკაიას გაკვირვებულმა გამოხედვამ, ცამეტი წლის ბავშვის განუზომელმა პატივმოყვარეობამ თუ ჩემთვის გაურკვეველმა კიდევ რაღაც ძალამ ხელში ამაღებინა ვიოლინოს ხემი და ოთახი „ზაზუნას“ მარტივი და განიალური მელოდიით აივსო.

როდესაც დაკვრა დავამთავრე, დეიდა ნინას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, ნავროდსკაიას კი სახეზე კმაყოფილი ღიმილი ეფინა.

...და ელენა მიხაილოვნა ნავროდსკაიამ ამიყვანა.

როდესაც შინ ვბრუნდებოდით და რკინიგზის გადასასვლელს მივუახლოვდით, იანგული ქვაფენილზე იჯდა ფეხმორთხმული და კაკალს ამტვრევდა აგურის ნატეხით.

- გამარჯობათ, ნინა ივანოვნა! - მიესალმა იგი დეიდას, როცა ჩავუარეთ.

- გაგიმარჯოს! - მოკლედ უპასუხა დეიდამ.

- კოკა სადაა? - ჰკითხა იანგულიმ.

- კოკა შენსავით უსაქმო კი არ არის, სკოლაშია! - უპასუხა დეიდამ.

- ეგ ვინღაა?

- შენი საქმე არ არის! - თქვა დეიდა ნინამ და წინ გამიგდო.

იანგულიმ გაბმულად დაუსტვინა. ჩვენ გზა განვაგრძეთ.

- ეეე, სკრიპკა! - მომესმა უცებ. გაკვირვებულმა მოვიხედე.

იანგულის ცალი თვალი მოეჭუტა, კისერი მოეღრიცა, ენა გამოეყო და მარჯვენა ხელს მარცხენაზე ხერხივით ისობდა. მივხვდი, მე მაჯავრებდა ვიოლინოს დაკვრაში. ბრაზისგან გული ყელში მომებჯინა.

- მაიმუნო! - დავუძახე და მუშტი მოვუღერე.

- ხვალ გამოიარე, შეშა მაქვს დასახერხი! - მიპასუხა სიცილით.

- შენ არ მოიშალე ხულიგნობა? - უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი დედაჩემმა.

- ვინ არის? - ვკითხე მე.

- ბერძნის ბიჭია, იანგული, მამამისს რძე დააქვს ჩვენთან. არ დაგინახო მაგასთან გავლილი, ხულიგანია, დღე და ღამე ქუჩაში გდია.

მე ისევ მოვიხედე უკან, იანგული დამტვრეულ კაკალს არჩევდა, თან გამომწვევად მიცინოდა.

* * *

მეცამეტე სკოლაში სიარული, რომელშიც დეიდაჩემმა მომაწყო, რკინიგზის ლიანდაგზე გავლით მიწევდა, ასე რომ ჩემი და იანგულის ყოველდღიური შეხვედრა თითქმის გარდაუვალი შეიქმნა.

დაახლოებით ერთი თვე ყურადღებას არ მაქცევდა. იდგა უბნის ბიჭებში და, როგორც ყოველთვის, კოჭობანას ან პაჟარობანას თამაშობდა.

ერთი კი იყო, როგორც კი თვალს მომკრავდა, იმავე წუთში, ჩემს დასანახავად, ვინმეს ან ქუდს ჩამოაფხატავდა თვალებზე, ან პანღურს ამოჭკრავდა, თან ირიბად გამომხედავდა.

მეც ისე ჩავუვლიდი, თითქოს ფეხებზე მეკიდა იანგულიცა და მისი მრევლიც. ისე კი ერთი სული მქონდა, ბიჭებში გავრეულიყავი და იანგულის მსგავსად მეც მეჩვენებინა ჩემი შნო და მარიფათი, მაგრამ ჯერ უბანში უცხო, უამხანაგო, უმეგობრო და უდამქაშო ვიყავი, გვერდით ჩემი უმცროსი დეიდაშვილის, კოკას გარდა არავინ მომდევდა, და ამიტომ მისვლას ვერ ვბედავდი, ერთს კი ვგრძნობდი, ჩვენი ურთიერთობა ლაღუმის პატრუქივით თანდათან იწვებოდა, პატარავდებოდა, ფისტონს უახლოვდებოდა, და ერთ მშვენიერი დღეს იფეთქებდა.

...და ზუსტად ერთი თვის თავზე ეს დღეც დადგა.

ელენა მიხაილოვნას მოწაფე ჰყავდა. მე მოსაცდელში ვიჯექი და ჩემს რიგს ველოდი.

მრგვალ მაგიდაზე აკვარიუმი იდგა და შიგ წყალმცენარეებსა, ლამაზ ნიჟარებსა და ქვებს შორის მარაოსავით ფარფლებგაშლილი ოქროს თევზები დასრიალებდნენ, თან პირს სასაცილოდ აფჩენდნენ და ჰაერის ბუშტებს უშვებდნენ. რატომღაც მომეჩვენა, რომ თევზებს სასტიკად შიოდათ და ამიტომ წრიალებდნენ. სასწრაფოდ ამოვიღე ჯიბიდან გაზეთში გახვეული შავი პურისა და ყველის ბუტერბროდი, წვრილწვრილად დავფშვენი და აკვარიუმში ჩავყარე, წყლის ზედაპირი შავი პურისა და ყველის ნაფხვენებით დაიფარა. თევზები ჯერ დაფრთხნენ, ქვებსა და ნიჟარებს ამოეფარნენ, შემდეგ, თითქოს მიხვდნენო ჩემს კეთილ განზრახვას, საფარიდან გამოცვივდნენ და გაშმაგებით შეესივნენ საჭმელს.

უზომო კმაყოფილებით ვუმზერდი ოქროს კორიანტელს. აკვარიუმი პატარა ოკეანესავით ღელავდა და ბობოქრობდა. თევზები თავდავიწყებით ტრიალებდნენ და ცეკვავდნენ. მერე თანდათან უკლეს თამაშს. აკვარიუმი დაწყნარდა და დამშვიდდა. ახლა მუცელდაბერილი და დამძიმებული ოქროს თევზები ზანტად დაცურავდნენ მინანქრის ნიჟარებსა და ქვებს შორის, რიგრიგობით მოდიოდნენ მინის კედელთან და თითქოს მადლობას მეუბნებიანო, კუდის ოდნავი მოძრაობით ტოკავდნენ ჩემს წინ, უცებ ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე უფრო დიდი იყო, გულაღმა ამოტრიალდა და ზურგზე დაიწყო ცურვა. გაკვირვებული მივჩერებოდი ამ უცნაურ სანახაობას. მალე სხვა თევზებმაც მიბაძეს. აკვარიუმი თითქოს თავდაყირა ამოატრიალესო, ახლა ყველა თევზი გულაღმა ცურავდა შიგ, თან გამალებით აშუშავებდნენ ლაყუჩებს... წყალში ხელი ჩავყავი და თევზების წაღმა გადმობრუნება ვცადე, მაგრამ ამაოდ, ისინი კვლავ გულაღმა წვებოდნენ, შეშინებულმა სასწრაფოდ ამოვიღე ხელი წყლიდან. მივხვდი, რომ მოხდა რაღაც საშინელება. მალე აკვარიუმში სიცოცხლე ჩაკვდა. მოწამლული ოქროს თევზები უსულოდ ტივტივებდნენ წყლის ზედაპირზე. ტანში შიშის ჟრუანტელმა დამიარა, ვიოლინოს ბუდეს ხელი ვსტაცე და გასაქცევად მოვემზადე, მაგრამ უცებ კარი გაიღო და ოთახიდან ელენა მიხაილოვნა გამოვიდა. იგი ჩემზე ადრე მოსულ მოსწავლეს მოაცილებდა, თან რაღაც დარიგებას აძლევდა.

- შემოდი! - მითხრა მან, როდესაც მოწაფე გააცილა. მე გაშეშებული ვიდექი.

- შემოდი, შემოდი! - გამიმეორა მან, მხარზე ხელი დამადო და მსუბუქად მიბიძგა ოთახისკენ. ადგილიდან არ დავძრულვარ.

- გაკვეთილი არ იცი? - მკაცრად მკითხა ელენა მიხაილოვნამ და კვლავ რომ არ გავეცინა, გაკვირვებულმა თვალი გააყოლა ჩემს გაშტერებულ მზერას... და მოხდა ის, რისი წარმოდგენაც მხოლოდ იქთიოლოგებს შეუძლიათ. მუხლმოკვეთილი ელენა მიხაილოვნა სავარძელში ჩაეშვა, ტუჩები გაულურჯდა და ხმის კანკალით მკითხა:

- *Ты что наделал, паршивый мальчишка?!*

- მე არ მეგონა, ელენა მიხაილოვნა, მე მხოლოდ შავი პური და ყველი ჩავუყარე...

- *Отравил!* - ამოიგმინა მან სასოწარკვეთით. მერე თავი ხელებში ჩარგო და შვილმოკლულივით აქვითინდა, მახსოვს, როგორ ვლუღლუღებდი, თავს ვიმართლებდი და ვცდილობდი, როგორმე დამეშვიდებინა მუსიკის მასწავლებელი, მაგრამ ყოველივე ამაო იყო... იგი ადგა, აკვარიუმთან მივიდა, სათითაოდ იღებდა წყლიდან უსულო თევზებს, ჰკოცნიდა, კვლავ აკვარიუმში აბრუნებდა, თან საოცარი სიტყვებით ეალერსებოდა.

- *Милые мои, золотые, ненаглядные, отравили, убили вас.*

მერე ჩემსკენ შემოტრიალდა, სახე შეშლილი ჰქონდა, ნიკაპი უკანკალებდა და თვალებიდან ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლი. უცებ გაშლილი ხელი მოიქნია და ისეთი სილა გამაწნა, თავი ძლივს შევიკავე, რომ არ წავქცეულიყავი.

- *Вон из моего дома, варвар. Чтоб твоей ноги не было больше здесь! Вон!*

მე სილა და ცრემლი ერთად გადავყლაპე, ვიოლინო იღლიაში ამოვიჩარე და უხმოდ გამოვიხურე კარი.

თავზარდაცემული, შერცხვენილი და ცოცხალ-მკვდარი მოვაბიჯებდი სახლისაკენ.

რკინიგზის გადასასვლელთან იანგული და მისი დამქაშები პაჟარობანას თამაშობდნენ. გულმა მათკენ გამიწია. შინ მაინც არ მიმესვლებოდა. ბიჭებს რომ დავუახლოვდი, ფეხი ავითრიე, მერე განგებ გავჩერდი და დავიხარე, ვითომ ფეხსაცმლის თასმას ვისწორებდი.

- ეეე, სკრიპკა! - იანგულის ხმა ვიცანი. წელში გავიმართე და თვალებში შევხედე.

- რა გინდა? - ვკითხე.

- მოდი აქ! - მიმიხმო თითით.

- თუ საქმე გაქვს, თვითონ მოდი! - ვუთხარი. იანგულიმ გაკვირვებულმა გადახედა მასზე უფრო გაკვირვებულ ქვეშევრდომებს და ნელი ნაბიჯით წამოვიდა ჩემსკენ.

- შენ არ იცი, მე ვინა ვარ? - მკითხა ამაყად.

- ვიცი! - ვუპასუხე მე.

- მერე, რომ გეძახი, რატომ არ მოდიხარ?

- შენ ვინა ხარ, მე რომ მეძახი? - ვუთხარი აგდებით და ყოველი შემთხვევისათვის ვიოლინო მიწაზე დავდე. იანგულიმ ისევ გაკვირვებით გახედა თავის ბიჭებს, რომლებსაც თამაშისათვის თავი დაენებებინათ და ჩვენს გარშემო წრე შეეკრათ.

- იანგული, ასწავლე, ვინცა ხარ! - დაუძახა ვიღაცამ წრიდან.

- მიდი, უთაქე, იანგული!

- ერთი შენებური სილა აჭამე!

- ჯერ ვნახოთ, რა ბიჭიც არის! - თქვა იანგულიმ და ლოყაზე ხელი მომითათუნა.

- ნუ ბანაობ! - ვუთხარი და თავი გავწიე.

- უყურე შენ?! - გაუკვირდა იანგულის.

- მიყურე! - ვუპასუხე მე.

- პაპიროსი! - ხელი გამომიწოდა უცებ იანგულიმ.

- არ ვეწევი!

- ფული!

- არ მაქვს!

- ჯიბეები ამოიტრიალე!

- შენ თვითონ ამოიტრიალე!

ბიჭებში ჩურჩული ატყდა, იანგული დაიბნა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ვიოლინოსკენ დაიხია.

- ხელი აიღე! - ვუთხარი მე და ვიოლინოსკენ წავიღე ხელი, მაგრამ იანგულიმ დამასწრო, ბუდე გახსნა, ვიოლინო ამოიღო, გამომიწოდა:

- მიდი, დაუკარი, ბიჭები გამირთე!

- არ ვუკრავ!

- მაშ, რას დაათრევ, მუქთა ვირი ხარ?

არაფერი ვუპასუხე, ვიოლინოსაკენ გავწიე, რომ გამომერთმია, იანგულიმ უკან გადადგა ნაბიჯი და ვიოლინო ზურგს უკან დამალა.

- პეტია, ფემა, კურლიკ, პანჩო, გენა, სკრიპკას ხმა გაგიგონიათ როდესმე? - ჰკითხა ბიჭებს. ბიჭებმა კვიცებივით დაიჭიხვინეს.

- მარტო რადიოში! - თქვა პეტიამ და ისევ დაიჭიხვინა.

- მიდი, იანგული, გაგვაგონე!

სხვაზე ადრე ჩემი ვიოლინოს ხმა მე გავიგონე: იანგულიმ იგი მსუბუქად მოიქნია და ბრტყლად დამამხო თავზე. - ზზრრრ, წკრრრ... - დაიკვნესა ვიოლინომ და შუაზე გადაიხსნა, ქვედა ნაწილი მოწყვეტილი მკლავივით დაეკიდა ზედას და ერთხანს კიდევ გამოსცემდა ამაზრზენ ხმას. ბიჭები მიწაზე გაგორდნენ. გული გამიჩერდა, სისხლი თავში ამივარდა და ყურები დამიგუბდა. აღარაფერი მესმოდა, ვხედავდი მხოლოდ მიწაზე გაგორებულ ბიჭებს, წელში გაწყვეტილ ვიოლინოს და იანგულის ოდნავ წინ გამოწეულ გამხდარ ყბას და უცებ, რაც ძალი და ღონე მქონდა, დავკარი ამ ყბას გაციებული მუშტი.

როდესაც კვლავ დამიბრუნდა სმენა და ცნობიერება, იანგული ქვაფენილზე იჯდა, გაკ-

ვირვებული მიმზერდა და ყბას მარჯვენა ხელით იზელდა. სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. მე უხმოდ შევტრიალდი და შინ წავედი.

საღამოს დამტვრეული ვიოლინოცა და მისი ყუთიც ჩვენმა მეზობელმა და იანგულის მარჯვენა ხელმა, პეტიამ მოგვიტანა, შემოსასვლელთან დაყარა და გაიქცა.

დეიდაჩემმა ჯერ პეტია შეიცხადა, მერე ვიოლინო, მერე იანგული ალექსანდრიდი, მერე მე და სულ ბოლოს დედაჩემი.

ახლა რომ ვიხსენებ, დეიდაჩემი დაახლოებით ასე მოსთქვამდა:

- როგორ ხარ დაგვაჯული, ისე არგასაზრდელო პეტიაა... შენ და მემწვანილე მამაშენს რას გერჩით. თქვენ რა იცით ამ ვიოლინოს ფასი, სტრადივარიუსი და პაგანინი მხერხავები გგონიათ... იანგული ალექსანდრიდი მყავს მოსაკლავი, მაგრამ ვირის ყროყინზე გაზრდილ ჩოჩორს მუსიკის რა მოეთხოვებაააა... ჩემს ოჯახში ჩამოსახლებული ეს ახალი ხულიგანი მყავს მოსაკლავიიიი... სულწაწყმედილო და უბედურო დაო ანიკო, მე ჩემი გაჭირვება არ მეყოფოდა, ეს ყაჩაღი რომ არ დაგეტოვებინა ჩემდა სამწყემსარად. ვაი, შენს დღეს და უი, ჩემს გაჩენას...

ამ დღეს დასრულდა ჩემი მუსიკალური ოდისეა და დაიწყო ახალი ერა ჩემს ცხოვრებაში - ბრძოლა არსებობისათვის.

* * *

მეორე დღეს იანგული და პეტია სკოლის ალაყაფთან დაგვხვდნენ მე და ჩემს დეიდაშვილ კოკას. ერთი კი შემიქანდა გული, მაგრამ ისე ჩავუარე ორივეს, თითქოს გუშინ არაფერი მომხდარიყოს.

- სკრიპკა! - ხმა პეტიასი იყო, მე გავჩერდი.

- უნდა გელაპარაკო! - მომიახლოვდა იანგული.

- რაზე?

- აქ უხერხულია! - თქვა მან და სკოლიდან გამოსულ ბავშვებს და მასწავლებლებს გახედა.

- აბა, სად? - ვკითხე მე.

- რკინიგზის გაღმა, ხიდის ქვეშ.

- სადაც გინდა! - ვუპასუხე და გავყევი.

იანგული წინ მიდიოდა! მერე მე და კოკა. პეტია უკან მოგვდევდა მოშორებით. ალბათ იმიტომ, რომ არ გავქცეულიყავით.

- დავიღუპეთ! - თქვა საქციელწამხდარმა კოკამ. კოკა ორი წლით პატარა იყო ჩემზე და არაერთხელ ჰქონდა ნაჭამი იანგულის ალიყური.

- ნუ გეშინია! - დავამშვიდე, თუმცა გულახდილად რომ ვთქვა, მეც მეშინოდა. რკინიგზის მიწაყრილზე რომ ვეშვებოდით, კოკამ გაქცევა დააპირა, მაჯაში ჩავავლე ხელი და რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვუჭირე.

- არ გაიქცე, ბიჭო, სირცხვილია!

- შენ არ იცი მაგის ამბავი, დაგვასიებს ორივეს, - ამოიკვნესა კოკამ.

- რა მოხდა მერე, ხომ არ მოგვკლავს, - ვუთხარი მე. კოკა დასაკლავად განწირული ხბოსავით გამომყვა.

იანგული რკინიგზის ხიდის ქვეშ დადგა. აქეთ-იქით გაიხედგამოიხედა. კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. ჩვენც გავჩერდით.

- აჰა, მოვედი, რა გინდა? - ვკითხე იანგულის. იანგულიმ თავი ჩაღუნა, ერთხანს ასე იყო, რაღაცას ფიქრობდა.

უცებ თავი ასწია.

- შენ გუშინ უბანში შემარცხვინე. ერთი დარტყმით დამსვი... არ ველოდი და იმიტომ დამსვი, პასუხი იმიტომ არ მიიღე, რომ ვერ ავდექი. მინდოდა ადგომა, მაგრამ ვერ ავდექი. - მისმა მშვიდმა და გულახდილმა ლაპარაკმა სულ გამაფუჭა. - მე ამ უბნის ყოჩი ვარ და ყოჩად დავრჩები... - განაგრძო მან.

- მე არ მინდა შენი უბნის ყოჩობა, თავი დამანებე! - გულწრფელად ვუთხარი მეც.

- შენ რომ ჩემზე დიდი იყო, დაგანებებდი, მაგრამ შენ ჩემზე ერთი წლით პატარა ხარ, ამიტომ ვერ დაგანებებ თავს. უბანში ორი ყოჩი არ შეიძლება, ან შენ უნდა იყო, ან მე...

- აკი გითხარი, არ მინდა ყოჩობა-მეთქი! - გავუმეორე.

- ეგრე არ გამოვა, უნდა ვიჩხუბოთ.

- ვიჩხუბოთ! - დავთანხმდი მე.

- პატიოსნად ვიჩხუბოთ! - თქვა იანგულიმ.

- პატიოსნად რას ჰქვია? - გამიკვირდა მე.

- არც პეტია, არც კოკა ჩხუბში არ უნდა ჩაერიონ. გინება არ იყოს, ქვა არ იყოს, წაქცეულის ცემა არ იყოს!

- ეგრე იყოს!

- თუ მოგერიე, ხვალ იმავე უბნის ბიჭებთან გცემ, რომლებთანაც დამსვი, მერე მოგეშვები! - გამაფრთხილა.

- ცემა მორევაზეა! - ვუთხარი მე.

არაფერი არ მიპასუხა, შავი სატინის ხალათი გაიხადა და მიწაზე დააგდო, რომ გაიხადა და შევხედე, გულმა რეჩხი მიყო: იმხელა გაშლილი მკერდი ჰქონდა, თან მარცხენა ძუძუს ზემოთ ლურჯი ლათინური ასოებით დასვირინგებული ჰქონდა სიტყვა HELLADOS, რომელმაც შემაკრთო უცებ.

იანგულიმ რაღაც უთხრა პეტიას ბერძნულად. პეტია შეყოყმანდა. იანგულიმ ბრძანება გაუმეორა. პეტიამ ორი დიდი ქვა ამოიღო ჯიბეებიდან და უხალისოდ გადაყარა. იანგულიმ ახლა კოკას შეხედა, კოკამ ცარიელი ჯიბეები ამოიტრიალა.

- დავიწყოთ! - თქვა იანგულიმ.

- დავიწყოთ! - ვთქვი მე და ჩანთა მიწაზე დავაგდე.

ჩხუბი ორ-სამ წუთს გაგრძელდა. მე შეკრული მუშტებით ვჩხუბობდი. იანგული გაშლილი ხელით. ჩემი დარტყმული ყრუ ხმას გამოსცემდა, მისი კი ქვეყანას აზანზარებდა: ისეთი ლაწალუწი გაუდიოდა ჩემს ყბებზე.

პეტია ბერძნული შეძახილებით ამხნევებდა იანგულის, კოკა კი ქართულად მკარნახობდა:

- თავი, თავი აჭამე, ჯემალ!

ვიცოდი, რომ ახლოს მისვლა და თავის ჭმევა იყო საჭირო, მაგრამ წელს ზემოთ გახდილს რამდენჯერაც წავავლე მკლავში ხელი, იმდენჯერ დამისხლტა ოფლით დაპოხილი, კიდევ ერთი სილა და ვიგრძენი, რომ ცხვირიდან სისხლი წამსკდა.

ვიდრე ცხვირიდან წამსკდარ სისხლს ვიხოცავდი, იანგულიმ კიდევ ერთი სილა მაჭამა და ზუსტად ისე დავჯექი მიწაზე, როგორც გუშინ იანგული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იანგულის გუშინ არ შეეძლო ადგომა, მე კი შემეძლო, მაგრამ ჩემს ადგომას ფასი აღარ ჰქონდა - ჩხუბი წაგებული იყო.

იანგულიმ ერთხანს მაცალა და რომ აღარ ავდექი, ხალათის ჩაცმა დაიწყო, და მე ისევ წავიკითხე მის მკერდზე ამოსვირინგებული HELLADOS.

- ხვალამდის! - მითხრა იანგულიმ და მხოლოდ ახლა შევამჩნიე, ზედა ტუჩი შესივებული ჰქონდა და მარჯვენა წარბი გახეთქილი.

- ხვალამდის! - ვუპასუხე და წამოვდექი.

იანგული და პეტია მიწაყრილზე ავიდნენ და რკინიგზის ლიანდაგს გაჰყვნენ. მე და კოკა ხიდის ქვეშ დავრჩით.

- არა უშავს, მაგასაც ბევრი მოხვდა! - დამამშვიდა კოკამ.

- სულერთია, ხვალ ვცემ! - ვთქი მე.

- ნეტავი სარკეში ჩაგახედა! - თქვა კოკამ.

- ძალიან ვარ დასიებული? - ვკითხე.

- ბულკივით! - მიპასუხა და თვალი ამარიდა.

- მაგის დედა ვატირე!

ამჯერად დეიდაჩემს არ შეევცხადებივარ. ცივი კომპრესები დამადო სახეზე. დილით კი იანგულის მამას, ხრისტოს, ზუსტად ისე დააფშვნა მაწვნის ქილა თავზე, როგორც იანგულიმ მე ვიოლინო და ციხეში ამოლპობას დაჰპირდა მის გათახსირებულ და ხულიგან შვილს საბჭოთა პიონერის ასე უღმერთოდ ცემისათვის.

* * *

მეორე დღეს სკოლაში არ წავსულვარ, ჭრილობებს ვიშუშებდი. მესამე დღეს რკინიგზის გადასასვლელი სავსე იყო უბნელი ბიჭებით. მე და კოკა რომ მივედით, სტვენით შეგვხვდნენ.

- სკრიპკა, გაზიარეს?

- სანამ არ მოგკლავს, არ მოეშვები?!

- შენ აქ თბილისი ხომ არ გგონია?!

მთელმა ბირჟამ იცოდა უკვე ჩემი ცემის ამბავი.

ყველა აქ იყო იანგულის გარდა. არავისთვის ხმა არ გამეცია, ჩანთა ფილაქანზე დავაგდე, ზედ დავჯექი და იანგულის მოსვლას დველოდე.

- იანგული მოდის! - დაიძახა უცებ ვიღაცამ.

- ახლა დაიწყება ცირკი! - თქვა მეორემ.

- გამარჯობათ! - თქვა საერთო სალამი იანგულიმ და მე რომ დამინახა ფილაქანზე ჩამომჯდარი, გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა.

- იანგული, თავისი ფეხით მოვიდა ბულკი, მიდი ერთი, შეჭამე! - უთხრა პეტიამ.

- კარაქს წაუსვამ, იანგული, თუ ხიზილალას?!

იანგულიმ ლაზღანდარებს ყურადღება არ მიაქცია, ტრიბუნივით ასწია ხელი, ბრბო დააწყნარა და ისტორიული სიტყვით მიმართა თავის ხალხს, ისე, როგორც ტომის ბელადებს სჩვევიათ ხოლმე.

- ბიჭებო! - დაიწყო მან. - ეს მე მოგმართავთ თქვენ, ვენეციის გზატკეცილის ტომის თავისუფალ შვილებს, მე, თქვენს მიერ არჩეული ბელადი, იანგული ალექსანდრიდი! თქვენს წინაშე დგანან მკრთალსახიანი თბილისელი ჰარიფი და მისი დეიდაშვილი, ჩვენი ტომის გამყიდველი და სამშობლოს მოღალატე, წკვინტლიანი კოკა. ამ მკრთალსახიან გადამთიელს, იმის ნაცვლად, რომ ესარგებლა ჩვენი სტუმართმოყვარეობით, დიდსულოვნებითა და სულგრძელებით, სურს მიისაკუთროს ჩვენი კურთხეული მიწა, ზღვა, მდინარე, ოქრო, ვერცხლი, საძოვარი და გაზონები...

- მორჩი ლაზღანდარობას! - შევაწყვეტინე სიტყვა. - უნდა მეჩხუბო!

იანგული შეჩერდა და თვალი თვალში გამიყარა.

- მე თქვენ გაჩვენებთ ახლა, როგორ კეთდება მკრთალსახიანებისაგან კატლეტი... - განაგრძო ისევ.

- ნუ მაიმუნობ, დავიწყოთ!

- შენ ეი, წკვინტლიანო, - მიუბრუნდა იგი კოკას, - წადი, სასწრაფოში დარეკე, უთხარი ხუთ წუთში მოვიდნენ და შენი დაინვალიდებული დეიდაშვილი წაიყვანონ! - ბიჭებში ხარხარი ატყდა.

- დღეს შენ მოგიწევს სასწრაფოთო წაყვანა. - ვუთხარი მე და ავდექი. ბიჭებმა წრე შეკრეს. იანგულიმ ისევ რაღაც უთხრა პეტიას ბერძნულად, პეტია შეიშმუშნა და ქამრის შეხსნა დაიწყო. განცვიფრებული ვუყურებდი პეტიას თითის სიმსხო ღვედის ქამარს - „ნუთუ ქამრით უნდა მცემოს?“ - გამიელვა თავში. პეტიამ ქამარი გადასცა იანგულის და ისევ წრეში ჩადგა. იანგულიმ ამაყად მიმოიხედა გარშემო და საჯაროდ განაცხადა:

- მე მკრთალსახიანს ორი ხელით არ ვეჩხუბები. იგი დღეს ცალი ხელით უნდა გაილახოს. პეტია, გამოდი და შემიკარი ხელი!

ბიჭებში აღტაცების ყიჟინა გაისმა. მე ელდა მეცა. იანგულიმ გაჭიმული მარცხენა ხელი თეძოზე მიიდო. პეტია მოვიდა, ქამარი წელზე შემოარტყა, ისე რომ ის მარცხენა ხელი შიგ მოაყოლა, და რაც ძალი და ღონე მქონდა გაუკრა.

- ნუ არტისტობ, ხელი ამოიღე და ისე ვიჩხუბოთ! - ვუთხარი დაკარგული ხმით.

- მე შენთან ორი ხელით ჩხუბს არ ვიკადრებ, - თქვა იანგულიმ. ბიჭებს კვლავ აღტაცების ყიჟინა აღმოხდათ.

- მაშინ არ მინდა! - ვთქვი მე და ჩანთა ავიღე.

- გეშინია? - მკითხა იანგულიმ.

- კი არ მეშინია, არ მინდა. ხელი ამოიღე და ისედაც გცემ!

- მეჩხუბე, თორემ გცემ! - თქვა გაღიზიანებით იანგულიმ.

- მიდი, დასვი! - წამჩურჩულა კოკამ. მე ჯიუტად გავიქნიე თავი. მაშინ იანგული მომიახლოვდა და სილა გამაწნა. სახეზე ისე წამეკიდა ცეცხლი, თითქოს მდუღარე შემასხესო, მაგრამ ხელი არ შევუბრუნე. იანგულიმ მეორედ გამაწნა სილა, მერე მესამედ, შევატყვე, გამეტებით არ მირტყამდა, ეს უფრო გასილაქებას ჰგავდა, ვიდრე ჩხუბს. და მაინც რომ არ შევუბრუნე ხელი, იანგული გაჩერდა. მე შევტრიალდი და წრიდან გავედი, ბიჭები უხმოდ ჩამომეცალნენ.

- ეე, სკრიპკა! - მომესმა ზურგს უკან პეტიას ხმა, და უცებ გავიგონე გაშლილი ხელის საშინელი ლაწანი: ეს უკვე პეტიას ყბაზე გაღებული იანგულის ხელის ხმა იყო.

უკან არ მიმიხედავს, რადგან ვტიროდი და არ მინდოდა ბიჭებს ჩემი ცრემლი დაენახათ. ერთს კი მივხვდი - დღევანდელი ჩხუბი იანგულიმ წააგო.

* * *

მეორე დღეს, სისხამ დილით, ალექსანდრიდების ეზოს ჭიშკართან ვიდექი. ხრისტო ალექსანდრიდი ვირს კაზმავდა პატარა თავლასთან. იანგული ეხმარებოდა, რომ დამინახა, ვირი მიატოვა და ჭიშკარს მოადგა.

- საჩივლელად მოხვედი? - მკითხა მან და თვალი მამისკენ გააპარა. მამამისი ზურგშექცევით იდგა და ვერ მხედავდა.

- საჩხუბრად! - ვუპასუხე მე.

- ვინ არის? - დაუძახა მამამისმა, ისე რომ არ მოუხედავს.

- ამხანაგია ჩემი.

- იანგულის არ სცალია, ბაზარში მიდის! - მოიხედა ხრისტომ. უცებ მიცნო და გაუკვირდა: - შერიგდით?

- შევრიგდით! - ვუპასუხე მე.

- ეგრე არ ჯობია? ორივე კარგი ბიჭები ხართ! - გაუხარდა ხრისტოს და ეზოში შემიპატიჟა.

- მეჩქარება, - ვუპასუხე, მერე იანგულის მივუბრუნდი: - როდის დაბრუნდები ბაზრიდან?

- საღამოს!

- რკინიგზის ხიდის ქვეშ დაგელოდები! - ვუთხარი და წავედი.

* * *

საღამოს ხიდის ქვეშ ველოდი იანგულის. იგი მოვიდა. ხმა არ გაუცია ჩემთვის, ვირი ადამიების ღობეს მიაბა, ხალათი გაიხადა, ვირის კეხზე გადაჭიდა და მე კვლავ წავიკითხე მის გაშლილ მკერდზე მაგიური სიტყვა HELLADOS.

დღეს ჩვენი ჩხუბის მოწმე მხოლოდ ვირი იყო.

ჩხუბი ამჯერად უფრო დიდხანს გაგრძელდა. პირველმა იანგულიმ დამარტყა, როგორც არ ვეცადე, მაგრამ მაინც დამასწრო. არ წავქცეულვარ, მხოლოდ წავიფორთხილე. მეორე რომ მომიქნია, თავი უკან გადავწიე და მისმა გაშლილმა ხელმა შუბლით ჩამიქროლა ცხვირწინ. მოქნეული, ისე ძლიერად იყო, იანგულიმ თავი ვერ შეიკავა, ინერციამ ოდნავ შეატრიალა და ახლა იგი გვერდულად იდგა ჩემს წინ, მისი ყბა ზუსტად ისე დაეკიდა ჰაერში, როგორც მაშინ, პირველი ჩხუბის დროს; და ვიდრე კვლავ შემოტრიალდებოდა, რაც ძალი და ღონე მქონდა, მუშტი ყბაში მოვდე. იანგული სახით სილაში ჩაემხო. ერთხანს გაუნძრევლად იდო. არ მეგონა, თუ ადგებოდა, მაგრამ უცებ წამოხტა და საოცარი სისწრაფით გამოქანდა ჩემსკენ. მისი გაშლილი ხელი და ჩემი მუშტი ერთდროულად მოხვდა მიზანს, მე დავრეტიანდი, ცალ მუხლზე დავიჩოქე და უნებურად სახეზე ხელები ავიფარე. ხელები რომ მოვიცილე და თვალი გავახილე, იანგული ზუსტად ისეთივე პოზაში იყო ჩაჩოქილი, როგორც მე, და გახეთქილი ტუჩიდან სისხლს იხოცავდა. ხელებზე დავიხედე და მივხვდი, რომ მეც მყონავდა სისხლი ცხვირიდან. თავს ძალა დავატანე და წამოვდექი. წამოდგა იანგულიც.

დიდხანს ვუცქეროდით ერთმანეთს უხმოდ. მე მისი მძიმე და ღრმა სუნთქვა მესმოდა, ალბათ იმას - ჩემი. ყოველ წუთს ველოდი თავდასხმას. მაგრამ საოცარი ის იყო, ჩხუბის აღარც ხალისი მქონდა, აღარც სურვილი. რაღაც შინაგანი კმაყოფილება დამეუფლა. მივხვდი, რომ დღეიდან იანგული ველარასოდეს დამჩაგრავდა.

- გვეყოფა! - თქვა იანგულიმ და მკლავები ჩემოუშვა.

- გვეყოფა! - ვთქვი მეც და შვებით ამოვისუნთქე. ოღონდ ხვალ ბიჭებთან უნდა ვიჩხუბოთ! - დავაყოლე ყოველი შემთხვევისთვის.

- არ გინდა, ბიჭებს მე ვეტყვი, რომ მაგარი ხარ, ოღონდ ყოჩობას ვერ დაგითმობ. - ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა მან.

- არც მინდა! - ვთქვი მე.

- თუ გინდა, მეორე ყოჩი იყავი! - შემომთავაზა მოადგილეობა.

- არ მინდა, შენ შენთვის, მე ჩემთვის! - ვიუარე ისევ, შემოვტრიალდი და წამოვედი.

- მოიცა! - მითხრა მან. მე გავჩერდი. - ასე არ ივარგებს. ყოველდღე ხომ არ ვიჩხუბებთ, მოდი ხვალიდან ვაგინოთ ერთმანეთს, ვინც აჯობებს, იმის იყოს!

- იმისი იყოს! - დავთანხმდი.

* * *

მეორე დღეს მე და იანგული კვლავ ბიჭების წრეში ვიდექით და უშვერი სიტყვებით ვამკობდით ერთმანეთს.

- ჯემალ, ვირისთავო!

- იანგული, ბერძენო მემწვანილე!

- თბილისელო სირისტიანო!

- ლაწირაკო!

- წვინტლიანო!

- ვირის მწყემსო!

- ჩოჩორო!

- მუავე კიტრო!

- კამბოლა!

- ღორჯო!

- მედუზა!

- კრეტინო!

- პაგანინო!

სალანძღავი სიტყვების არსენალი შეუმჩნევლად შემომელია და გავჩერდი, იანგული მელოდებოდა, რადგან ჩემი ჯერი იყო.

- მიდი, თორემ წააგე! - იდაყვი გამკრა კოკამ.

- გამითავდა! - ვუთხარი მე.

- დედა შეაგინე! - შემახსენა მან.

- დედის გინება არ მოდის.

- „დედა ვატირე“ რა გინებაა?

- ეგ რუსულად არ ვიცი!

- ქართულად შეაგინე, ვერ გაიგებს! - არ მომეშვა კოკა და შემაცდინა.

- იანგული, შენი დედა ვატირე! - ვთქვი ქართულად და პასუხის მოლოდინში გული შემეკუმშა.

- იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ! - მიპასუხა იანგულიმ. მივხვდი, რომ ისიც დედას მაგინებდა, მაგრამ ისე ლამაზად ამბობდა, ავე-მარიასავით მეყურებოდა და გინება გავიმეორე:

- შენი დედა ვატირე, იანგული!

- იმანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ! - გაიმეორა მან სიმღერასავით.

* * *

ასე გრძელდებოდა მთელი ნახევარი წელიწადი, მერე ვნებები დაცხრა. მე და იანგულიმ გინებათა არსენალი თითო ყვე-

ELSU

ლაზე მნიშვნელოვან გინებამდე დავიყვანეთ და შეხვედრისას თითქოს ვესალმებოდით, ხელის აწევით გავძახოდით ერთმანეთს“

მე: - შენი დედა ვატირე, იანგული.

ის: - იმანა სუ ინე პროსტიკასა ინკა, ჯემალ!

* * *

მზიანი დღე იყო. მე და კოკა სკოლიდან ვბრუნდებოდით. რკინიგზის გადასასვლელთან რომ მივედით, იანგული, როგორც ყოველთვის, უბნის ბიჭებს პაჟარობანას ეთამაშებოდა. დამინახა თუ არა, თამაშს თავი დაანება და ჩემსკენ წამოვიდა, არ დამასწროს-მეთქი და გინება გზაზე შევაგებე.

- იანგული, შენი დედა ვატირე! - იანგული მონუსხულივით შედგა და თვალებში შემომხედა. დიდხანს ველოდი პასუხს, მაგრამ იანგული ხმას არ იღებდა.

- შენი დედა ვატირე, იანგული! - გავიმეორე მე.

იანგულიმ თავი დახარა, შეტრიალდა და ასე თავდახრილი ნელი ნაბიჯით წავიდა. მე გაკვირვებული ვუქცეროდი სახლისაკენ მიმავალ იანგულის.

- ნახე, როგორ გაიძურწა, გათავდა მაგის ყოჩობა! - ვუთხარი კოკას.

- გათავდა კი არა, ახლა დაიწყო! - მიპასუხა კოკამ და ცალყბად გაიღიმა.

- როგორ?

- გაჯობა და ისე.

- მაშ, რატომ არ შემაგინა?

- გუშინ მკითხა, ჯემალის დედა სად არისო. მე ვუთხარი, აღარ არის-მეთქი, იმიტომ არ შეგაგინა, - თქვა კოკამ.

ელდა მეცა.

- რატომ გუშინ არ მითხარი, ლაწირაკო!

- მე რა ვიცოდი!.. - თავი ჩაღუნა კოკამ.

- იანგული! - დავუძახე მე, მაგრამ იანგული უკვე შორს იყო და ან ვერ გაიგონა ჩემი ძახილი, ან გაიგონა და არ მოიხედა.

იმ დღიდან იგი ერთი ათად გაიზარდა ჩემს თვალში. ჩვენს შორის სამუდამოდ დამთავრდა ომი და ქიშპობა, მაგრამ მე და აინგული დიდი მეგობრები მაინც არ გავმხდარვართ. შეხვედრისას უბრალოდ ხელის აწევითა და ღიმილით ვესალმებოდით ერთმანეთს და თუ მამამისის მაგივრად რძეს ან მაწონს მოგვიტანდა ხოლმე ვირით, მაშინ თუ გავესაუბრებოდით ერთმანეთს უნებურად ან რძის და მაწონის ფასის, ან მამამისის ან მწვანილის ან ვირის თაობაზე. ეს იყო და ეს.

* * *

ერთ დღეს იანგულიმ რძე მოიტანა, მე ეზოში შევეგებე, რომ შეეხედე, ძლივს ვიცანი, ისე ჰქონდა სახე შეშუპებული და თვალის უპეები ჩალურჯებული.

- რა მოგივიდა? - ვკითხე გაკვირვებულმა.

წარმოუდგენელი იყო, იანგული ასე ეცემა უბანში ვინმეს, აშკარად მასზე უფროსის ნახელავი იყო.

- არაფერი! - მიპასუხა მან და თვალი ამარიდა.

- მაგარი ნაცემი ხარ! - ვუთხარი მე.

- არა უშავს! - თქვა მან და გაიღიმა.

- თქვი, ვინ არის, თუ მარტო ვერ მოერიე, მე წამოგყვები! - ვუთხარი. იანგულიმ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

- ვირი აქ დააბი და ახლავე წავიდეთ, - არ მოვეშვი მე. რძიანი ქილა კიბეზე დავდგი და გასაყოლად მოვემზადე.

- არ გინდა, ვერ მოვერევით! - მწარედ გაიღიმა მან.

- ვინ? მე და შენ ვერ მოვერევით? - გავიქაჩე მე.

- ვერც მე და შენ, და ვერც მთელი

Hellados

ვენეციის გზატკეცილი...

- ასეთი ვინ არის? - შევცბი.

- მამაჩემი! - თქვა იანგულიმ.

- მამაშენი?

- ჰო, მამაჩემი.

- ასე როგორ გაგიმეტა? - ვკითხე გაკვირვებულმა და შეშუპებულ ლოყაზე ხელი დავადე.

- ჩემი ბრალია!

- რა დააშავე?

- სამ დღეში სოხუმში საბერძნეთიდან გემი ჩამოდის. ჩვენი თემის ბერძნები ელადაში ბრუნდებიან. მამაჩემიც... - იანგული გაჩუმდა.

- მერე? - ვკითხე მე

- მერე არაფერი, მე არ მივყვები, არ მინდა წასვლა... მამა ამბობს, რომ იქ ჩვენი სამშობლოა, მშობლიური მიწა, დიდებული ელადა... მამა-პაპათა სისხლი გვეძახის და მოვალენი ვართ წავიდეთო...

- მერედა რატომ არ მიყვები? - გულწრფელად გამიკვირდა მე.

იანგული დიდხანს სდუმდა თავჩაღუნული და ვირს აცქვეტილ ყურებს უუთოვებდა. ყურები იანგულის ხელის ყოველ დასმაზე მორჩილად წვებოდნენ, მაგრამ შემდეგ უცნაური სიჯიუტით კვლავ წამოხტებოდნენ და ცქვიტად დგებოდნენ. თითქოს ჩვენს საუბარს უგდებდნენ ყურს და ეშინოდათ, რაიმე სიტყვა არ გამოგვრჩესო.

- როგორ აგიხსნა... - თქვა ბოლოს იანგულიმ. - მე ჩემი დედა არ მახსოვს, მამა კი მთელი დღე ან ბოსტანშია, ან საშოვარზე. მე ვენეციის გზატკეცილზე გავიზარდე, ქუჩაში... ჩემი ელადა, ჩემი სამშობლო სოხუმია, ვენეციის გზატკეცილი, ჩალბაში, კოკა, პეტია, კურლიკა, ფემა... შავი ზღვა, ჩემი ვირი, რკინიგზის ხიდი... - იანგული ცოტათი შეყოვნდა. მერე ისევ განაგრძო: - მიდა... მიდა და შენც... - სახელი „მიდა“ იანგულიმ პირველად ახსენა ჩემთან, მაგრამ არ მიკითხავს, მიდა ვინ არის-მეთქი, რადგან კოკასაგან ვიცოდი: მიდა აფხაზზე გათხოვილი ბერძენი ქალიშვილი იყო. მიდაზე ლამაზი გოგო სოხუმში არ დადიოდა და ეს გოგო იანგულის უყვარდა.

- გაიგე ახლა? - მკითხა იანგულიმ და თვალებში შემომხედა. მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ასეთი სიტყვები ჩემს სიცოცხლეში პირველად მესმოდა.

- კი მაგრამ ეგ რაღაა? - ვკითხე. მკერდზე ხალათი გადავუწიე და ლურჯად ამოსვირინგებული HELLADOS წავიკითხე ხმამაღლა.

- ეს ამოსვირინგებული სიტყვაა, ჯემალო. სამშობლო უფრო ღრმადაა. უფრო შიგნით...- თქვა იანგულიმ და ხელი მკერდზე დაიდო. მე ყელში გაჩხერილი მუშტისოდენა ბურთი გადავყლაპე და ვიდრე რამეს ვუპასუხებდი, იანგულიმ ვირს ხელი მოჰკიდა, აღვირი მოქაჩა და ეზოდან გავიდა.

* * *

მესამე დღეს, სისხამ დილით, იანგული ჩვენს ეზოში იდგა. თან უებლო ვირი მოეყვანა.

- მამამ ყველაფერი გაყიდა: ძროხა, სახლი, კარი. ვირს არავინ არ ყიდულობს. თქვენი ხალხი ვირის ყოლას სამარცხვინოდ თვლის, ვირი კი ძალიან საყვარელი ცხოველია... მუშა, უწყინარი... ქუჩაში ხომ არ დავტოვებ, ან ვის დავუტოვო, ბერძნები ყველა მივდივართ... ძალიან ადვილი მოსავლელია, ერთი მუჭა ბალახი ჰყოფნის... ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, თან ვირს ყელზე უსვამდა ხელს და ცრემლებს ყლაპავდა.

- მიდიხარ?

- მივდივარ. ხომ დაიტოვებ?

- დავიტოვებ!

- არ გააგდო სახლიდან!

- არა, იანგული!

- ნინა ივანოვნას სთხოვე, არ გააგდოს!

- ვთხოვ, იანგული!

- კოკა მოგეხმარება, ამის მოვლას რა უნდა...

- არაფერი, იანგული.

- სულ ერთი მუჭა ბალახი ჰყოფნის.

- ჰო, იანგული!

- აპოლონი ჰქვია!

- ვიცი, იანგული!

- მოეფერე ხოლმე!

- კი, იანგული!

- წავედი ახლა, გემი საღამოს გადის!

- წადი, იანგული.

- მშვიდობით, ჯემალო!

- პორტში მოვალ, იანგული!

იანგული გადამეხვია, დიდხანს ვყავდი გულში ჩაკრული. მერე უცებ ხელი გამიშვა და გაიქცა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. გაიქცა უკანმოუხედავად, ისე, თითქოს რაღაც საშინელსა და შემზარავს გაურბოდა.

* * *

საღამოს მთელი სოხუმი პორტში იყო გამოსული.

იყო ბევრი ყვავილები, ორკესტრიც, ტაშ-ფანდურიც, ცხვირსახოცების ფრიალიც, მადლობა, ნახვამდის, მშვიდობით, მაგრამ ყველაფერზე მეტი მაინც ცრემლი იყო.

სოხუმის მოქალაქენი თავისი სხეულის ნაწილს, თავის სისხლს და ხორცს - ბერძნებს აცილებდნენ. ბერძნები უკვე ასულიყვნენ გემზე. ღრუბელივით თეთრ და ქათქათა „პოსეიდონზე“ და იქიდან გვიყვიროდნენ ხელების ქნევით რაღაცას, ზოგს ბერძნულად, ზოგს რუსულად, ზოგს აფხაზურად, ზოგს სომხურად, ზოგს ქართულად... უზარმაზარი თეთრი „პოსეიდონი“ კიჩოთი ნაპირისკენ იდგა. ზღვა ოდნავ ღელავდა და გემი ისე ირწეოდა და იქნევდა თავს, თითქოს თვითონაც გვეშვიდობებოდა.

მე სხვა ბავშვებთან ერთად პირსის მოაჯირს მიჭყლეტილი, თვალებს ვაცეცებდი და გემის ქიმზე გადმოფენილ ბერძნებში იანგულის დავეძებდი. უცებ თვალი მოვკარი. მას კვლავ შავი სატინის ხალათი ეცვა. მკერდზე გაღეღილი. იანგული მამამისის წინ იდგა და მომეჩვენა, რომ მამამისს ხელით ეჭირა.

- იანგული! - იანგული! - ვიკივლე მე და ხელების ქნევა დავიწყე. იგი დიდხანს, დიდხანს დამეძებდა ბრბოში, ბოლოს ეტყობა ხმით მომაგნო და რომ დამინახა, ორივე ხელი მაღლა აღმართა.

- იანგული, იანგული, მშვიდობით!

- ჯემალო, ეღო აღაპო ი მანა სუ!

ჯემალო, მე მიყვარს დედაშენი! - მეძახდა იგი ბერძნულად და მე კვლავ მომეჩვენა, რომ იგი მღეროდა, მე ვერ გავუძელი მის ხმასა და ცქერას, გემს ზურგი შევაქციე და ატირებული შინ წამოვედი.

* * *

მესამე დღეს, მდინარე კელასურის შესართავთან, ზღვამ ახალგაზრდა ბიჭის სხეული გამორიყა. უფრო სწორად, იგი სტარავერმა მებადურებმა გამოიტანეს და როდესაც სილაზე დაასვენეს, იქვე მობანავე ბიჭებს დაგვიძახეს გვამის ამოსაცნობად. ბიჭს სახე წაშლილი ჰქონდა. ვერავინ ვერ იცნო იგი. მხოლოდ მე, მე ვიცანი, როდესაც თავზარდაცემულმა მის გაშლილ მკერდზე ლურჯად ამოსვირინგებული HELLADOS წავიკითხე. უკანმოუხედავად და სულმოუთქმელად გავირბინე პლაჟი, სანაპირო, რკინიგზის ლიანდაგი, ვენეციის გზატკეცილი და შეშლილივით შევვარდი სახლში...

- რა მოგივიდა, ბიჭო? - მკითხა გულამოვარდნილს შეშინებულმა დეიდაჩემმა.

- დეიდა ნინა... იანგული დაბრუნდა... - ვუთხარი მე. მერე დავიჩოქე მის წინ, კალთაში თავი ჩავუდე და მწარედ ავტირდი.

ინტერვიუ პრემიერ ჟვანიას ძმასთან

მე-3 გვერდიდან >>>>

გარკვეული ფაქტები, რომ ხელისუფლების კონკრეტული პირები (მე ჯერ მათ გვარებს არ დავასახელებ), ავრცელებენ ბინძურ ჭორებს...

- ალბათ, ზოგიერთი მათგანი ბატონი ზურაბის მეგობრებადაც აცხადებდა თავს გარკვეული პერიოდის განმავლობაში?

- ვერ გეტყვით, ვინ როგორ აცხადებდა. ჭორების მანქანა ძალიან კარგად მუშაობს, როგორც ყოველთვის საქართველოში და მოდის კონკრეტული პირების შესახებ ინფორმაცია. გამოძიებას თუ გაუჩნდა ამ პირების მიმართ შეკითხვები, კარგი იქნება. ერთი რამ შემიძლია, ვთქვა, რომ ეს არ არის ხელისუფლების შეკვეთილი მკვლელობა, თუმცა ზურას ჰყავდა ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები განაწყენებული.

- რუსულ მედიაში ირაკლი ოქრუაშვილზე გაკეთდა მინიშნება იმის გამო, რომ მასთან ჰქონდა ძალიან აქტიურად დაპირისპირება წინა პერიოდში. რას იტყვით ამის შესახებ.

- მე კიდევ გეუბნებით, რომ ზურას ჰყავდა საკმაოდ ბევრი არაკეთილისმოსურნე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანი მის მოკვლას გეგმავდა. ეს სულ სხვადასხვა რაღაცაა. შეიძლება, პოლიტიკური არაკეთილისმოსურნე იყო, ეს კი ცოტა სხვა რაღაცაა. ვინ შეიძლებოდა, ყოფილიყო ამის უკან, მე ამაზე ნამდვილად ვერ ვისაუბრებ, სანამ არ მექნება რაიმე ხელშესახები დოკუმენტი.

- პრეზიდენტი თუ დაინტერესდა თქვენს მიერ წარმოებული გამოძიების შედეგებით. ბატონი გია ბარამიძე, მე მგონი, ერთადერთია, ვინც თქვენთან ერთად აგრძელებს ამ გამოძიებას?

- გია ბარამიძე ერთადერთი არ არის. ზურას მეგობრები და თანაგუნდელები ძალიან არიან დაინტერესებულნი სიმართლის გარკვევით და გვერდში გვიდგანან. პრეზიდენტს ჩემთან და დედაჩემთან კონტაქტი არ ჰქონია, მაგრამ ნინოს რამდენჯერმე ესაუბრა. რამდენადაც ვიცი, გამოძიების თემაზე არ ყოფილა საუბარი.

- გავრცელდა ხმები, რომ ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრები აპირებენ საზღვარგარეთ საცხოვრებლად წასვლას...

- არა, მე ამის საფუძველს ვერ ვხედავ. წასვლას ნამდვილად არ ვაპირებთ თუნდაც იმიტომ, რომ გაჭირვების პერიოდში ძალიან ბევრი სიკეთე დავინახეთ ხალხის მხრიდან. უამრავი ადამიანი დაგვიდგა მხარში. მთელი საზოგადოებისაგან ვგრძნობდით მხარდაჭერას. ალბათ, თითო-ოროლა გარეწარი ყველგან არის, მაგრამ ხალხი ნამდვილად ღირსეულად მოიქცა. მთელმა საზოგადოებამ გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი ტკივილი. მე დავინახე, როგორ მოდიოდნენ დასაფლავებაზე სრულიად უცნობი ადამიანები და გულწრფელად ამდენი ადამიანი ტკივილს გამოხატავდა. ეს დიდი ნუგეშია ჩვენთვის, რომ მან მოახერხა ამდენ ხალხში სიყვარულის დათესვა. ისიც დიდი ნუგეში იყო, რომ ხალხი, ყველაფრისდა მიუხედავად, კარგად არჩევს ტყუილს და სიმართლეს. ბევრი ცდილობდა, ზურა მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ლაფში ამოეთხვარათ, მაგრამ ხალხმა მაინც სხვანაირად განსაჯა.

ესაუბრა **ელისო ჩაფიძე**

ყურადღება

Kavkas Dance Ensemble

კავკასიურ ცეკვათა ანსამბლი

სამუშაოდ იწვევს ბრუკლინში (და მის გარშემო) მცხოვრებ ქართული ხალხური ცეკვების პროფესიონალ მოცეკვავეებს!

ჯუჯოლები უნდა დაკვიანდნენ

ეკიდან ოთხამდე: 1-718-668-1086

იკითხეთ: ედამ დაღესტანი

მკითხველის გვერდი

ელდარ გაბუნია

ელდარ გაბუნიას ემიგრანტულ პოეზიას უკვე იცნობს ჩვენი მკითხველი. ამჟამად სააღდგომოდ, ვბეჭდავთ მის ახალ ლექსს, მოსაგონარს ამქვეყნიდან წასული ყველა მისი თანამოქალაქე კოლორიტისა.

და თუმცა ჩემი გამგზავრება ჰგავდა წვალებას, სიკვდილი მაინც არ დაარქვათ გარდაცვალებას! **რ. თაბუკაშვილი**

სიზმარი ნიუ-იორკში

ისევ მესიზმრა ჩემი ქალაქი,
და ამედევნა ღამის ფიქრები,
დაღლილი გული დამაქვს სხეულით,
თავზე მაცვივა ტყემლის ფიფქები.
ჩემი ქალაქის სურნელი მათრობს,
გაბაშვილიდან დაბლა ვეშვები,
დაბნელდა, მაგრამ მაინც ნათლად ჩანს
ოქროს ჩარდახი და თეთრი ქვები.
იმ ღამით ქალაქს სტუმრები ჰყავდა,
მეც შევერიე იმ ღამის ლანდებს,
მინდოდა ყველა გულში ჩამეკრა,
მე ეს სურვილი დიდხანს თან დამყვებს.
ძალიან ბევრის სახე ვიცანი,
ბევრის კი, ალბათ, დამვიწყებია,
ყველა ღიმილით შემომეგება,
კვლავ ერთად ყოფნა მოგვნატრებია!
მთელი ქალაქი ორს აცილებდა,
ზურაბი, მიშა ადიან ტრაპზე,
ნანატრ ევროპის თასს ჩამოვიტანთ
და აქვე დავდგამთ ჩვენს მოედანზე.
კროვის ქუჩას მიჰყვება ორნი,
თან ირწევიან, როგორცა ნავი,
ერთი - ოთარი მეობა არი,
და მამფორიას ლამაზი ტანი.
მოუსვენრობამ ისევ შემიპყრო,
ისევ მაწვალებს ღამის სიზმარი,
ვხედავ მიხეილ ჭიჭინაძეა,
აფთიაქის წინ ტკბილ-მოუბარი.
თბილისის ქუჩას ფეხით ავყევი,
და ალბათ მალე ვინმეს ვიპოვი,
კოკი ბაქრაძე მანქანას მართავს,
გვერდს კი უმშვენებს მას ფილიპოვი.
სუფრასთან ისევ სტუმრები ჩანან,
სუფრის თამადა, - ფეხზე დამდგარი,
ეს კაცი სოსო ხარაბაძეა,
მიმინოსავით ცერზე შემდგარი.
რამხელა გული ქონია იმ კაცს,
რამდენი თასი ეშხით გაცალა,
რამდენ სტუმარსაც გაუთბო გული,
ბოლო სასმისიც მათთვის დასცალა.
დავდივარ კრძალვით, ვეღარ ვისვენებ,
გულში იმედის სხივით გამთბარი,
ვხედავ, ოთარი ბრეგაძე არის -
ფალიაშვილის ძეგლს შემცქერალი.
იქვე მეგილოს ღიღინი ისმის,
ჰეყოც აცეკვდა, მკლავი გაშალა,
კაკომ კი ხისკოს დიდ მაგიდაზე,
ალაგიორი კიით გაშალა.
ბაღის კიდეს კი ყორანა შვენის,
და მარკოზიჩის გიგანტი ტანი,
ეს ხომ ამური ფხაკაძე არის,
საპროექტოს წინ სკამზე დამჯდარი.
თითქოს გამითბა გულში რაღაცა,
კაცი გამოჩნდა ჭადრების ჩრდილში,
მიღიმის ომარ ხეცურიანი,
ერთად ვყოფილვართ ჩვენ ხშირად ლხინში.
და ირგვლივ ისევ ღამის სიბნელე,
წამით შევჩერდი, სკოლის ფასადთან,
გიგლა ჩხეიძის ხმა შემომესმა
რიონის პირას იმ დიდ ჭადართან.
ეს კი ილოა სახელოსნოს წინ,
ღიმილიანი სახით რომ მიხმობს,
თითო ჭიქაო გადავკრათ ერთად,
და მაგიდასთან ადგილს მეც მითმობს.
თემურიც ვნახე ლორთქიფანიძე,
ბევრის ძმაკაცი და მეგობარი,
ბიჭებთან იდგა, ჩემთან მოვიდა,
და გულში იგი მეც ჩავიკარი.
შემომეფეთა ჩვენი მურთაზიც,
ლურჯ თვალებს ქონდა სევდა მომდგარი,
დათიაშვილი სადღაც ჩქარობდა,
და საუბარიც ვერ მოვასწარი.
ანზორსაც ვხედავ, გიასთან ერთად,
ზრდილობიანს და თავაზიანს,
ჩოგოვაძეებს ყველა პატივს სცემს,
კეთილ გულიანს და სამართლიანს,
ბევრი ვეძებე ჩემი ნოდარი,
კოკოჩაშვილის ბიჭი ამაყი,
ვეღარც დემური გრძელიძე ვნახე,
მთელ ქალაქს მარტო წრე რომ დაჯარტყი.
ვერც შოთა ვნახე, მაღლაკელიძე,
ვერც ზურაბს შევხვდი თავის ირაკლით,
ვერ მოვეფერე ჩიკვაიძეებს,
თვალიც ვერ მოვკარ სულ ერთი წამით.
ვერც ზურა ვნახე კუხიანიძე,
აღარც ტუსუ ჩანს ჭაბუკიანი,
აღარც ვალიკო ჩიტიანია -
ქუჩის კუთხეში ამაყად მდგარი.
ვისაც ვეძებდი, ყველა ვერ ვნახე,
გამოღვიძებამ აღარც მაცალა,
გაკვირვებული კვლავ დავრჩი სიზმრით,
სოსომ ეს ყანწი როგორ დაცალა?!
თურმე, რამდენის ნახვას ვნატრობდი,
თურმე, რამდენი გულს დამკლებია,
თურმე, რამდენის იმ გზაზე წასვლას,
ამ ლექსის მთქმელი ვერ დასწრებია.

* * * **გამხელილი სევდა**

ღმერთო, მამყოფე კარგად,
ღმერთო, მომეცი ძალა,
ღმერთო ნუ მომკლავ მალე,
შვილების უნახავად.
მე რად მინდა უცხო მხარე,
დამაბრუნე სახლში მალე,
ჩემი ოდა მირჩევნიან,
ჩემი ეზოს ღობე-ყორე.
ჩემო თბილისო, შენგან წასული,
შენზედ უზომოდ შეყვარებული,
რომ დავბრუნდები, უმალ შენს მიწას
ვეამბორები მონატრებული.
* * *
დღე და ღამ ჩემთვის აღარ არსებობს,
თვალებზე რული არ მეკარება,
ვფიქრობ შვილებზე, შვილიშვილებზე,
თვალები მუდამ ცრემლით მევსება.
ქალურ სითბოს და ქალურ სიხარულს
მოკლებული ვარ იცით,
სამაგიეროდ თქვენ მყავხართ კარგად
და ეს მახარებს, იცით?!
თქვენ რომ იცოდეთ, თუ რა ძნელია,
ვერ ნახულობდე შვილებს,
შვილებთან ყოფნა დედის ხვედრია,
მათგან სიშორეც ალბათ...
გულს ნუ გაიტეხთ,
მე კვლავ თქვენთან ვარ
აქ მხოლოდ ჩემი სულია მარტო,
დედური სითბო და ჩემი გული
თქვენ დაგიტოვეთ და ის გაგათბობთ.

რედაქციისაგან:

ამ პწკარებს პოეზიის და რითმის პრეტენზია არ გააჩნია. იგი მხოლოდ სამშობლოს მონატრებით „წერას ატანილი კალმის“ დაწერილია. საუკუნეების შემდეგ, როცა ახალგაზრდა მკვლევარები ამ დროის შესწავლას დაიწყებენ და გაზეთის დღევანდელ ნომერს, თუნდაც ამ გვერდს გადაფურცლავენ, დაინახავენ, თუ რა მონატრების ცეცხლში იღვწოდნენ ქართველები სხვა კონტინეტზე, სამშობლოდან შორს.

იზა ხორხელი

* * *
ხომ ლამაზი ხარ ამერიკავ,
გვმასპინძლობ კიდეც შესანიშნავად,
ფულსაც ვშოულობთ, სახლშიც ვაგზავნით,
ამიტომ ვითმენთ ჩვენ ხვედრს ამქვეყნად.
ყველა კუთხიდან შენთან მოვდივართ,
შენგან მოველით ჩვენ დახმარებას,
ჩვენი მეორე სამშობლო შენ ხარ,
ჩემი სახატე სამშობლოს რიგად.
უნდა გითხრა, რომ სამშობლოს ჩემსას,
მთელს დუნიაზე ბადალი არ ყავს,
და თუ დროებით შენთან მოვედით
არ გეგონოს რომ სამუდამოდ ჩვენ აქ დავრჩებით.
ჩვენ დავბრუნდებით ჩვენს ნასახლარში,
კვლავინდებურად ერთად ვიცხოვრობთ,
შენს მასპინძლობას ჩვენ, ქართველები,
გწამდეს, არასდროს არ დაგივიწყებთ!

მილოცვები

ქართულ საქრისტიანოს კიდევ ერთი
მართლმადიდებელი ქრისტიანი შეემატა
მარი ბუთურიშვილი
გფარავდეს უფლის მადლი, ღვთისმშობლის კალთა;
ღმერთმა გაგაძლიეროს და დაგლოცოს.
სიყვარულით: **მარინა ტაბიძე**

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველსა და გულშემატკივარს, ქალბატონ **ლალი რატიანს** ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულსა და ბედნიერებას. **რედაქცია**

გიორგობას ვულოცავთ ჩვენი გაზეთის გულშემატკივარს და თანამდგომს **გიორგი ცქიფურიშვილს**, ულევ სიხარულსა და ბედნიერებას ვუსურვებთ. **რედაქცია**

განცხადება

იყიდება ყავლაშვილის პროექტის 4-ოთახიანი ბინა მე-8 სართულზე, მუხიანის დასახლებაში.
დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
თბილისში: 62-46-83 ლია, **აშშ-ში**: 347-782-7156 ჯულია

სამძიმარი

„მამულის“ რედაქცია თანაუგრძნობს გიული წერეთელს მძახალის **ემილი ტეფნაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „მამულის“ რედაქცია თანაუგრძნობს ირმა კუტალაძეს მამის **ვასილის** გარდაცვალების გამო.

სიხარული!

გსურთ გაილამაზოთ ოჯახური წვეულება, დღეობა ან ქორწილი ქართული ხალხური ცეკვებით?

ჯრუფკილოლნალი
და ვალუცდილი ალუკვავეიზი
ამოლლოდ ოქვენს ზარს ელოდნ:

1 (718) 668-1086

ინფორმაციისათვის

2005 წლის 1 მაისს, უფლის აღდგომის ბრწყინვალე დღეს საადგომო საქველმოქმედო კონცერტზე რუსულ რესტორან „ნაციონალში“ – ბრაიტონზე.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე მუსიკოსები და ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფრესკა“.

კონცერტიდან შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება ნიუ-იორკში არსებული წმ. ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ფონდში.

გთხოვთ მობრძანდეთ, თქვენი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია!

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
347-528-0037 თინიკო ყენია,
646-872-0220 მანანა ჩიტაური,
914-443-8789 შორენა ბარბაქაძე

ექსკურსია
ვაშინგტონში



- გთავაზობთ სალონსწორული და სიუქსურული მომსახურეობას ჩვენთან ერთად ეროვნული ეკონომიკის ეროვნული ეკონომიკის 4-ასეული ჯგუფებისათვის;
- მგზავრთა გადაყვანა ხდება ჯიპის მარკის ავტომობილებით;
- მგზავრებს მოემსახურებათ ოთახები და ფოლოორენსტენები;
- იუქსურია ორიგინალია და ამ პრიორიტეტში იუკვენ შეგვიძლია ოლორნოთ ვაშინგტონის ქუჩებში, დაათვალიერეთ რინკოლნის მემორიალი, ვაშინგტონის მონუმენტი, მეორე მსოფლიო ომის ახალგაზრდა მემორიალი, ჯეფერსონის მემორიალი, გარდა ნახოთ თეთრი სახლი, კაპიტოლიუმის შენობა (11 სექტემბრის შემდეგ თეთრ სახლში ტურისტების შესვლა აკრძალულია).

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 347-724-0770

გამოიწერეთ მამული

სურვილი მაქვს გამოვიწერო გაზეთის:

☐ 12 ნომერი საერთო ღირებულებით 20 დოლარი

☐ 12 ნომერი საერთო ღირებულებით 24კანადური დოლარი

_____
(სახელი და გვარი ბეჭდური ასოებით)

_____
(ქუჩის დასახელება, აპარტამენტის N)

_____
(ქალაქი ZIP-CODE და ტელეფონი)

ჩეკი ან მანი ორდერები **M. KATCHAKHIDZE Co** სახელზე გაფორმებული უნდა გამოგზავნოთ შემდეგ მისამართებზე:

აშშ-ში **MAMULI** **კანადაში**

P.O. BOX 13121, JERSEY CITY, NJ 07303 | 32 BARTON AVE TORONTO ON M6G 1P1

საფოსტო მომსახურეობაზე ფასის ზრდასთან დაკავშირებით შესაძლოა გაიზარდოს გაზეთზე ხელმოწერის ფასი. იჩქარეთ!